

# ლიტერატურული გაზეთი

№13 (245) 5 - 18 ივლისი 2019

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით



ფასი 80 თეთრი

## გიორგი ბალახაშვილი

### სენეგალი

ვიცი, გამიმეტებს ბედი — სალახანა,  
როცა მომაკითხავს მწვავე ურემია...  
როცა აივსება ჩემი ბალდახინი  
თქვენი ყვავილებით, მე კი უურემოდ  
ნამაჩანჩალებენ სადმე განაპირა  
ანდა უნაპირო სოფლის სამარეზე,  
თქვენი საჯდომელი — თბილი კანაპეა,  
მე კი მივიცვალე, მაგრამ სკაბრეზული  
დამრჩა პოეზია, ლამის ნაშიერი,  
ჩემი ოცნებების, ჩემი დარდის სფერო;  
რადგან მოგონება ისე მლაშე არის,  
როგორც სენეგალის ტბაა ვარდისფერი,  
ველარ შეველიე ვერცერთ ნაკუპლეთარს,  
შევალ სამყოფელში, როგორც განდევილი,  
ქვევით შენ დამრჩები, ჩემი კაპულეტი,  
ზევით მე ვიქნები, შენი მონტეგივით.  
ვიცი, გამიმეტებს ბედი — სალახანა,  
როცა დამიდგენენ კომას — ურემიულს...  
როცა აივსება ჩემი ბალდახინი  
თქვენი ყვავილებით, წინ კი ურემია.

IV



### დაბალოპანა

მეექვსე აბორტის მერე თავიც შესძულდა და ისიც,  
ვის შვილებსაც მორჩილად კლავდა.  
კლავდა მისივე სურვილით.  
კლავდა და ინანიებდა.  
ინანიებდა და მომავალი მკვლელობისთვის ემზადებოდა.  
„ქმარი თავია ცოლისა, როგორც ქრისტე — ეკლესიისა“ —  
ქადაგებდა ღვთისმსახური ამბიონიდან.  
და ქალიც, კანონისა და ქმრის მორჩილი, შეკვეთით  
ახარისხებდა შვილებს —  
რომელს უნდა ღირსებოდა მზის ნათელი  
და რომელს — შადესი, მთელი მისი სიდიადით.  
მღვდლის ეპიტიმია სამას მეტანიასა და ხანგრძლივ ლოცვებს მოიცავდა.  
ქალიც ლოცულობდა და მეტანიობდა.  
მეტანიობდა და კლავდა.  
კლავდა და კვლავ ლოცულობდა.  
და ერთგულბდა მკვლელის დალდასმული ქალი ეკლესიის ნებეირა კაცს,  
რომლის შეკვეთები მუდამ სრულდებოდა,  
თუმცა აღმსარებელთა გრძელ რიგში მხოლოდ ქალს ხედავდნენ.  
წრე ჯაჭურ რეაქციას შეუფერხებლად იმეორებდა დიდხანს,  
მტანჯველად.  
მომაკვდინებლად.  
და ერთხელაც,  
ბევრ უცნაურობასთან შეხლა-შემოხლის შემდეგ,  
ქალმა აღმოაჩინა, რომ მოკლული შვილები ცოცხლად უბრუნდებოდნენ.  
დიახ, დიახ, ცოცხლად ბრუნდებოდნენ დედასთან  
სხვა გვარით,  
სხვა გეოგრაფიული არეალიდან,  
სხვათა დნმ-ით,  
მაგრამ მაინც მისნი.  
უსიკვდილოდ მისნი.  
სასიცოცხლოდ მისნი.  
ოთხი უკვე დაუბრუნდა  
სამ-ოთხ-იდან.

### ხათუნა როგავა

\*\*\*

ყვითელი ფერი შეეჩვია დაძენილ დღეებს.  
თოვლიც გაყვითლდა — არმოსული,  
ხმებმაც იმატა.  
ორსული მთვარის სიმარტოვე სწვდება განიმედს.  
ინატრე რამე.  
ჩაანურე თვალებს სიბლანტე თაფლის —  
შველისო კატარაქტას.  
კატამ რალა ქნას,  
თუ აბალახე?!  
(ველარ მშველის კატაბალახაც).  
ეშველოს იქნებ უძილობის  
ყვითელ ეშველოს.  
იფიქრე ყვითლად,  
ყვითლად წერე,  
იყვითლ-იყვინთე  
უვარსკვლავებო  
ცის ტალღებში,  
მოვა, ალბათ დრო  
ეჭვიც რომ ბრაზით ფეხს დაჰკრავს და  
გადაგიფიქრებს.  
მაგრამ ჯერ ისევ ფერმკრთალდები.  
შიშობ, ცაიტნოტს  
სადლაც აქვე აქვს, აღსაყდრებულს,  
უვადო ბინა.  
ერთ ფანჯარაში ერთი შუქი ერთხელ აინთო  
და ისიც ჩაქრა.  
ჩააქრეს  
ან  
ჩაეპრობინა.



V

დასაწყისი N242-244

OSCAR BENTON —  
BENSONHURST BLUES

ბექა ქურხული

# თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერები ანუ ღებთი-ყივჩალი ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



ქრისტეშობის დღეები იდგა — ძველი-თავ და ახლითაც და ჟამ-უჟამოთაც. ჭყონია მეექვსე ცოლს გაშორდა და მეშვიდე მოიყვანა. იჯდა, სვამდა და გაგრაზე ყვებოდა; თავის აფხაზ ბებია კნიაგინია თამარა მარლანიაზე, რომელსაც ეკითხებოდნენ, ვინ დაენიშნათ გუდაუთის რაიკომის მდივნად და მერე ის რაიკომის მდივნები ძღვენი და რჩევის საკითხავად მოდიოდნენ. ამის მიუხედავად, კნიაგინია თამარა მარლანია, რომლის საყვარელი ფრაზა იყო — „არა, თქვენ არაფერი იცით, არაფერი!“ — მაღალი, თხელი, ქერა, სათვალისანი, აწყობილი ტან-ფეხით და მართლა არისტოკრატიული გარეგნობით, მაინც ჩვეულებრივი ბებია იყო და სიცოცხლის ბოლომდე გოგლი-მოგლითა და თავლიან-კარაქიანი პურებით დასდევდა თავის გლეხ ქართველ და აფხაზ შვილიშვილებს — გოგა ჭყონიასა და კოსტია და ლარისა კაცებს. მერე ისე მოხდა, რომ გოგა ჭყონია 1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ ერთ-ერთი უკანასკნელი გამოვიდა სოხუმიდან და სოხუმის დაცემის კადრების უმეტესობა, რომელიც აქამდე შემორჩა, სწორედ მისი გადაღებულია; კონსტანტინე კაცია კი ახლაც რალაც სერიოზულ თანამდებობაზე იმით მხარეს და ომის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს აღარ შეხმიანებია. ლარისას, არც ომის დროს და არც ომის შემდეგ, არ შეუწყვეტია ურთიერთობა დეიდამის თინა შონიასთან და თავის პოეტ, დამთხვეულ, თანაშემწე და ახლა უკვე მტრადქცეულ დეიდაშვილ გოგა ჭყონიასთან. მეტიც, თბილისშიც კი ჩამოდიოდა სტუმრად, თუმცა ყოველი მათი შეხვედრა სკანდალით მთვრდებოდა, რის შემდეგაც ლარისა ქართველებისა და განსაკუთრებით საკუთარი დეიდაშვილის, გოგა ჭყონიას, წყველა-კრულვით იჯახუნებდა კარს, მთვრალი ჭყონია კი იმუქრებოდა, რომ როგორც კი იმ ბოზიშვილ რუსებს რაიმე დიდი და შავი ჭირი დაემართებოდათ, ან იმ მონღოლოიდების ჩათლახურ ბუდეში — მოსკოვში — ღვთის წყალობით დიდი ჯოჯოხეთური აბანი ამოხეთქავდა და თავის კრემლიან, ლენინის ჩამიჩიანად თან ჩაიკრანდა, მიბრუნდებოდა და იმ გადარჩენილ აფხაზებსაც მიაჟუჟავდა. დატოვებდა თუ არა ცოცხალს თავის უსაყვარლეს დეიდაშვილ კოსტას, მაგას აღარ ამბობდა. ამაზე აღმფრთხილები თინა შონია ახლა თავის შვილს სტაცებდა ხელს, კინისკვრით მიაბრძანებდა სახლიდან და განაწყენებული აფხაზი დისშვილის ძებნას იწყებდა. მერე გოგა ჭყონია უბანში ბიჭებთან „ბელაია გარიაჩკამდე“ სვამდა და ყველა ამვლელ-ჩამვლელს გულამოვარდნილი უმტკიცებდა: „თუ ვიცოდა, რომ აფხაზები იყვნენ, ყოველთვის ვერიდებოდი, მაგათ როგორ ვესროდი, მაგათი „კაზაიობი“ დედა ვატირე მე... მაგათი გავიზარდე, ჩემი სისხლი და ხორცი არიან. რუსებს და დანარჩენ ნაბიჭვრებს კი გიყვარდეს, ხელჩართულ ბრძოლაშიც ვყოფილვარ და თუ რამეს ვნანობ, რატომ ბოლომდე არ ამოვხოცე მაგათი ჩამოთრეული დედას რო... მაგრამ აფხაზებისთვის დამინებით არასოდეს მისვრიათ.“ საერთოდ, მხედრიონელები, როგორც ნესი, ამბობენ — მე, ძმაო, სამეგრელოში არა ვარ ნამყოფი. სამეგრელოს ამბების გახსენება უტყვევებდა და სამართლიანად, ძალიან ცუდი და საშინელი ამბები დაატრიალეს იქ, მაგრამ გოგა ჭყონია უფრო აფხაზებისთვის სროლას უარყოფდა. სამეგრელოში რომ იყო, ამას აღიარებდა. უფრო სწორად, ცხენისწყალზე, სამტრედიისა და აბაშის რაიონებს შორის ხიდზე, შეტაკებას იხსენებდა: „მდინარის იქით პრეზიდენტ გამსახურდიას გვარდიელებმა მაგარი ცეცხლი გაგვიხსნეს, თავს არ გვაყოფინებდნენ. ერთი დიდი ტრაქტორი ეგდო, აი, ჯერ კიდევ წინა გაზაფხულზე მშვიდობიანად რომ ხნავდა კოლმეურნეობების მინდორ-ველებს. ახლა კი სხვადასხვა კალიბრის ტყვიები ისეთი დაჟინებით უკაკუნებენ, თითქოს დაგვიანებული და ყინვაში გარეთ დაარჩენილი სტუმარი შინ შემოშვებას ითხოვსო. ვართ ასე ჩამჯდრები, ამ ტრაქტორს მიხუტებულნი და გაბითურებულნი. ამოუვიდა გიგას ყელში, აილო ხელის ტყვიამფრქვევი,

სანამ გონს მოსვლა და ხელის ტაცება მოვასწარი, გავიდა მთელი ტანით გამართული, თან ისეთი ჩაცმული, თითქოს საკუთარ ქორწილში ყოფილიყოს, ზედმეტსახელიც ხო ეგ ჰქონდა — „სიძე“ — ორი დღის მოყვანილი ცოლი მიატოვა და ომში წამოვიდა ცხინვალში. ჰოდა, აცვია თეთრი პერანგი, გაპრიალილი ფეხსაცმელი, სუნამონაკურები და მიდის ამ მტვერსა და ტყვიის წვიმაში თავალერილი და წელში გამართული, მერე თვითონაც მალა დაუჭირა ტყვიამფრქვევს ლულა და გამოშალა ჩახმახი. ეტყობა, იქიდანაც ზემოთ ისროდნენ, თორემ რით ვერ მოარტყეს.“ ამ ამბავში ყველაზე მეტად იმ მოსწონდა, რომ ზვიადის ტებმა ორი ნაღმსატყორცის ჭურვი გაუშვეს, ოღონდ „პერელიოტზე“, მართლა არ შემოგვაკვდეს, რა ლამაზად გამოვიდა მაგ შობელძალიო „და პირდაპირ ჩვენ ჩავგებოხლეთ კოლმეურნეობის ტრაქტორს უკან ჩამჯდრებს. სამი კაცი დაგვეჭრა მაგის ნამსხვრევებით, გიგა კიდევ, ჩემი ფეხები, ისევ ისე დაატასავებდა ცეცხლის ხაზზე.“ განსაკუთრებით ახალისებდა ეს ისტორია. ყველაფერი ღვეან გოთუას „გმირთა ვარამში“ აღწერილ ქართულელებისა და კახელების ომის ამბავს კი ჰგავს, სვიმონ I-ისა და ალექსანდრე კახთა მეფის დროს რცხილისა თუ რაღაცის ფოთოლი რო ცვივა, ყასიდად, ზევით გასროლილი თოფებისგან და კახეთის სარდალი შერმაზან ჩოლოყაშვილი ასევე ყასიდად რომ ვეჯრობს „გაგონილა ეგეთი ამბავი, ვაჟოო?..“ მაგრამ ჭყონია კი ეგრე ყვებოდა და რავი... თუმცა შეიძლება იქაც მოხდა და აქაც. მე შენ გეტყვი, იმის მერე ჭყუა მოგვემატა, მიზანი შევიცვალეთ ან გავისწორეთ, თუ რა?..

თუმცა ჭყონია აფხაზთან შეტაკებამ მაინც მოუწია, თან ისე, რომ მერე თავის-სავე ბიჭებმა ძლივს გამოართვეს ხელიდან და ეგ ამბავი მართლა მაგარი გამოვიდა სამეგრელოში ცხენისწყალთან ატეხილი ძმათამკვლელი და სამარცხვინო ომისგან განსხვავებით. მოკლედ, მჯდარა ეს ჩვენი ჭყონია ნუხანდელი ღამენათევი და ახლადგავლიებული გუმისთასთან ბლოკ-პოსტზე. თავის მეორე თუ მესამე ცოლზე ფიქრობდა, ორცხოზობილას ხრავდა და სასოებით, შეყვარებული თვალებით შეჰყურებდა სამლიტრიან ქილაში მოციმციმე სამურზაყანოს გამოგზავნილ ცეცხლივით ჭაჭას. თუმცა ბიჭების მისვლამდე არ გაკარებია. ვინმე კი არ დაუშლიდა, კი არ ეწყინებოდათ ან გაუკვირდებოდათ, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე გავლებულმა ცეცხლის ხაზმა იცის ეგეთი ცრურწმენები და ამანაც არ იკადრა ხელის ხლება. ცოტა ხანში ბიჭების ფეხების

ბრაგუნი, ხმამალალი ლაპარაკი და ყიყინა მოესმა და ყველანი ქვიშით საცხე ტომრებით სანახევროდ ჩახერგულ ბუდრუგანა ქობში შემოლაგდნენ იარაღის ჩხრიალით და თან ნაცემი, დასისხლიანებული ტყვეც შემოიყვანეს. ჭყონიამ — აუ, მაგრად მეჯავრებოდა ეგ რა, ტყვეზე გადავლა. მშვიდობიანობის დროსაც ათასნაირ გამოქლიავებულს და გიჟს გადაყვრები და ომის დროს ხომ საერთოდ და სუ მაგაზე მქონდა ხიპიში. ერთხელ ამ გამოსარჩლებაში გაცოფებულმა დმანისელებმა კინაღამ მეც მიმახვრიტესო... მაგრამ ესენი ჩემები იყვნენ და: „კაი, ბიჭო, რა იცით ეს ცემატყეპა და უბედურება, მერე ეგენიც უარესს უშვრებიან ჩვენებს. რა იცი, რო ხვალ შენ არ ჩავარდები ტყვედ, გაგისწორდება ეგრე რომ განამოწო?“ „ჩემი დედას... მე თუ ტყვედ ჩავვარდეო...“ — გამომიცხადა ერთ-ერთმა პასუხად. აი, რა უნდა მეთქვა? მართლა ვერ იყვნენ ჯანზე. „აფხაზია ამის დედას...“ ახლა ამ აფხაზს აგინებსო. „მით უმეტეს, შე ჩემო, თუ აფხაზია, სხვა რო ყოფილიყო, კიდევ ხო, მაგათი დედაც... აფხაზებს რაზე კლავთ ცემაშიო?“ თან ყურადღებით ვუყურებ, ვინ არის. ნაცნობი ხომ არ არის, რომ ვუშველო. რო აღარ დაეაბრედიან, ხო ფაქტია? თავიდან მაგრად ამიჩუყდა გული. „გვაგინა ამ დედასო... და რა გვექნა, მოვფრებოდითო?“ ახლა უკვე მეც შემომიღრინა ამ ჩვენიანმა და არყის ქილას თავი მოხადა. „მოდი, დაჯექი“ — რუსულად ვუბნებოდი, ჭყონიამ. ეს აფხაზი ციებანიანით კანკალეებს და თან ისე დაკვირვებით და იმედით მიყურებს, აშკარად ესმის ამ ჩემისას ქართული. „დაჯექი, დაჯექი...“ — ისევ რუსულად ვუბნები. დალევ რამეს-მეთქი?.. აფხაზი დაჯდა. თან ცდილობდა, კანკალი შეეკავებინა. იმან, ჩვენიანმა, ვინც ცემა და აგინა, ჯერ თვითონ დალია, მერე ხელმეორედ დაასხა და აფხაზს დაულო წინ. იმანაც აილო ჭიქა, მაგრამ კანკალეებდა და პირთან რომ მიიტანა და კბილებმა რაკარუკი ატეხეს ჭიქაზე, გაუტყდა და ჭიქა უკან დადგა მაგ დაღაზე. მაგრად ჩამწყდა გულიო, ჭყონიამ „დალიე, დალიე, ნუ გეშინია!“ — ალაღად ვუთხარიო. ამ ჩემის აფხაზს კიდევ უცებ სიძულვილისგან სახე მოექცა — „მე თქვენი არ მემინიაო“ — თვითონაც რუსულად მითხრა და ეს არაყი ისეთი სახით გადაიმხო პირში, თითქოს ტყვეობას სიკვდილი არჩია და ნავანის ტყვიან დახალა ხახაში. „აი, ეგეთი ნასტიკია ეს დედასო... და ამიტომაც მოხვდაო...“ — ამ ჩვენმა ძმამ ზურგი შეაქცია, კიდევ რომ არ ეხია ცხვირ-პირში. დაუჯექი ამ აფხაზს წინ, კიდევ დაუხსნი, ჩემთვისაც დავისხი და ვეუბნები: „რა გინდა, შეჩემა, რას გვერჩი?.. საერ-

თოდ, რას გვემართლებით?... ან თავგებს რაზე იხრცავთ, ან ჩვენ რაზე გვომტებთ?“ ზის ჩუმად თავჩალუნული. მგონია, რომ ფიქრობს... მივურტყვი ჭიქა ჭიქაზე. დავლიე. ველოდები, რას იტყვის, ან რას იზამს. ცოტა ხანს ეგრე ვისხედით, მერე აფხაზმა ისე უცებ სტაცა ჭიქას ხელი, უნებურად შევკრთი. უცებ მოწყვეტიტ გადაჰკრა. ახლა უფრო მშვიდად დალია. ეტყობა, გალის ოტკამაც გაჭრა და ნელანდელივით პირდაპირ შემომხედა თვალეში. კაი 32 წლის ვიყავი უკვე მაგ დროს, ჩემი წილი ნაცხოვრები მქონდა, ოღონდ ასეთი ბრმა სიძულვილი ადამიანის სახეზე მანამდე არასოდეს მენახა. მაგ ამბების მერეც ათასი უბედურება გადამხდა, მაგრამ ასეთი სიძულვილით, რალაცნაირი უაზრო მძულვარებით, აღარასოდეს აღარავის შემოუხედავს. და დაიწყო ამ აფხაზმა, დასცხო და რა დასცხო — „რა რა მინდა, ბიჭო?“ — თან რუსულად, რალაცნაირი დასავლურ-ქართული კილოთი ბაზრობს, აფხაზური აქცენტი არ იყო, აფხაზური აქცენტის მეტი რა გამეგო და რა ვიცოდი. თან ისეთი გაავებულია, სულ ხიხინებს სიბრაზისგან — „რალა რა მინდა, ბიჭო, თქვენ მართლა ხომ არ უბერავთ?.. მართლა ვერ ხვდებით, რაც ქენით და რაც ჩაიღინეთ?.. რას შემოგვივარდით აქ ტანკებით და იარაღით, მე აქ ჩემს სახლს ვიცავ, ვასია, თქვენ ვაფშე ვინა ხართ, ვისები ხართ, ვის არეულ გზას მოყვით, ჩოტკა რამსი ვი ნაშუტალიო...“ მოკლედ, მაგარ გორლაზე მოვიდა. „ეე, მაიცა, აბა, ერთი-მეთქი, ნე განი პაკა ნე ზაპრიაგ. ჯერ ერთი, შენი ვასია ბებიაშენია შურა და მეორეც, აბა, მე ვის სახლსა და მინას ვიცავ აქ, შენი აზრით, შე მართლა, ვასია?..“ „ვის სახლს იცავთ?.. აქ რა უნდა თქვენს სახლს?.. თქვენი სახლი და სამშობლო აგერ ინგირს გადალმათო“ — ეს აფხაზი მეუბნება — „და კიდევ იმის იქით, ინგირს იქით გადალმა, სულაც სამეგრელოა, ჩვენ და მეგრელები მოვრიგდებით, თქვენ საერთოდ ვინ გკითხავთ აქორთუებს, თქვენი თავისთვის ვერ მიგვიხედავთ, თბილისში საახალწლოდ ზარბაზნებით ამოხოცეთ ერთმანეთი, მთელი ქალაქი გადანვით, ჩვენ რას გვიზამთ, რას შემოგვიცვივით აქო?..“ ვუყურებ და დავიბენი, ტო, ამის ტლუ თავხედობისაგან და პირველად მაშინ ვიფიქრე — მართლები იყვნენ ჩვენი ბიჭები, მაგრამ ცემის დედაც... პირდაპირ უნდა დააჭედო ამას შუბლში-მეთქი. „ეე, მაიცა, აბა, ჩემი ძმა, რო გაიჯეჯილე აქ, აბა, ერთი მეც მომისმინე, სიტყვა ჩამაგდებინე. რაებს უბერავ შენ აქ, თავი ხო არ მიგირტყამს სადმე ამ დაგნარში?.. ჩემს სახლს აქ რა უნდა? აბა, მაგრამ რუსთაველის 111-ში ვინ ცხოვრობს, შე ჩემისა?.. მაგ სახლში დავიბადე. აბა, ჩემი სახლი ჩემი არ არის? თუ შენმა აბაზინებმა აუშენეს ბაბუაჩემს და ბები-ჩემს სახლი? და თქვენ მასწავლით აფხაზს და ქართველს? ბებიჩემი აფხაზი თავადია, თამარა მარლანია; დედაჩემი მეგრელი თინა შონია და მაგისტრომ არა ვარ მე ქართველი?.. თქვენ მართლა აქეთ ცოტას ხო არ უბერავთ?..“ — და ალაღად დავუტრიალე საფეტიქელთან საჩვენებელი თითი. მარა რად გინდა, აზრი არ ეკითხება სახეზე, „ჩაინიცი მოი დედნი, ნე ვარიტ...“ ეგრეა რა, არ ესმის. მიღინის ირონიულად — „კი, როგორ არა, თქვენ რომ გკითხოთ, ყველანი ქართველები ვართ — აფხაზები, სვანები, მეგრელები!.. აი, მაგისტრომაც გებრძვით. არა ვართ ქართველები, აფხაზები ვართ, ენას გვართმევთ...“ „რა ენას გართმევთ, ბიჭო? უნივერსიტეტი გაქვთ, ტელევიზია გაქვთ, თქვენ თვითონ არ ლაპარაკობთ მაგ თქვენს ენაზე, ერთმანეთშიც რუსულად უბერავთ და ჩვენ ვილაპარაკობთ თქვენს მაგივრად?.. ხოო, ენას გართმევთ, ანბანიც ნაგართვით და სვეტიცხოველზე, ბედიანზე, ოქუმზე და ილორზე თქვენს მაგივრად ნავანურეთ, ქართულად ნაგინერეთ, არა?..“ ეგ აღარ მოეწონა, ხო იცი, ირონიული ღიმილი მოსხიპა და აღარ დაელოდა ვიდრე ვინმე დაუსხამდა, თვითონ დასწვდა არყიან ქილას. ვუყურებდი, მეც თუ დამისხამდა. დამისხა. „არ გვიანდა ეს თქვენი სვეტიცხოველი და ბედიან, ძამო, ნუ გადაგვაგვილეთ, თქვენი იყოს, ოღონდ ჩვენ თავი დაგვანებეთ. ეგ თქვენ ითვისებთ ყველაფერს და შეგვჭამეთ თქვენი ისტორიით. ცხონებულ ვიტალიკა დარასელიაზეც ეგრე არ ამბობდით, ქართველი ფეხბურთელიაო?.. ერთხელაც არ გიხსენებიათ, რომ ფინალში გოლი



გაიტანა აფხაზმა ფეხბურთელმა და ევროპის თასების თასი მოგაგებინათ. რატომ?... ხო სთავაზობდნენ თქვენი ნაბოზვარი ჩინოვნიკები, პასპორტში აფხაზის ნაცვლად ქართველი ჩაინერეთ. არ იყო ეგრე? სანყალმა ვიტალიკამ ხომ უთხრა, რა გინდათ, აფხაზი რომ ვარ, ცუდი ბიჭი ვარ თუ ცუდად ვთამაშობო?.. „მისმინე...“ — ვუთხარი და აქ მეორედ გავიფიქრე, რომ უეჭველი დასაბრედი იყო. ამ დედამინერელ ომამდეც ვერ გავიტანდა და ვეზიზღებოდა და აქ აფხაზობაში არ იყო საქმე, მე ეგ აფხაზებს ვერ მასწავლიდა და მაგაზე მეტი აფხაზი აქეთ ვიყავი — „მომისმინე-მეთქი, ბიჭო, რაებს ბაზრობ? ვიტალიკა დარასელია მთელი საქართველოს ეროვნული გმირია და ეგ ყველამ კარგად იცით — აფხაზმაც და ქართველმაც. მე კიდევ ვინც ვიტალიკას ეგ უთხრა, აფხაზი ამოინერე და ქართველად ჩაენერეთ, იმის ნაბიჭვარ დედას კიდევ იქ... ძალიან ბევრი დარასელია ქართველი, მაგრამ ვიტალიკა დარასელია აფხაზი დარასელია იყო, ღმერთმა სული გაუნათლოს და შენზე უკეთესი აფხაზი იყო. როგორ ფიქრობ, ცოცხალი რომ იყოს, მოეწონებოდა? თუ, აი, ამაზე მეტს გორტყამდა?..“ — იქით გავიხედე და ვხედავ, ბიჭები გარშემო შემოგვჯარვიან და ისეთი ინტერესით გვისმენენ და გვიყურებენ, როგორც გლადიატორებს რომის კოლიზეუმის არენაზე. ცოტა ხანს ისევე სიჩუმე ჩამოვარდა. „მანინც არასდროს დაგემორჩილებით და არ გავქართველებდით, ტყუილად გავქვით იმედი“ — ეს აფხაზი მეუბნება — „ამ ომსაც ნააგებთ, დედა გეტირებათ და ყველაფრის სამაგიეროს გადაგიხდით. ახლა კი, თუ გინდათ, მომკალით“ და გამირულად გაგვეჯგომო — ჭყონიამ. „ეტყობა, დათვრა ეს უბედური. მაგრამ ინერვიულა, ხელში რომ ჩაგვივარდა და მალე მოკიდა...“ — აქ უკვე მე გავუცინე ცალკვად და ვეუბნები — „ნუ გაქართველებდით მერე, ვინ გადალებს?.. ან ასი წელი, ვის რა ჩემს ფეხებზე უნდისხართ?.. მარა რომ მიდისრა და ამ ჩემს მინაწყალსაც ბაბუჩაჩემის საფლავებიან, ეკლესია-მონასტრებიანად ტექნიკურად მიაცუხცუხებ რუსეთში, ეგრე სად წერია, ძმაო?.. ან რა ომი უნდა მომიგო?.. აგერ შენ ზიხარ ტყვედ თუ მე?.. ვისი იმედი გაქვთ?.. იმ აქოთებულები ვანია რუსების? თუ მაგ ფაფახიანი ჩრდილოეთ კავკასიელების? ხო გადაგაღალუნე თუკე რამდენჯერმე ერთმანეთს?..“ — ჯერ კიდევ მაგრად ვიდექით და ყველაზე კომპარულ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდით, რითიც დამთავრდებოდა ეს ჩვენი მაგრად დგომა — ახლა საკუთარ თავზე გაელიმა ცალკვად და ირონიულად ჭყონიას. „საკუთარ ბიძაშვილ-მამიდამშვილებს იმისთვის გვესვრით, რომ რუსები დაისვით თავზე?.. აი, რუსები გიტირებენ თქვენ ყოფას. ჩვენ ნათესავები მანინც ვართ, მაგ რუსებმა არ გაგასახლეს თქვენი ჩერქეზებიანად, თქვე უბედურებო?..“ „არაო“ — აფხაზმა — „თქვენთან ყოფნას ყველა გვიჩვენებია, ყოველთვის ზევიდან გვიყურებთ თქვენი გამოგონილი ისტორიით, ყალბი დიდების ილუზიებით, ვერაგები და ასიმილაციონები ხართ, ან ძალით, ან ნებით, ყველაფერს ითვისებთ და ყველას გვაქართველებთო...“ მოკლედ, მაგრად ვეზიზღებოდა ამ ჩვენს ძმას, მართლა შეპყრობილია და ჩვენი სისხლი სწყურია და, აი, აქ მესამედ გავიფიქრე, რომ ამის ცოცხლად გაშვება არ შეიძლება. მტერია რა, მოსისხლე მტერი. მიზეზიც არ სჭირდება — რომ, აი, ომი დამიწყე, ძმა მომიკალი და აგე, ეხლა შენი დედაც! ვენდეტო მაქვს, სისხლი უნდა ავიღო... კარგი, ეგ გასაგებია, მაგრამ ეს ვიტალიკა დარასელიას გოლს ვერ გვპატიობს 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში, გერმანიაში, ტო... იქიდან მოყოლებული გვერჩის. თუმცა ეგ ჯერ არაფერი, თურმე ჯერ სადა ვარ, მე უბედური, და რას მეუბნება ეს ჩემის ტყვე აფხაზი — „სხვაზე რაღა უნდა ვთქვა, ისეთი ავადმყოფები და შოკინისტები ხართ ქართველები, ჩემთვისაც კი უთქვამთ: შენ ქართველი არა ხარ, ბიჭოო?.. ჩემთვის — სუფთა სისხლის აფხაზისთვის — კაცი ჭყონია ვარ გვარად და მეც კი მიმტკიცებთ, რომ ქართველი ვარო!“ თვალთ დამიბნელდაო, ჭყონიამ. მასხოვს, მაგრად დავიბენი, ბიჭებსაც კი გადავხედე, რაღაცას მიჩალიჩებენ ეს ბემურაზები, რომ მერე მთელი თვე თითით დამცინონ და ასე სიცოცხლ-ხარხარში დანყდნენ. ვუყურებ, მაგრამ ესენიც ისეთი დაბნეულები არიან, არა

შგავს ამათ გოთვერნობას. ეგ კი არა, თვითონ აფხაზი ტყვეც დაიბნა. ეგრე ნაგართ რომ გველატავებოდა, უცებ მიხვდა, რომ რაღაცა მოხდა და დაფეთდა. თვალეზი დააცეცა და სათითოდ დაგვიწყო თვალეზებმა.

„საბუთები შეუმომნით?..“ — ამოვლერლე როგორც იქნა. ჩვენები ისე დაფაცურდნენ, ისე გადახედეს ერთმანეთს და გაშალეს ხელები, რომ, რა თქმა უნდა, არანაირი დაკუმენტები არ უნახავთ, აზრადაც არ მოსვლიათ. თითქოს ტყვედ ჩავარდნილი მტრის ვინაობის დადგენა ისეთი უცნაური და უტაქტო საქციელი იყო, რომ მტერი აღარ შეიძლება. ჩაიგდეს ხელში ვილაც კბილებამდე შეიარაღებული კლიენტის, რომელმაც თქვა, რომ აფხაზი გვარდიელია და მორჩა. რაღა მნიშვნელობა აქვს, ჭყონიაა, პაპაა, პეტროვი თუ ტერასატუროვი?.. ვაა!.. პირდაპირ გასაოცარია, ის 13 თვე და 13 დღე როგორ გავეძლიეთ ამ ჩათლახი რუსების, კაზაკებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების წინააღმდეგ, აფხაზებზე აღარაფერს ვამბობ. აბა, ეგენი იყვნენ გაჭირვებულები — ჭყონიამ. ერთხელ ძალიან მაგარი ამბავი მოუვიდათ. იმ პრასტიტუტკა რუსებმა გუდაუთის სამხედრო ბაზიდან ახალთახალი რეაქტიული დანადგარი — „გრადი“ — გამოუგორეს; ბენზინიც ჩაუსხეს და გამოატანეს. უბედურებაა ეს „გრადი“, „კატეშას“ მოდერნიზებული ვარიანტი, მაგ „კატეშას“ მოდერნიზებული ვარიანტი, მაგ „კატეშას“ მოდერნიზებული ვარიანტი, მაგ „კატეშას“ მოდერნიზებული ვარიანტი. გაიხარეს აფხაზებმა, ხუბა ხალვაში ჰყავდათ ერთი, ხალვაშიც ხო მაგარი აფხაზია, მაგრამ კარგი, ჯანდაბას, სატვირთო მანქანის ტარება იცოდა, ომამდე პურის მანქანა დაჰყავდა ამ ხალვაში. ჰოდა, დაავალეს შტაბში, რომ გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზიდან ახალი ათონის გავლით პირდაპირ გუმისთის ფრონტზე უნდა მოიყვანოს და იქ რუს არტილერიისტებს ჩააბაროს. მერე იმათ თვითონ იციან, რას და როგორ იზამენ და როგორ დაგვიშვებენ სოხუმში.

ამასობაში ჩვენებმა დრო იხელთეს და ისე, რომ არავისთვის არაფერი უკითხავთ, მტრის პლაცდარმი აიღეს და ეს რუსი არტილერიისტები თავისი კაზაკებიანად კარგად იფრინეს იქიდან. ჩრდილოეთ კავკასიელნი და აფხაზებიც ზედ მიაყლეს. თორემ ის ბებერი ჩეჩისტები ნაბიჭვარი წინ არ გვიშვებდა, პირდაპირ პანიკური შიში ჰქონდა რუსეთისა. ჰოდა, ზუსტად იმ პლაცდარმზე, ცუუგუროვკასთან, უნდა მოეყვანა ამ ხალვაში „გრადი“ და ამანაც პატიოსნად მოგვყავნა ახალთახალი სარაკეტო რეაქტიული დანადგარი თავისი რაკეტებით და ბენზინით. წავიდა ერთი „ზდაროვა, რეზიბატა; ზდაროვა, ვასია; ვოტ ნოვი „გრად“ პრისლალი“. აქეთაც სულ ადგილობრივები არიან, უბერ-ვან მერულ-რუსულად. ამ დროს ვილაცამ ქართულად შეუკურთხა შტაბს — „ძლივს არ გადახსენდით ამ დედამ...სო?.. და აფხაზი ხალვაში უცებ მიხვდა, რომ სხვაგან მოხვდა... მანამდე საბუთებზეც პირდაპირ რუსულად მოუწერა ხელი — X. Халваши“ — რაც ასევე არავის გაკვირვებია. მოკლედ, ამ შემთხვევაში, რატომღაც, ძალიან აკურთხულად გააფორმეს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია და პურის მანქანიდან რუსულ გრადზე გადააქვარა მხალვაში ფრთხილად, ფხაკრეფით და უკანმოუხედავად მოცოცხა იქიდან. ჩვენებმა ვერც გაიგეს, რომ მტერი გაუშვებს ხელიდან, რომელმაც რუსების მოძღვნილი „გრადით“ დაასაწყურა.

მიბრუნდა ეს აფხაზი ხალვაში გუდაუთის შტაბში და თავის უფროსებს პატაკი ჩააბარა — „ტაკი ტაკი, მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ჩემდამი მონდობილი, რეაქტიული დანადგარი „გრადი“ მშვიდობით მივიყვანე ბრძანებით მითითებულ დისლოკაციის ადგილას და დანიშნულებისამებრ ჩავაბარე იქ მყოფ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც ქალაქ სოხუმის სუცდანიშნულების ქართული ბატალიონი აღმოჩნდა სერგო ახალაიას მეთაურობით.“ ნაიშინეს ამ აფხაზმა მეთაურებმა თავში ხელი, დაგვირგვინებო, დაემუქრნენ, მაგრამ ხალვაშია ზუსტად „თეთრი ბაიზალის“ გოგოლივით უპასუხა: „ფეხებსაც ვერ დამაჭამთ, პატივცემულებო, რადგან სადაც გამიშვით, ზუსტად იქ მივიყვანე ეგ თქვენი „გრადი“, თქვენ თუ ისე დაკარგეთ ის ადგილი, რომ ვერც გაიგეთ, რა ჩემი

ბრალია, პირიქით — აქეთა მაქვს მოსადგებელი, სასიკვდილოდ, ან სულ ცოტა, ტყვედ ჩასავარდნად რომ გამიშვით იმ მგლებს ხაფანგში“. მართლაც დახვრიტეს კი არა, ის ხალვაში მერე რაციაში აქეთ გვეკაიფებოდა, თქვენგან რომ ორდენი მეკუთვნის, რატომ არ მაძლევთ, თქვე ახვრებოო. ხოო, მეთქი, ჩემსას მოგვამ, ბებიაშენის ნაბლა ტრაკმა. აი, იმ მეთაურებს რა უთხრეს რუსმა სამხედროებმა, ვისი „გრადიც“ ჩვენ მოგვიგრიალეს და როგორ „მატ“-ებით გაუშასპინძლდა რუსული „ნაწალსტვი“, ეგ კი აღარ ვიცით. ის მეთაურებიც რა გვარები იყვნენ და ბალავაში, ქუთელია და ზედ ხალვაში, მაგარი აფხაზები იყვნენ ეგ ჩემისები, მაგრამ მაგათ ვჩიოდი, ტო?.. მე ჭყონია მეჯდა წინ, მამის მკვლელები თვალებით მიყურებდა და მიმტკიცებდა, რომ სუფთა სისხლის აფხაზი და ჩვენი მოსისხლე მტერია. ვახხ ჩემი, კარგი და, მე ვინა ვარ?.. ამოუძრეს ჩვენებმა გულის ჯიბიდან საბუთები. მომანოდეს. მომანოდეს, ეგ არის რა — „Чкония Георгий Романович Гудаутский район, село Псирцха. Год рождения 1962г 28 декабря“. ყველაფერი ემთხვევა, ტოო... ვუყურებ, მიყურებ. აშკარად შემოვთადა, ენასაც ვეღარ ატლიკინებს. ხედავს, რაღაც ხდება, თან აშკარად ესმის ქართული. ვუყურებ. უკვე მეჩვენება, რო მგაცს კიდევაც ეს ჩემისა — სპორტული, ჩადგმული, წინ ცოტა შემლოტებული... მოკლედ, მაგრად ავიჭერიო, ჭყონიამ. უსიტყვოდ ამოვიღე ჩემი დოკუმენტები და გავუწოდე. ფრთხილად აიღო, ისევე დაფეთებული მიყურებო. ჩაიხედა და აშკარად შეცბა. კარგა ხანს უყურა, მომეჩვენა, რომ იმ ქვასავით შეუვალ სახეზე რაღაც ჩრდილმა გადაურბინა. მერე ჩემი საბუთები რატომღაც ისევე ფრთხილად დაკეტა და ისე დადო მაგიდაზე, თითქოს ეშინია, არ აფეთქდესო. „ი, შტო დალმე?..“ — მკითხა რუსულად, თუმცა შეფიქრანებულად. უფრო მოულოდნელობისგან. დაიბნა ჩემსავით. საიდან?.. „დალმე რაღა, ჩემი ძმა, ხომ ხედავ, შეიძლება, არც ცდებოდა ის კაცი, ქართველი რომ ეგონე. აი, მე აგერ ქართველი ჭყონია ვარ-მეთქი.“ უკვე მშვიდად ველაპარაკები, აი, უეჭველი რომ მოიგე, რა... ისევე მიმე სიჩუმე ჩამოვარდა. ისევე ერთმანეთს ვუყურებთ. გარშემო ბიჭებიც ჩვენ შემოგვეყურებენ, ელოდებიან, რა მოხდება. და უცებ ეს ჩემი აფხაზი ბიძაშვილი ისევე გადაირიაო, ჭყონიამ, ეგრე ემართებოდა — ფეთდებოდა, მერე უცებ პირდაპირ შეტევაზე გადმოდიოდა, მანინც შოკში იყო, ახლა რომ ვაკვირდები — და ახლაც მოულოდნელად აინყვიტაო. „აი, ხომ გეუბნები, ეგეთი ტუპიაკები ხართ ქართველები, ახლა შენც მიმტკიცებ, რომ აფხაზი არა ვარ და ქართველი ვარ! არა ვარ ქართველი, არა! და თუ სიმართლე გინდა, ომამდეც ძალიან მაგრად არ მევასებოდი და ახლა საერთოდ მძულხართ, თქვენი ღორმუცელი, ღლიანი, ჭამა-სმას გადაყოლილი „გლადიკი“ ჯიშიცო!“ ზუსტად ეგრე თქვა — „გლადიკი“ — ამ აფხაზმა ჭყონიამ და თავის გასაპარს, გაჯაგრულ ყბებზე ჩამოისვა ხელი. ბიჭო, ვუყურებთ ერთმანეთს და სულ ნაპერკლები გვცვივია ორივეს სიბრაზისგან, მაგრამ ვითმენ, რა. ვუთმენ, მანინც მინდა, რაღაცა გავაგებინო, თორემ ამის გაგორებას აღარაფერი უნდა, ერთი ხელის აქნევა და დაბრედილია. „მისმინე, იუზგარ, მომისმინე. ფსირხცხადან და ფაცხიდან კი ხარ, მაგრამ რაღაც მანინც ხომ უნდა გეხსენებო, ეგ ყურები მიხატული ხომ არ გაქვს?.. დამაზახოვრე, რომ არაფერს გიმტკიცებ. გავიგე, რომ აფხაზი ხარ, აფხაზი ჭყონია. გამარჯობა ჰა მ'შვებზია!.. მაგრამ მეც ჭყონია ვარ, ოლონდ ქართველი ჭყონია, გაიგე?.. კიდევ ჩვენ რომ გვეძახი ტუპიაკებს, ძნელი გასაგებია?.. და რაკი ორივე ჭყონია ვართ, ფაქტია, რომ ნათესავები ვართ და მაგას გეუბნები — რისთვის ვზოცავთ ერთმანეთს?.. რუსეთისთვის?.. კრემლისთვის?.. რატომ?..“ და ეს ჩემისა ისევე გამომეჯგობა დასახვრეტად გამზადებული ოლეგ კოშკოვიო: „არა ვარ მე შენი ნათესავი, მოლაღატები ჩემი ნათესავები არ არიანო!..“ ვიგრძენი, სიბრაზისა და სიმწრისგან ფერი როგორ დავკარგე. „ვინაა, ბიჭო, მოლაღატე-მეთქი?..“ აქ კი ისევე გადაურბინა თვალეზში შიშმა აფხაზ ჭყონიას, მაგრამ მანინც არ გადათქვა, მაგრად დადგა თავისაზე: „შენ, შენა ხარ მოლაღატე, ჭყო-

ნი და თან მარლანის ბადიში ამ ქორთუების მხარეს რომ იბრძვი შენი სახმობლოც, აფხაზეთის, წინააღმდეგო!“ მართლა მაგარი ნასტიკი იყო ეგ ჩემის თვრამეტიანი. ახლა მეცინება, მაგრამ მაშინ რომ გადავდელი გურულად და ამ სიჩუმეში ვიკივლე: „ვინაა მოლაღატე, მე შენი დედა... აბა, შენსავით რუსული არმიის მხარეს უნდა ვიყო?.. გურული ბაბუჩაჩემი მიმა, ჯუყვათში, ჩახანშია მონათლული, კიდევ მისმა ბაბუჩამ, აზნაურმა არისტო ჭყონიამ, მართლა შენნაირ მოლაღატე ხასან-ბეგ თავდგირიძეს რომ ნააჭრა თავი, მის მერე ხასანბეგურას ჩივა მთელი გურია, მე მართლა შენი ძალით აფხაზი კეთილბე-მეთქი“ და რომ გადავხტი მაგიდას, სამლიტრიანი არყის ქილა ხომ გადავყირავე და გავეტეხე, რასაც ბიჭები დღემდე ვერ მპატიობენ, ვერც ცოცხლები და ვერც გარდაცვლილები, გამოვადრე ჩემი ტაბელური „მაკაროვი“ — დაგბრედავ-მეთქი, შენი... მართლა ვკლავდი, ისე გამაჯოფა. კიდევ კარგი, სწორედ ის ჯველი მეცა მაჯაში, ვინც გალახა და აგინა — „ე, ბიჭო, რას შვრები, ახლა კლავ აქამდე მოყვანილ კაცს, დავლით უკვე ერთად, თან მთლად ჭყონია გამოგადგაო...“ დანარჩენებმა დრო იხელთეს, ხელი სტაცეს და გაათრეს. ამა-რიდეს, რა, ატ გრეხა პადალმე... „გაუშვით, ვაფშე გაუშვით, თვალთ აღარ დამანახოთ, თორემ ფიზიკალი ჩავაძალღებ, იარაღიც მიეცით, დაუბრუნეთ ავტომატიც, ნაიოვიდეს ისევე საომრად, ერთი ვნახოთ, რისი ტრაკი აქვს-მეთქი...“ თან სიმწრისგან პატარა ბავშვივით ცრემლები წამომივიდა. დაიჯერებთ? იხელა დედამინერელ ომში და სისხლისღვრაში მხოლოდ მაშინ ვიტერი. აფხაზ ჭყონიაზე ვთქვამ და ეტყობა, მეც კი შოკში ვიყავი. მოკლედ, დაეცოფდით ასე ჭყონიები — იქით — აფხაზი, აქით — გურული. მიაჩენეს თავისი ავტომატი: „დავაი, იდი კ სვამიო...“ დგას, ფეხს არ იცვლის. ვეღარ არის, ხო იცი, ისეთი მაგარი ბიჭი. „დავაი, დავაი, იდი ნა ხერ ატლუდა, ვოტ ტვიო დოვიოროდნი ბრატ ატპუსკაეტ ტვიოაო!..“ — ბიჭებმა. არა — დგას. გვიყურებს გიჟივით. იმ წუთს მაგის თავში რა ხდებოდა, მარტო მაგათ აფხაზურ ქალღმერთ აუხარს თუ ეცოდინება. „და იდი ატლუდა, პოკა ნე პერედუმალ, კუზენ ხრენოვ...“ — ვუთხარი მეც და თან შემოვბრუნდი ზურგით, თორემ ჯერ კიდევ ხელები მიკანკალვდა. ვერ გაიანძრა, ვიდრე ბიჭებმა ქერში არ სტაცეს ხელი და ისე არ გააგდეს ძალით.

მერე სულ ვფიქრობდი — ხო ვითომ ჩათლახები ვართ ეს ქართველები, თან მანინც დებილები ვართ. სანყალმა გული გვაქვს. ახლა თვითონ რომ ჩამიგდოს ხელში, ხო დედა... მეთქი — სოხუმის დაცემის დღეებში, როცა ყველაზე მეტი ხალხი დავკარგეთ, მათ შორის ისიც, აფხაზ ჭყონიას სიფათი რომ ამოუნაყა, დაიგინა, მე ტყვედ არ ჩავარდებო და მერე ჩემივე ხელიდან უეჭველი სიკვდილი გადაარჩინა. არც ჩავარდნილა ტყვედ, შესარულა თავისი სიტყვა. რუსის სნაიპერის ტყვია მოხვდა სოხუმისთვის უკანასკნელ ბრძოლაში, პირდაპირ ღვიძლში მოარტყა იმ ბოზისგაზრდილმა და ერთი საათის შემდეგ პირდაპირ ეგრე ფეხზე მდგარი გარდაიცვალა. დარჩა სამუდამოდ სოხუმში; მე კი როდესაც სხვა ცოცხლად დადარჩენილებთან ერთად ცეცხლის ალით განათებული სოხუმიდან გამოვწვევას ვცდილობდი, მაშინ კი არ მიფიქრია ამაზე, მაგ დროს მეკიდა, მაგ დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გამჭვირვალე დენით გავსო ქუჩები, ზღვა, მთები, ტყეები და ლამის რეალურად ვხედავდი ყოველი ზალბის ან ჯერის შემდეგ როგორ იყოფოდა, თითქოს იჭრებოდა ჰაერი. უფრო მერე, დაბრუნების მერე, როცა მორიგი ღრეობის შემდეგ მოვეყვი ჩემ აფხაზ ბიძაშვილზე, თუ მოგვარეზე, რომელსაც საკუთარი ხელით ვხვრეტდი, მამის ვიფიქრე პირველიად, იქნება დამინახა კიდევაც და გამატარა, არ მესროლა. მერე და მერე სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი იმ დღეებზე, მაგ ბიჭზე და ბოლოს ისე გამისწორდა იმის წარმოდგენა, რომ მართლა არ გამიმეტა და არ მომკლა, ახლა თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ასეც მოხდა, ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს — ასე ამთავრებდა ჭყონია თავის ამბებს, ისევე გიტარას იღებდა ხელში და საკუთარ ბლაღებს მღეროდა ქართულად და რუსულად.



გაგონი და ნამიბია

მე, ვისაც შენზე ოცნებაში, ორი ღამეც კი, ჩემო ძვირფასო, ვერასძალით გადამიბია... ყველა სიზმარში შეგექცევი, როგორც ხამანკას, ხარ უფრო შორი, ვიდრე გაბონი და ნამიბია. მე, ვინც თვალეში მოგიშენა ორანჟერეა, სულის შიგნიდან ამოყვანილს, გირგავ ლილიებს... ყველა ხმაური უსახლო და უნიჟაროა და სიჩუმე კი მეტი წილი ჩემი ფსკვნილია, რომელსაც მუდამ დავატარებ: დოღზე, მეტროში ან უმიზეზოდ გამოვდივარ, როცა სახლიდან... როცა იზრდება მწუხრის პირზე ღამის რეტუმი, როცა მეზობელს მივაგინებ თავის ძაღლითურთ, ვისი ადგილიც შეგულება სადმე გადაღმა, სადაც ნაკლები ხეებია და ქრის დებოში: სამუმი, სარმა, სიროკოზეც მე ვარ თანახმა, ოღონდ არ მოფსას ფეხანგვით ვინრო კორომში. მე, ვისაც სული, სრული წონით, სადღაც ორი გრამ ნახევარი და უფრო ხშირად სამიც გამომდის... შევეკედლები ინფლაციით დაღლილ ორიგამს და ყველა ქალაქს მოგამსგავსებ ხვალ საღამომდე. მე, ვისაც შენზე ოცნებაში, ორი ღამეც კი, ჩემო ძვირფასო, ვერასძალით გადამიბია... ყველა სიზმარში შეგექცევი, როგორც ხამანკას, ხარ უფრო შორი, ვიდრე გაბონი და ნამიბია.

ინფორმაცია

ხანძარს მიეცით მთელი ჩემი ცრუ პოეზია, პოეტთა კურსი ჩემ მიმართ რომ ოდნავ გამყარდეს... გაცვდი იგოეთს, რომ მეხილა ინდონეზია, რომ ხელისგულზე გადამშლოდა მთელი ჯაკარტის ამოუცნობი, თბილი ჰავა, ზღვა — ბუნგალოთი, სადაც ნაკლები ეგზემა და მუცლის ტიფია; მე — მიდრეკილი სასმელისკენ, ნებით გავლოთდი და ვგავარ ახლა უარაფრო კაცს და ტიპიურ, მოსაწყენ ფრაზებს ყველა ყლოუპის ზიარად ვტოვებ, რადგან უფროა დანდობა და შეებაც — უფასო... აქ, ბელადები განაგებენ უგუნურ ტომებს და მე კი ყველა მწუხრის პირზე შევთხოვ უფალს, რომ: არ მოვკვდე ძილში, არ მჩვევია უთქმელად წასვლა, არ მსურს კედელზე მტვერი მედოს, როგორც გობელენს... უძღები შვილის ერთადერთი შემოვრჩი ასლი, მაგრამ არსაით მელოდება ჩემი მშობელი. ხანძარს მიეცით ყველა სველი იასამანი, ენძელის კურსი იებთან რომ უფრო გამყარდეს... მსურს, რომ გალოთდეს ყველა ტომის უღალი შამანი, რომ ყველა მურწა ემეგობროს მშიერ ყარყატებს, რომ ეს აბსურდიც შეაფასოთ გენიის ბოდავად და ხანძარს მისცეთ მთელი მისი ცრუ პოეზია, თუ მოჩვენებაც მოსვენებას არ აძლევს ოდნავ გაღვივებულ პოეტს ანდა სულაც იმ დონეზეა, რომ სულერთია: პრადა, მინსკი და იგოეთი, რომ ხსოვნის მიღმა ისევ მიყვარს და ამნეზია ვერ მომეძალა, თუმც არ მახსოვს ბროდსკი, გოეთე, გაცვდი იგოეთს, რომ მეხილა ინდონეზია...

BENIMADIM KIRMIZI

ხშირ შემთხვევაში, ჩემო კარგო, ისევ ვამუქებ შენს გრავიურას, დამწყვედული შენ ხარ დანაე... სტამბოლის ხიდზე გელოდები, როგორც ფამუქი, რუმელიაში, რომ იტყვიან, სულ სხვა დონეა, მთვარე განივად იმზირება, გააქვს ლაპლაპი, მარჯვე დიაცი ასეთ ღამეს სარეცხს გაფენდა და ვარსკვლავებიც მოხეული ცაზე — ლაბლაბო, მე — ვერ გაცვდილი სხეულს სული — ზარიფ ეფენდი, ვგრძნობ, რომ სამყარო ვინროვდება თანდათანობით, ჩემში ეს ინვესს უსასრულო სივრცის შეგრძნებას... სამხარის მერე, რომ დამხარის ხომლით ტატნობი, ასეა ხოლმე, ძვირფასო, call me, თუ არ შეგრცხვება. სადღაც შვიდისკენ, ხიდიქითურ ისმის ეზანი, ფრთათეთრ თოლიებს ანაცვლებენ მუეძინები... მე ყოველ ღამით მესიზმრება: კლიმტი, სეზანი და ჟირაფებიც ღამ-ღამობით არ მაძინებენ. ხშირ შემთხვევაში, ჩემო კარგო, ისევ ვამუქებ შენს გრავიურას, დამწყვედული შენ ხარ დანაე... სტამბოლის ხიდზე გელოდები, როგორც ფამუქი, რუმელიაში, რომ იტყვიან, სულ სხვა დონეა...

\*\*\*

დროდადრო დღეებიც რუხდებიან, ჰგვანან ვადაგასულ შოკოლადებს... ქალაქს ერთფეროვნად შეუხამეს ძველი, გასანმენდი ვიტრინები; რადგან უადგილოდ წუხდებიან, ახლა ბოჰემური აკოლადით, ღმერთიც, პარიზიც და შუალამეც ისე შესაშურად იტრუნება, როგორც არსებითის შეძლება ანდა უარესი — უქონელის... როგორც გენიოსის სიმარტოვე, როგორც აქსიომა — საკამათო,



გიორგი ბალახაშვილი

ქობი — სეიშელის კუნძულებთან, რქოსან-ჩლიქოსანი საქონელით, სადაც არსებობას ვამარტივებ, სადაც ბრინჯიანი საკე მათობს, თქვენთვის უცხოა და შემეტება, თუმცა შეუცნობად პარადიგმებს მე ვერ შეგასწავლით ვერასძალით, რადგან თავთავებიც ფუყდებიან, როგორც ვერმოჭრილი მონეტები, ანდა მოჭრილი და ფარატიანა, რადგან ვერ მიგებენ ეროსულად, როდის გამოძვრებით მუყაოდან, სადაც ერთადერთი სამყოფელი ვითომ ღია ცის ქვეშ დაიგულეთ, ქალაქს ერთფეროვნად შეუხამეს ძველი, გასანმენდი ვიტრინები... ერთხელ მოგადგები კმაყოფილად კართან, კესანების თაიგულით, ღმერთიც, პარიზიც და შუალამეც, სადაც შესაშურად იტრუნება.

ნიცური ტრიოლატი

მე ვარ შუაგულ ნიცაში და ივლისური ხვატი კანს მირუჯავს, მელამუნება, კამასუტრაა ერთგვარი... ზღვას თეთრი კვამლი აუდის, უბუნედიქტო ვატიკანს, მე ვარ შუაგულ ნიცაში და ივლისური ხვატი კანს მირუჯავს, სასმელს ვუხამებ რიგიერაზე „კალინკას“, ვერ დამირჩება ფხიზელი ვერცერთი გოგო, ვერც მთვარე; მე ვარ შუაგულ ნიცაში და ივლისური ხვატი კანს მირუჯავს, მელამუნება, კამასუტრაა ერთგვარი... ასეთ დროს ჰქვია მისწრება კანაფს, გვიანი ენკენის, ოდნავ ნებოვანს, რომელიც რჩება გაცვარულ ნუნებთან; მთვარემ პერანგად მოირგო ეს ბოთლი heineken-ის, ასეთ დროს ჰქვია მისწრება კანაფს, გვიანი ენკენის, მე მწვანე ბოთლში ვიხილე მთვარის უცნობი რენტგენი, ყელში გაჩრილი რევერსი, ბოთლი, მთვარე და მონეტა... ასეთ დროს ჰქვია მისწრება კანაფს, გვიანი ენკენის, ოდნავ ნებოვანს, რომელიც რჩება გაცვარულ ნუნებთან.

გიტოვებთ ქალაქს

გიტოვებთ ქალაქს, ბინძურსა და ხმაურით სავსეს, ქალაქში, სადაც ჩვენი მეტი მეძავებია... სადაც ოცნებებს მიაკერეს ფრთების წილ-წავსი, სადაც ყოველი სიტყვის მერე იძაბებიან. გიტოვებთ ქალაქს, ურწმუნოთა სამყოფელს, ბუდეს; ქალაქს — თავისი რჯულითა და კონფესიებით... ქალაქში, სადაც არ გამოვლენ კაცები ქუდზე, სხვადასხვა გვარის, ასაკის და პროფესიების. გიტოვებთ ქალაქს, ამფითეატრს — სიყაღბის, ფარსის, ამ ცრუ სპექტაკლებს დავარქმევდი ანშლაგებიანს; სადაც გოგონებს აღარ ახსოვთ შტრაუსის ვალსი და სადაცაა, მთელი სხეულით ამლაშდებიან. გიტოვებთ ქალაქს, სხვა ქალაქის რეკვიზიტებით, სატელეფონო ინდექსით და საფოსტო კოდით... გიტოვებთ ქალაქს, ბოლო მოდის ეკიპირებით, გიტოვებთ ქალაქს, მახინჯი და უხამსი მოდით. გიტოვებთ ქალაქს, ბინძურსა და ხმაურით სავსეს, ქალაქში, სადაც ჩვენი მეტი მეძავებია...

სადაც ოცნებებს მიაკერეს ფრთების წილ-წავსი, სადაც ყოველი სიტყვის მერე იძაბებიან.

თოლია

ფერმკრთალი ზეცა — ნამარტალი დღეების ფონზე, ჭეშმარიტების ძიებაში დაღლილ თოლიებს გაიყოლიებს... იქ, სადაც სივრცე შემართების არის საბაბი, ერთ ხელის გულზე იშლებიან: ადის-აბება და ნეაპოლი. პარიზის გასწვრივ, მერვე ოლქში, სადაც ლუერია, დღეს თოლიები კონკორდიდან ფერხულს უვლიან, შარლ დე გოლამდე. მეც თოლია ვარ, მესიზმრები, ასჯერ, ათასჯერ, ყველა ცათამბჯენს გადმოვიფრენ, კოცნით დამსაჯე, სული მომანდე!

POST ალიონური

შესაძლებელია ან უფრო დასაშვებიც, რომ მე ვარ კასრი, რომელშიც ცხოვრობს უკიდურესად ლოთი დიოგენე... რომელსაც ლისაბონელი ინკვიზიტორივით, ზე მკაცრად ვანვალებ. ნამების ახალთახალ ხერხებს მივაგენი. უკანასკნელი თვეებია, რომ მისხალი ლუდიც კი არ გადამსვლია არათუ ხახაში, არამედ სასულეშიც... ფხიზელ დიოგენეს მიყოლებით ესიზმრება: ჩუდდუკი, კეპოტი, ხაიამი, ბუკოვსკი — სურს, რომ მათსავით გაიღუმოს. მე კი ბოლო ხანებია უბნის საცხოვრებლად მომისაკლისეს, სანერ მაგიდასთან ნაუკითხავად დამრჩა „გამსახურდია“... კრიალა ვიტრინიდან მიმზერს თვალები — უშენობის პარაკლისი, დილაობით რომ მაცილებენ მრავალპროფილიან სამსახურამდე. კორპუსის ლიფტებშიც გადავჩვიე ავტოგრაფების დატოვებას და ისე ხშირად მეშარდება უსმელობისგან ალკოჰოლური სასმელების, რომ ვერ გადავიტან ჩემი მდგმურის გაავებულ ღრიალს, სიფხიზლის ღრინაცელს და ამო-ძახილს: „алюра“! შენი აივნიდან გადმოფენილი ვარდისფერი, შავხაზება პირსახოცი სახეზე მელამუნება და ვემსგავსები მოუღალწვერო მეფისტოფელს, რომელმაც ირწმუნა საკუთარი არარაობის სისრულე, სიავხორცე და შეიძულა ყველა თამაში — გარდა სიტყვებისა და ეიფელი. მე ყოველ ღამით ვმარხავ მუსიკის აუხდენელ ოცნებებს შუბერტის ნაცრისფერ სასაფლაოზე, წელში გამწყდარი მაკედონელივით. მერე კი, ენდორფინის ჭარბი რაოდენობით ფრიალ შუბერტყილ საკუთარ თავს ვეუბნები, რომ ფეხზე უნდა დაიკიდო ყოველივე, მათ შორის: გრიპი, რომელსაც ჩვენში ჰქვია უფრო ვირუსი, არაფრის მომტანი ფედერაციები: ჭადრაკის, გოლფის, იუნესკო. საკმარისია ოდნავი ბალახი და იმპორტნარმოების პაპიროსი, რომ დაგმო ყველა თავისმკვლეელი, მათ შორის რიუნოსკეც. მე ვხედავ მხოლოდ ფერად ანარქისტებს. გუშინ ნაშუალამეზე მოვიპარე უსარგებლო და მივინყებული კარტრიჯი არქივიდან სათნოების. ჩემთვის იმდენად უინტერესოა დაღლილი მეთევზე, მაპი, ვეზუვი, სოპრანოს კლანი და, ღმერთო, ალ-ქაედა! საკმარისია ჩავიცვა ინგლისის ნაკრების წითელი ზედატანი და მანქანები ისეთი ეშხით ჩერდებიან ჩემს წინაშე, როგორც შუქნიშნის. ჩემი ქვეყნიდან გამაქვს უკანონოდ შემოტანილი მეტადონი, გრიმოდინი, ბაკლოსანი, ბადრიჯანი, სოიო, რძე, თუთის პუნში. ხოლო ღმერთი კი ჩემს ანჯღრეულ და ფრიალ უნესრიგო სახლს უფრო ხშირად სტუმრობს, ვიდრე ყულაბებით გადავსებულ ეკლესიას. ჩვენ 3D სათვალთ ვუყურებთ ერთგანზომილებიან მასას ანუ ხალხს და ამ ყველაფერს, ღმერთო ჩემო, ჰქვია Post ალიონური პოეზია!

\*\*\*

ამ ოთახებს არაფერი აქვს საერთო სიყვარულთან.  
 აქ გამუდმებით გაისმის დახოცილ ანგელოზთა გმინვა.  
 ეკლესიის ზარები კი მთელი მონდომებით  
 უმღერენ მოკლულ ღმერთს,  
 ხატებსა და წიგნებში გამომწყვდეულ ღმერთს,  
 რომელსაც ვყიდით.  
 ვყიდულობთ.  
 ერთმანეთს ვპარავთ.  
 ვიცვამთ და ვიხდით,  
 ვმალავთ და ვაჩენთ იმის მიხედვით,  
 ჩვენს საქმეს როგორ წაადგება.  
 ჩვენ, ყველას, საკუთარი ღმერთი გვყავს  
 ისეთი, ჯვარცმულ მაცხოვარს  
 ოდნავადაც რომ არ ჰგავს.

**ეპო**

„ამ ლოდებს ერთ დროს ადამიანები ერქვათ“ —  
 ჩამჩურჩულეს ქვეცნობიერი.  
 სერპანტინს მივუყვები და  
 მელიმბა ნაჩურჩულევზე,  
 მაგრამ დიდი ხანია გაცოცხლდა გადავეჩვიე.  
 წარმოდგენაში აფრიალებულ კადრებსაც  
 არაღ დაგიდევთ.

გზას ვაგრძელებ —  
 კლდის ვეება ჩრდილს ვეტოლები.  
 მუხლებამდე ამოცოცხლულ ხავსს თითებით ვფშვნივ,  
 ვათვალისწინებ:  
 გვირილის მტვერი,  
 ჭიამაის ფრთა,  
 ფიჭვის კევი  
 და კიდევ რაღაც გაურკვეველი ფორმის  
 საგანი ილანდება

მის სიმწვანეში,  
 თუმცა, ყველაზე მეტად  
 სისხლშემზმარი ფრჩხილის ჩამონატეხი მზარავს.

ფეხზე რომ მომეკრო,  
 უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა.  
 ნეტა ვისი იყო,  
 აქ რამ ჩაკარგა,  
 როგორ იცხოვრა ოდესღაც,  
 სადღაც,  
 რას მოელოდა,  
 ან ჩემთან რაღამ მოიყვანა  
 ასე,  
 ამ სახით?!  
 რატომ მომენდო?!  
 ცოცხლებზე მეტად მკვდრებს სჯერათ ჩემი.  
 სინამდვილეში, არც წყალზე მეტად ერთგული ვარ,  
 არც ყარყატივით მზრუნველი  
 და სიკვდილისთვის მიცემულ ფიცსაც  
 ვერასდროს შევცვლი —

გრძნობისმაგვარი რაც კი შემომჩნა,  
 უხმოდ გადამაქვს  
 ფიქრიდან ფიქრში,  
 ცრემლიდან ცრემლში,  
 კუზიდან კუზში.  
 ხან ერთ ლუკმაში ჩავატევ და  
 ხანაც — უვადოდ ვაშიმშილებ,  
 უმტკივნეულოდ ვანანევრებ,  
 ვყინავ.  
 ვინახავ.  
 უმზეოდ ვმარხავ.  
 გაქვავებასაც ხმა ჰქონია.  
 ლოტის დროიდან  
 მძიმედ მკვიდრდება ქვად შობის ექო.  
 უსაზარლესი ხმით ჰგოდებენ,  
 მრავლებიან  
 ჩემ წინ ლოდები.

**(შე)საქმა**

თითქოს სამყარო ეს-ესაა ჩემთვის შეგექმნას —  
 მონუსხული ვზივარ და გისმენ.  
 მესაუბრები და მიღიმი  
 ბევრ სხვა ღიმილს გამოცდენილი

ბავშვის მიმიკით.  
 მიღიმი მქრქალი უღონობის ქვაკუთხედიდან.  
 ჩვენს შორის მძიმე რეალობაა: ეპოქების,  
 გეოგრაფიული არეალების,  
 განწყობებზე გადანაწილებული

ტკბილ-მწარობის ვრცელი მენიუთი.  
 ქარიშხალსაც აქ მოუნდება  
 აზრების ფრქვევა:  
 შემოიჭრება,  
 მოიყოლებს ათას წვრილმან თავგადასავალს,  
 ლაქლაქებს დიდხანს,  
 ბოლო ხმაზე,  
 მაგრამ მისი ქაქანი  
 რას გააქარვებს ბოლოებმოჭმული და  
 ნუნებდაკვნივტილი ტკივილის ექოს?!  
 ერთმანეთს ვბაძავთ დათმენაში მე და ღამის ცა.  
 ცა რაც გავიცან  
 მეც მშვიდს ვგავარ —  
 ლურჯ და გლუვ სპეკალს,  
 მთვარის შუქით მომინანქრებულს.



**ხათუნა როგავა**

ვზივარ და გისმენ.  
 მაინც გისმენ.  
 თორემ შენც იცი,  
 ღმერთივით იცი —  
 ვერა უშველის  
 ჩემი სულის ამოხაპულ და ბნელ ორმოებს.

**გადარჩენისთვის**

დალაღე ღამე.  
 მიაყურე კვილი ძვლების.  
 დროს გააყოლე ყველაფერი,  
 რაც არ მოიცდის  
 ისევ იმგვარად,  
 ვით გაგანდეს  
 ბრმა დერევიშებმა  
 მზის დაკრძალვაზე,  
 საიდუმლოდ,  
 მხოლოდ ორისთვის.  
 ცოცხლები გვქვია,  
 დავრჩით ბრმებად და  
 უბრალოდ.  
 შეუბუმბლავი იმედებით;  
 გულზე ნაპრალით.  
 ბენვის ხიდები ფეხქვეშ წყდება.  
 ვერ ვიმყოფინეთ  
 წყლად და ხმიადად  
 მიჩნეული  
 ფიქრი საპყარი.  
 სხვები გადარჩნენ.  
 საზარელი გაშრა იარა.  
 ჩაცხრა ნადილი.  
 მინვა ვნება ყინვის ნეკნებთან.  
 შენ რაღაც კრთები.  
 რად კანკალე.  
 მარტო არა ხარ,  
 ღამე, ვით უნინ, ასფიქსიურ სიტყვებს ეყრება.  
 ნაღმი განმალმველს კლავს.  
 ნაღველი დაგლის.  
 იყურე.  
 ეს უფრო სიტყვით თამაშია.  
 რაღაც ასეთი:  
 „თმა რომ მთაშია გადაღებილი.  
 ინა რომ ანის დახატავს და  
 ანწლი წინწარში თმას ინწნავს  
 წარბანეული“.  
 გენიშნა?!  
 მიხვდი?!  
 ჩვენ სულ ვთამაშობთ:  
 ვანყობთ და ვანგრევთ სასიტყვეთის ფერად ხუხულებს.  
 ზაფხულს ვაზამთრებთ, ან — პირიქით,  
 თოვლისკვერს ვაცხოვრებთ  
 გადამტვრეული თითებით და  
 უუფლებობით.  
 ვლურჯდებით თხემით ტერფებამდე.  
 ვკვდებით.  
 ვცოცხლდებით,  
 რადგან  
 ბოლო მნივე ჰაერს ისევ იმათ ვუნახავთ,  
 ვინც ამინდს გვიქმნის მონატრებულს, დაუკითხავად.  
 ვინც გვენანება საჩვენოდ და გადარჩენისთვის.

\*\*\*

ის, ვინც მომიკვდა,  
 დაბადებამდეც ჩემში სახლობდა.  
 მაშინაც მკვდარი ერქვა,  
 მაგრამ რაღაცა დროით მარისს ჰყავდა მიბარებული.  
 იყო ფიქრით გამჭვირვალე და მსუბუქი,  
 მაგრამ ტვირთმძიმე.  
 ყველას ზაფრა და სპლინი ყელზე შემოგრეხოდა.  
 ვერ ერეოდა.  
 გასაოცარი ის იყო, რომ გზადაგზა კიდევ იმატებდა,  
 უფრო იმ სულებს, რომელთაც ქვეყნად  
 აღარავინ ჰყავდა მშველელი.

უხმოდ,  
 უსიტყვოდ კლავდა დროს  
 და მლაშე კრისტალებთან  
 ლოდადქვევის ტრაქტატს დებდა,  
 როცა ვაიძულე, მოესმინა.

მხოლოდ იმიტომ დამთანხმდა,  
 რომ გზიდან ჩამოვეშორებინე.  
 ვსაუბრობდით და  
 მის ხმას ზღვის ტალღების ექო ერთვოდა.  
 სუნიც ზღვის იდგა —  
 მოლუსკების და  
 მედუზების სხეულგამოვლით ამძალებული.  
 გაკვირვებას გადაჩვეული არაფერს ვიმჩნევდი.  
 მერე თვითონ გამანდო, რომ  
 წყალში იყო ფესვებგადგმული  
 და საკუთარ მკვდრებს ცოცხლად ინახავდა.  
 არ ვიცოდი, რას ნიშნავდა

მკვდრის ცოცხლად შენახვა და  
 თვითონვე ამიხსნა, რომ  
 დანარჩენ სამ სტიქიას არ სცნობდა.  
 რომ მხოლოდ მასში იყო სიცოცხლე.  
 რომ გარდაცვლილებიც ზუსტად მასავით ფიქრობდნენ.  
 უკვდებოდნენ მიწას,  
 ჰაერს,  
 ცეცხლს  
 და წყალში სახლდებოდნენ,  
 მის მლაშე ფესვებზე  
 შენდებოდა მათი „შინ“.

ათასში ერთხელ დედამინელობასაც ისიზმრებდა.  
 ყოველი სიზმარი კვდომას უფრო აახლოებდა.  
 ყოველი სიზმრის შემდეგ  
 მარილს აღარ შეეძლო ხრწნის შეჩერება.

ყველაფერმოებზრებული,  
 ჯიუტად მივდიოდი მასთან,  
 გამოვიხმობდი სამად სამი სიტყვით და სანამ  
 გამოსცურავდა,  
 მტკივან მხრებს ვამზადებდი სიმძიმისგან  
 გასათავისუფლებლად.  
 მოდიოდა და ყოველ ჯერზე ვამჩნევდი,  
 როგორ მძიმედ მოაპობდა წყალს  
 ქვამარილის მზერადაბზარული სვეტი.  
 მოდიოდა და ვხვდებოდი,  
 ერთხელაც, ვეღარ მიშველიდა.  
 მთადქვეულ ლოდებს მხოლოდ ექო ეადვილებათ.

\*\*\*

შენ დაცლილ ქალაქში გადაბარგდი.  
 იქ მხოლოდ აჩრდილებილა დალასლასებენ.  
 დაიკარგე, მაგრამ გარწმუნებენ, რომ ესაა თავის პოვნა.  
 შენ იჯერებ.

ასე მხოლოდ თავზე ქერის  
 ტოპრაკჩამოცმული ცხენები ღლიან მიწას.  
 ასე მხოლოდ თვალზე  
 ლიბრი უსქელდებათ ხელჩაქნიულებს.

ასე თავს ისჯიან.  
 დამსჯელი, გულიდან ამონვეტილ სამსჭვალებს  
 ტყემლის ყვავილებად იშლის ბაგეებზე  
 და გგონია გაზაფხული დაგეგდა.  
 გგონია თავისუფლება დათესე და  
 ოდესმე სამკალშიც მოგინევს გასვლა.

ან იქნებ არც არაფერი გგონია.  
 უბრალოდ, ძალიან დაიღალე.  
 უბრალოდ, ვერატანილი უსიმპტომო ფობიის  
 ჯანლი ჩამოიწურე მხრების რკალიდან.  
 მივიწყებული სამალავიდან გამოზიდულ მკვდარ  
 პერსონაჟებს შორის ჩაიხდგი კარავი და ისევ მიყურდი.  
 აქა-იქ ძილში გაგუდული კრთიან ნოტები  
 და იტოტები მარყუჟებით,  
 ცაიტნოტებით.  
 დაღლის ხელახლა შებრუნებამდე,  
 სულო ეულო.

**ტამაყრა(ტურა)**

გამიზნულია ყველა ყვირილი.  
 ჩურჩულიდან მოყოლებული ყველა ბგერა გამიზნულია.  
 არ გიზრუნია ამაოდ და თვალმისაცემად,  
 რომ გადაღლილი მეტაფორის

გაცვეთილი გულისპირიდან  
 ჩამოგეფერთხა  
 კუთვნილებითი ნაცვალსახელის  
 გაცრეცილი და დეფორმირებული,

ჭიანჭამი ნაწილები,  
 მონყალეზად მიმოგებნია შენ გარშემო,  
 მხრებზე ბუერაამონვერილთა მისატყუებლად.  
 დღემდე ერთგულად კვებავ შიშებს —  
 უსახურობის ერთფერ კლავიშებს  
 და ცოტავდები:  
 მარცვალ და მარცვალ,  
 გაცვილილ და ნაცვალ,  
 გახდილ და ნაცვამ,  
 შეშლილ და დამცხრალ  
 მიმიკრიული ინსტინქტებიდან  
 ხელოვნურობის ხელოვნებამდე  
 გეზაღებული.  
 სხეული იყავ.  
 დარჩი სხეული.  
 სნეული იყავ.  
 დარჩი სნეული  
 სნეულებს შორის.

გაგრძელება

ბექა ქურხული

# თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერები ანუ ღებთი-ყივჩალი



ბოლოს ბიჭები ნელ-ნელა რომ იშლებოდნენ, უკვე მაგარი მთვრალი, სასონარკვეთილი და თვალზე ცრემლმომდგარი ჭყონია გიოს სრულიად გულახდილად ეუბნებოდა, სიკვდილი მინდაო. გიოც ჩვეულებრივ რიჟა ბაზარს იწყებდა — არა, არ გინდა! რომ ეს ყველაფერი კლასიკური „ვიეტნამური სინდრომი“ა, რო მაგრა ტეხ-ავს თავის მოკვლა, რომ ჩვენ სხვები ვართ, მაგარი ბიჭები და მსგავსი სისულელეები და სიაფანდობები. ორივეს ძალიან კარგად ესმოდა ერთმანეთის და ორივე ხვდებოდა, რომ ერთნაირად უნდოდათ სიკვდილი, მაგრამ რაკი პირდაპირ სიკვდილის არც შანსი, არც უფლება არ ჰქონდათ, რადგან ერთს მოხუცი, ნაოპერაციები დედა ჰყავდა და მოსავლელი და მეორე კი უკვე ისე იყო დროსა და სივრცეში დაკარგული, რომ სულ ერთი გახლდათ, იქით იქნებოდა, თუ — აქეთ და რაკი სროლაში სიკვდილი არ გამოუვიდათ, სხვა მათზე ილბლიანების, თავის დროზე დალუპულებისა და სამშვიდობოს გასულებისგან განსხვავებით, ჩუმ-ჩუმად, გაუცნობიერებლად, ან შეიძლება, ძალიან მიზანმიმართულადაც ცდილობდნენ, სასმელსა და ნარკოტიკში ჩახოცილიყვნენ. თუმცა ხელმოკარულებს არც ეს გამოსდიოდათ. მეტიც, რაკი დიდი ბრძოლისა და უთანხმოების მიუხედავად, როგორც მორწმუნეებს ღმერთი, ასევე ათეისტების უღმერთო ბედისწერა ცინიზმითა და დაუდობელი სისასტიკით სიამის ტყუპებით ჰგვანან ერთმანეთს — ჭყონია, რომელსაც სრულიად ალაღად და გააზრებულად უნდოდა სიკვდილი, იმის მაგივრად, რომ მომკვდარიყო, ადგა და ისე, რომ თავისი მეშვიდე ქორწილიდან წესიერად სუფრაც არ აელაგებინათ, ლამის იგივე სუფრით ახალი საქორწილო ტაბლა გაშალა. ოღონდაც ამ ზაპოის დროს მერვე ცოლის მოყვანა ვერ მოასწროთ და ეზარა, ამიტომ აიღო და ახლადმოყვანილ მეშვიდე ცოლს გამოირდა და მეექვსეს დაუბრუნდა, თან ისე, რომ სმა და გაგროს ამბების მოყოლა არ შეუწყვეტია. ამასობაში გიორგას ბეზრდებოდა ჭყონიას ასეთი თავბრუდამხვევი სლალომი არაყს, დაუსრულებელ სიკვდილსა და აურაცხელ ცოლებს შორის და იქვე პავლოვზე თავის კლასიკულ თან — „ხაჩიკასთან“ და „მაკენასთან“ — ინაცვლებდა. ხაჩიკა სომეხი არ იყო, ისევე როგორც „მაკენა“ არ იყო ამერიკელი შერიფი. ხაჩიკა პავლოვზე „ნითელი ბაღის“, იგივე „ბლიაძე პარკის“ გადაღმა, ძმები „ბუზუნების“ ეზოში ცხოვრობდა. მერვე კლასში დაბოლდა და სკოლის დამთავრების შემდეგ დედის ნათესავებმა ფოთში წაიყვანეს. რამდენიმე წლის წინ იქიდან დაბრუნებულს უსაშველო ზღვისპირული, უფრო ზუსტად კი, ფოთის ორი ძირითადი უბნიდან ერთ-ერთის — „ნაბადას“ — კილოკავი ჩამოჰყვა. „მაკენა“ კი მხოლოდ ნუცუბისის პლატოს ჭიუხების დიდილი შვილი იყო და ამ ქვეყნად მარტო ორი რამ იცოდა, აინტერესებდა და უყვარდა — ძმაცაცები და მანქანა. მანქანა მართლა აირტონ სენასავით დაჰყავდა, ვიდრე ბოლომდე არ გალოთდა და არ ჩაეშვა. ძმაცაცები მერვე ძალიან უყვარდა, მაგრამ რაკი მეგობრობა, მითუმეტეს, ქუჩის მეგობრობა, ხშირად ღმერთით, ცხოვრებასავით თუ ბედისწერასავით დაუდობელია, თავად იმ ძმაცაცებს აღარ უყვარდათ. დაცემასა და დამარცხებას უცხოები გაცილებით ადვილად პატიობენ ადამიანს, ვიდრე საკუთარი ძმაცაცები და ახლობლები. უბრალოდ იგიწყებენ და მორჩა, ამისთვის კი ათასი საპატიო მიზეზი გამოუჩნდებათ, რომ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს და ეგრე... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... არა, რა, ძმაო, სახედ თვისად კი არა, ღმერთს ადამიანი აშკარად არ გამოუვიდა. თუ შანსი მიეცა, აუცილებლად გადაუვლის მოყვასს და კიდევ უარესი, თუ თავისზე ძლიერი ნახა ან მოეჩვენა, რომ უფრო ძლიერია, ასევე დიდი მზადყოფნითა და კმაყოფილებით გადაიტარებს თავზე და მივიწყებული და ნაფორხილუბული ძმაცაცისგან განსხვავებით, სამარადჟამოდ ემახსოვრება და გაბრტყელებული და გაბახებული და ზედ გადავლილი სიმღერებსა და ლექსებსაც მიუძღვნის.

თუმცა მანამდე ჯერ კიდევ შორი იყო და მაკენაც აწყვეტილი დააფრიალებდა თავის ბაც შინდისფრად დაშპაკულს, მუქ შინდისფერ „BMW“-ს. გვერდით აუცილებლად ეჯდა ერთი ძმაცაცის მანაც და ერთი სიგნალით, ყვირილით, ხვეწნა-მუდარით, შანტაჟითა და გინებით ცდილობდა პათოლოგიურად ზარმაც ხაჩიკას გარეთ გამოტყუებას. ბიჭო, რას თათხავდა და აგინებდა?... სხვა ნებისმიერი მათი „ბრი-აშკიდან“ აუცილებლად გაიგებდა ნიხ-ლქვემ. უბრალოდ, მაკენას ის შეელოდა, რომ ხაჩიკა მოზვერივით ღონიერი იყო და სრულიად გაუცნობიერებლად წყნარად და მშვიდად თავს არ უყავდრებდა, არც უსმენდა. გაბითურებულ მაკენასაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ მეორე ძმაცაცთან ერთად, რომელიც იმ დღეს ხელში ჰყავდა მოგდებული, გიორგა იქნებოდა, ზუკა, პომოჩა, კედელა, ტაპორა, ვაშლიკა თუ სკლიფა, თვითონაც გვერდით მიჯდომოდა რომელიც სენატორივით ზენარში — ტოგაში — გამოხვეულ ხაჩიკას, რომელიც იმდენად დარბაისელი და საკუთარი ღირსებით აღსავსე ადამიანი იყო, რომ ჩაცმაც კი ეზარებოდა და გინებითა და წივილი-კვილით დაღლილსა და არაქათგამოლეულს მასთან ერთად ეყურებინა ტელევიზორში... რაკი ყველაფრისთვის — „მაკენას ოქროთი“ დაწყებული, „ტომითა და ჯერით“ დამთავრებული. ცოტა სულს რომ მოითქვამდა, მერე ხვდებოდა, რომ ხაჩიკამ კიდევ ერთხელ გააცურა და „მწარედ მოატყუა“. უცებ წამოხტებოდა, თან ცალ ხელში თავისი ბანდის რომელიმე წვერი ჰყავდა ჩაბლუჯული და კარს გაიჯახუნებდა. ხაჩიკა კი ისევე მშვიდად უყურებდა ტელევიზორს, თითქოს იმ დღეს არც მაკენა ენახო და არც არავინ. რა ენადვლებოდა, რა — იცოდა, მეორე დღესვე იგივე გამეორდებოდა და ისევე დაადგებოდნენ. მართლაც მაკენა მონყვევით გაზავდა ადგილიდან თავის აგრუხუნებულ „BMW“-ს და საოცარი, წარმოუდგენელი სიტყვებით იფიცებოდა და იგინებოდა, რომ მისი ფეხი აღარ იქნებოდა ამ მუდაკისა და ავადმყოფის ეზოში. თუმცა მეორე დღესვე ერთგული ჯარისკაცისთვის ისევე ადგილზე იყო და გააფთრებული უსიგნალებდა „იმ მუდაკს“, რომ როგორმე მოწყალეობა გაელო, ჯინსები ამოეცვა, ეზოში ჩაბრძანებულიყო და ბედნიერ და გაბრწყინებულ მაკენას მანქანაში ჩასჯდომოდა, რომ მერე მთელ საბურთალოზე — ნუცუბიძიდან ხილიანამდე — სრულიად უაზროდ, უსაგნოდ და უმიზნოდ ემზებოდა. ეგ კიდევ არაფერი, მთავარი უბედურება და ტრაგედია მაშინ ტრიალებდა, თუ ხაჩიკასთან მასთან ერთად აყოლილი ძმაცაციც დაალაღატებდა და იმის მაგივრად, რომ მასთან ერთად დაშვებულიყო კიბეზე და ხაჩიკას გინებასა და წყევლა-კრულვაში აჰყოლოდა, ისიც ხაჩიკასთან მოინდომებდა დარჩენას და მაკენას მარტოობისა და მანქანაში ეულად

ჯდომისთვის განირავდა. აქ უკვე მისი აღმშობლები მდუმარე მრისხანებასა და სიძულვილში გადადიოდა და შეიძლება, მთელი... ორი ან სამი დღეც კი აღარ გამოჩენილიყო.

გასაგებია, რომ მაკენას მაკენა იმ ცნობილი „მაკენას ოქროს“ პონტში დაერქვა, რომელიც ომარ შარიფი, გრეგორი პეკი და ელაია უოლაში თამაშობდნენ. ბავშვობიდან მაგრად ევასებოდა ეგ ფილმი. თბილისელ ბიჭებში იმ დროს უფრო სხვა ვესტერნები — „შესანიშნავი შვიდეული“ და „ცუდი, კარგი და ბოროტი“ იყო მოდამი. იმდენ ბრინერი, ჩარლზ ბრონსონი, ახალგაზრდა რონალდ რეიგანი, რომელიც მერე ამერიკის პრეზიდენტი გახდა და საბჭოთა კავშირი ფაჩიკოს გარმონივით დაშალა და ელაია უოლაში, რომელმაც ჯერ იარაღი აჰყარა შესანიშნავ შვიდეულს, მერე ლექცია წაუკითხა ნუთისოფლის ამაოებზე, შემდეგ კი მათი წარმოუდგენელი სისულელითა და ვერაგული ლალაბით უზომოდ გაკვირვებული და და ტყვიებით ამოჭედილი ეკითხება — „თქვენ... თქვენ-ნაირი ბიჭები... მობრუნდით ამ ტურტილიან სოფელში... რატომ?...“ და თვალბეგაფართოებული კვდება და „ცუდი, კარგი და ბოროტი“ პირში სიგარაგაჩრილი კლინით ისთვუდით, რომელსაც სიცოცხლეში ნაფაზი არ დაურტყამს და ისევე ელაია უოლაში, რომელმაც უკვე მესამე ვესთერნში ამოყო თავი, სადაც ვირტუოზულად აწყობს რეკლავებს იარაღის მალაზიის ძარცვისას, სინამდვილეში კი, რეალურ ცხოვრებაში, სძულდა ყოველგვარი იარაღი და ანგელოზისთვალეობა, რომელიც ისეთი ნაბოზვარი იყო და ისეთი ახერხული ფიზიონომია და გამოხედვა ჰქონდა, რომ იმის იქითაც წასულა ასი წელი, სადაც ახლა არის!..

ჩვენი ნუცუბიძელი მაკენა აქაც გამორჩეული იყო და სრულ უმცირესობაში დარჩენილი ყურისწამლები ყიჟინით, დემაგოგიითა და ისევე მრავალსართულიანი გინებით, ისეთი გააფთრებით ამტკიცებდა, „მაკენას ოქრო“ გაცილებით უფრო მაგარი ამბავია, რომ, რალა დასამალია და, ერთი-ორჯერ იმ სიცილ-ხარხარში მწარედაც მოხვდა კინკრიხოში: „რას გვაგინებ, შენ ალაოდ ხომ არა ხარ, ერთი შენი კეთილებიც და მაგ მაკენას დედაც თავისი ოქროებით, აპარებით და ომარ შარიფით...“ სამაგიეროდ, მაკენას საპატიო სახელი კი დაიმსახურა და დიდი სიამაყითაც ატარებდა და ალბათ ახლაც ატარებს, თუკი ჯერ კიდევ ახსოვს მაკენა, კალვერა თუ ტუკო...

საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წლებში, მთელი ამ კომუნისტური მრწამსის გადასარჩენად, ვითომ გახსნილი საზღვრების, საჯაროობისა და „დემოკრატიის“ დროს, მარტო ვარგას ლიოსას „ქალაქი და ძაღლები“-ს თარგმანივით კომუნისტური ცენზურის გემოვნების თარგზე მოჭრილ, მოჭრილ და დამონტაჟებულ ვესთერნებთან ერთად, 90-იანი წლების ცნობილი განგსტერული ფილმებიც გამოჩნდა. „ერთხელ ამერიკაში“, „კარლიტოს გზა“, „ნაიარევი სახე“, „ნათლია“... ამათი რუსული „საჯაროობა“ და „დემოკრატია“ მარტო ამში გამოიხატებოდა, თორემ სინამდვილეში მთელ საბჭოთა კავშირში, ვინც კი კრემლს დაუჯერა და მართლა ხმა ამოიღო, თბილისიდან ვილნიუსამდე, რიგიდან გროზომდე და ბაქოდან ალმა-ათამდე, ყველა სისხლში ჩაახრჩვეს. მერე, მოგვიანებით, გაჩნდა არანაკლებ მარაზმატიკული და სულელური აზრი, რომ სწორედ ამ განგსტერულმა ფილმებმა გამოიწვია მამინდელი ახალგაზრდა თაობის იარაღისადმი ლტოლვა. ლამის ამ ფილმებს დაბრალდა ყველა ის უბედურება და ცოდვა-ბრალი, რაც იმ წლებში საქართველოში დატრიალდა. მოკლედ, ამათთვის რომ გეკითხათ, ამ ნახტომში მეტრანახევრიან ალპაჩინოს და „რძისფერ ბობის“ — რობერტ დე ნიროს — დაუტყვევიათ ეს ქვეყანა. წარმომიდგენია, თვითონ ეს რომ გაიგონ, როგორ გაუკვირდებოდა და რას იფიქრებენ და სულაც არ მინდა იმის გაგება, რასაც იტყვიან. პირდაპირ გასაოცარია, სისულელე ასეთი კოსმიური სისწრაფით როგორ ვრცელდება და მთელი ეს აბსურდი ასევე კოსმოსურ მასშტაბებს როგორ იძენს. სულელური თეორია სხვა სულელებმაც აიტაცეს და რაკი სულელები და ნათურები ყოველთვის უმრავლესობაში არიან და დიდ ძალასაც ფლობენ, დღემდე ძალიან მოდამია ეს აზრი. „რას ვიზამთ, მოდა მბრძანებლობს, ბატონებო...“ — როგორც ბარონი დიუ ვალონი, დე ბრასიე, დე პიერფონი, მეტსახელად კი პორტოსი ღრმავაზროვნად ბრძანებდა. თუმცა საინტერესოა, ზუსტად იმავე დროს, იმავე წლებში, იუგოსლავიის ომის დროს სერბებმა, ბოსნიელმა მუსლიმებმა და ხორვატებმა რომელ თრილერებს უყურეს? ან აფრიკაში, რუანდაში, ხუტუს მიერ ტუტსის გენოციდის დროს, როცა ტუტსები იმაში იხდიდნენ ფულს, რომ დაეხვრიტათ და მარტელებით არ აჩვენათ, „ინტერნახამეს“ ხუტუს მებრძოლებმა რას უყურეს? და აზერბაიჯანელებმა ყარაბაღში? ან ჩეჩნებმა? თუმცა იქით უფრო „Brave heart“ და მელ გიბსონი იყო მოდამი. და 30-იან წლებში, ლავრენტი პავლეს ძე ბერიას კაბინეტთან რიგი რომ ედგათ და ერთმანეთს აბეზღებდნენ, აციმბორებინებდნენ და ახვერტინებდნენ, მაშინ რალას უყურეს? „კომლემურნის ქორწინებას?“ მეფე თეიმურაზ პირველმა და სარდალმა გიორგი სააკაძემ რას უყურეს ბაზალეთის სამოქალაქო ომის დროს?... უილიამ შექსპირის ჩინარდ III-ს? და გადაწყვიტეს თეთრი და ნითელი ვარდების რემიქსი მიუწყოთ ლანკასტერების, პლანატაგენეტების და იორკების გავლენით, ხო?... ისე, ალ პაჩინოს ჩინარდ III-ც აქვს ნათამაშები, უბრალოდ ამ გაჭირვებულ ქართველებს უყვართ ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება. აბა, თვითონ ხომ არ შეეშლებათ რამე?... გამორიცხულია... ან რაიმე მარტივი, პრიმიტიული და იდიოტური გამართლება უნდა მოძებნონ — რომ ვიღაც ცუდმა ბიჭებმა ფილმებს უყურეს, თვითონაც მოუნდათ სროლა და სიკვდილი და გადაწყვიტეს... სულ მაგათი ბრალია და კიდევ ალ პაჩინოსი, ფრენსის ფორდ კოპოლასი, რობერტ დე ნიროსი, სერჯიო ლეონესი — მოლიერის, ლოპე დე ვეგასი... ეგენი იჭერდნენ ბიჭებს და ჩაბნელებულ სადარბაზოებში ძალით უკეთებდნენ მორფს. მერე მთელი ვერა, საბურთალო და პლესხანოვი გამწარებული ექებდა იმ ჩაბნელებულ სადარბაზოს, სადაც ლოპე დე ვეგა და ფრენსის ფორდ კოპოლა ძალით გაგიჩხერდნენ. კიდევ უფრო საინტერესო და უკეთესი ისტორიული ამბების დამალვა იყო. წარმოიდგინეთ, აქეკატერინე მედინი ან მისი ვაჟი ჰენრი III ვალუა რომ ჰყოლოდათ, რომელმაც წმინდა ბართლომეს ღამე მოაწყო, ორი დიდი ბრძოლა მოიგო, ჟარნაკის და მონკონტური, ორივე სამოქალაქო ომში და იმავე დროს მთელი პარიზის და საფრანგეთის დასახნადა „Mignon“-ები, საყვარელი ბიჭები ჰყავდა. ხომ იქნებოდა ერთი კარგი ბულინო და ნივილი-კვილი?! მერე კი საერთოდ ამოშლიდნენ ისტორიიდან. გააქრობდნენ. ჩვენ ხომ მარტო კარგები, წმინდანები და მართლები შეიძლება, ვიყოთ. ვიდრე ერთი ვინმე კახელი თავადიშვილი, რისთვისაც ლამის ბავშვობიდან მოსაკლავად დასადევდნენ,



ვიდრე სიბერეში, საბოლოოდ მაინც არ წაისწრეს და არ მოკლეს. მითუმეტეს, რომ საქართველოში, თბილისში, თუ საბურთალოზე, თავის წილ ბუღინგს თვით ბილი ბონსი, არსენა მარაბდელი და ჭყონიასგან ჰიმნამდელი კორსარების დიდი კაპიტანი ფრანსის დრევიცი ვერ ასცდებოდა. უბრალოდ, მერე შენი პირადი არჩევანის საქმე იყო, გაგეტყვა ცხვირი ამ შენი დამბუღინგებისთვის და მისი ცხვირიდან წამოსული სისხლის ფონზე დაგენახა, რომ არც ისე ცუდი და ბოროტი ბიჭი ყოფილა, ან თვითონ დაბუღინგებული, დაბეთქილი და ცხვირგატეხილი, ეკ კი არა, შეიძლება, მაგრადაც დაძმაცეცხულიყავით, ან ლოგინის ქვეშ შემძვრალიყავი, მშვიდად, თბილად, მყუდროდ და უსაფრთხოდ. შემძვრალიყავი, გემრიელად მოკალათებულყავი და შენთვის უკეთეს დროს დალოდებოდი, როცა ცუკერბერგი ინტერნეტს, ფბ-ს და ეგეთ საინტერესო რაღაცებს მოიგონებდა, რომ მერე კლავიატურის მეშვეობით მიგეზლო სამაგიერო შენი დამბუღინგებისთვის, რომელთა უმრავლესობა უკვე ამოწყვეტილი, გალოთებული, გაბომბებული და განარკობანებული იყო. შეიძლება, იმათ ასი წელი აღარც ახსოვდეს, მაგრამ თვითონ ხომ გახსოვს, მართლა ეგეთი კარგი კი არ იყო მთელი ცხოვრება ლოგინის ქვეშ ყოფნა?!. ახლა კი შეგეძლო, სამაგიერო გადაგეხადა, დაგეტროლა, დაგეცინა, გეფურთხებინა, გეგინებინა, აქეთ დაუბუღინგებინა, დაემარგინალებინა, დაეპაპავებინა თუ რავი... დასჯლანვოდი! ის გოიმი კი ვერაფერსაც ვერ გიზამდა. მითუმეტეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ან უკვე მკვდარი იყო, ან ცოცხალი მკვდარი... იფ... აი, ეგრე!.. და, აი, ასე გაჩნდა ლოგინის ქვეშ შემძვრალთა და იქ გაზრდილთა მთელი კასტა. თან ვიდრე სხვები იხოცებოდნენ, ესენი გადარჩნენ და მომრავლდნენ, გადიდარეს რა!.. აბა, ლოგინის ქვეშ ვინ შემოგივარდება?.. თუმცა ეს ყველაფერი მერე მოხდა, დიად და ნათელ მომავალში. მანამდე კი სხვა ამბები ტრიალებდა. უცნაური, საშიში და დაუჯერებელი ამბები. დრო და სივრცე ისე გადადიოდა ერთმანეთში, როგორც შეყვარებულის სუნთქვა. ამ დროში, სივრცესა და სუნთქვაში დაკარგული გიორგიც, მას შემდეგ, რაც ჭყონიას და თავის კლასელებს დაეხსნა, ისევ ნატას მიადგა შესარიგებლად. დიდხანს უკაკუნა, მაგრამ წითლად შედებოდა კარი, რომელზეც უსაყვარლესი ყვითელი ჟირაფი იყო მიკრული, ცივად დახვდა — უტყვი, შეუვალი და დაუნდობელი. გიო კუდამოძებებული გაბრუნდა. არადა, საკუთარ თავს პირდებოდა, თუ ნატა შეურიგდებოდა, მართლა შეეშვებოდა ქუჩა-ქუჩა ბოდიას, დროის ფლანგვას, უაზრო სმას და საქმეს მიხედავდა. უნივერსიტეტშიც აღიდგენდა თავს, სადაც თავის თაობაში კავკასიოლოგიის ერთადერთი სპეციალისტი იყო და, საერთოდ, თავს ხელში აიყვანდა. „ამ ჩემს დაბრუნებულ ძმაცაცებსაც იქიდან უკეთესად მივხედავო“ — ფიქრობდა. ახლა კი ფეხათრული მიდიოდა „არკისკენ“ და იქვე ჩამომდგარ უბნის ბიჭებსაც, რომლებსაც სხვა დროს ყოველთის გულიანად ესალმებოდა, თვალი აარიდა. ფეხებს უკვე თავისი მიჰყავდა უბნისკენ, ძმაცაცებისკენ, დურმანისკენ და თრობისაკენ. უნივერსიტეტი კი ისევ მხარმარცხნივ რჩებოდა — ვარაზის ხეობის თავზე ნამომართული და მიუნდომელი...

— გიო! — მოემბა უცებ. გიორგი შებრუნდა. ნატა მოდიოდა, — დამელოდე, გიო! — დაუძახა. იქვე მდგარ ეზოელ ბიჭებსაც არ მორიდებია ჩვეულებისამებრ. გიორგის პატარა ბიჭივით ამოუხტა გული საგულედან.

— ჩვენ უნდა დავილაპარაკოთ, გიო. ჩვენ აუცილებლად უნდა დავილაპარაკოთ, — ნერვიულობდა. ტუჩები უკანკალებდა.

გიორგი ჩუმი მოლოდინით მიაჩერდა, თუმცა უკვე ყველაფერს მიხვდა და თითქოს შევებითაც კი ამოისუნთქა. აი, ისე, ყველაფერი რომ მთავრდებოდა.

— გიო, უნდა წავიდე. უფრო სწორად, შენ უნდა წახვიდე. მორჩა, აღარ შემიძლია. მართლა აღარ შემიძლია მეტი. ეს ორი დღე, რაც უშენოდ ვიყავი, პირველად ვიგრძენი თავი კარგად, — უთხრა სუფთა ქალური დაუნდობლობით. ტუჩები აღარ უკანკალებდა, — ადრე უარესად გაგიმწარებოდა, მაგრამ რომ არ ჩანდი, გული მისკდებოდა. ახლა კი ისეთივე არაფერი დაგიშვებია ადრინდელთან შედარებით, ისეთი სასწაულები გაქვს ნაკეთები და კარგად ვიყავი, რომ არ ჩანდი. მიხაროდა, რომ არ მოდიოდი, — ნატა გიორგის პირდაპირ თვალეში უყურებდა, თითქმის ტოლები იყვნენ სიმაღლეში. ამ სიტყვებს როგორც ტყვიებს ისე აჭედებდა. ეს არ იყო ქალური სცენები. არა, ნატამ ნამდვილი ფატვა გამოუცხადა, ცეცხლი გაუხსნა და ახლა თვალეში უყურებდა და გიოს რეაქციას ელოდებოდა.

„ბარემ საკონტროლო დამახალე კეფაში“ — გაიფიქრა გიომ და ალაღად, ცალყბად გაეღიმა. აზარტმა აიყვანა და აყვანატას ჩხუბში. ნატამ მზერა თვალეზიდან ცალყბა ღიმილზე გადაიტანა და მერე ისევ თვალთვალში გაუყარა.

— კარგი, — ღიმილით უთხრა გიომ, — კარგი. გავიგე.

— კარგი, გიო. კარგია, რომ გაიგე. აღარ მოხვიდე, გთხოვ. ძალიან მიყვარხარ, ოღონდ აღარ მოხვიდე, — ნატა ჩაეხუტა. მეგობრულად, ოფიციალურად, შესარიგებლად.

„ესეც კანტროლა“ — გაიფიქრა გიომ. მაგარი ომი მიდიოდა, მაგარი თამაში.

— მეც თავს უნდა მივხედო, გესმის? მართლა აღარ შემიძლია. აღარ მოხვიდე, გთხოვ! ნუ მაიძულე... —

ეს უკვე მუქარა იყო. მუქარა და უკანასკნელი გამოწვევა. იცოდა, გიორგი ყოველთვის პატარა ბიჭივით და უკანასკნელი გოიმივით ვარდებოდა და ეგრევე მკლავებს იკაპინებდა: „ვისა ჩემი!..“ მაგრამ აქ არც ამან გაჭრა.

— კარგი, — უთხრა გიორგამ მშვიდი ღიმილით. ახლა ეს უყურებდა თვალეში, — გავიგე. მესმის. მართალი ხარ. აღარ მოვალ.

— გიო, გთხოვ. ხომ გესმის, გიო... მართლა... მეც... გიო... — ნატამ ბრძოლა შეწყვიტა, თვალეში სითბო ჩაუდგა და ისე ნანწყევტ-ნანწყევტ დაინყო ჩურჩული, როგორც სექსის დროს. გიორგი ისე ალეგზო ამ განამანაში, კინაღამ იქვე ეზოში ეცა...

ნატა უცებ შებრუნდა და წავიდა. გიოს ყოველგვარმა საბრძოლო ჟინმა და ვნებამ ნაშევი გადაუარა და გული ჩასწყდა. „რა დღეში ჩააგდე ბავშვი შენი პირუტყვი, კეთილები...“ — შეუკურთხა საკუთარ თავს გუნებაში.

იდგა და უყურებდა მიმავალ ნატას, უკანმოუხედავად რომ მიდიოდა — მაგრამ კეთილ, სიფრთხნა ზურგით, გამოკვეთილი თეძოებით, ყოველი ნაბიჯით იწვევდა, სირბილით გაჰკიდებოდა, მოხვეოდა, მის ფეხებთან დამხობილიყო, ბოდმები ეხადა, ათასი სისულელეები ეთქვა, ოღონდ კი მოხვეოდა და აღარასოდეს გაეშვა ხელდანი. იზიდავდა და თან მიჰყავდა სამუდამოდ. გიორგიც იდგა და უყურებდა. უყურებდა, ვიდრე ნატა თვალს არ მიეფარა. იდგა ბრბოში დაკარგული პატარა ბავშვივით, მერე შებრუნდა, თითქოს საიდანლაც გასასვლელს ეძებდა...

თავის მშობლიურ უბანში ავიდა ბახტრიონზე და პირველი, ვინც დაინახა სადარბაზოსთან, გიჟი ვაჟიკო იყო.

— გიო, მოხვედი, გიო? რა კარგია, რომ მოხვედი, გიო. მარტო ვარ. მოვიწყინე, გიო, — გახარებული გაეცანა გიორგისკენ ვაჟიკო.

გიორგი საშინელ ხასიათზე იყო. აუტანელი სიმარტოვესა და უმწეობას გრძნობდა. თუ ვინმეს თავი არ ჰქონდა ახლა, სწორედ ვაჟიკო იყო, მაგრამ აქ, უბანში, სადაც ანხანავი სტალინისთვისაც კი შეგეძლო აგდებულად აგეცნა ხელი, ცხვირწინაც და უღვაშების წინაც გაეთქვა: „მიდი რა, ბიჭო, შეაყოლე აქედანო...“

ვაჟიკოს არათუ წყენინება, მისდამი ოდნავი უყურადღებობა და გულგრილობაც კი წარმოუდგენელ მკრეხელობად და უკანასკნელ ნაბიჯვრობად ითვლებოდა. წინა დღეს სულ შევიცარიის ბანკი რომ გაგეტანა ან ნობელის პრემია მიგელო ლიტერატურის დარგში, შენი საქმე მაინც ნასული იყო. ეს იმდენად ცხადი და უეჭველი ტაბუ გახლდათ, რომ პირდაპირ, გაუცნობიერებლად ირთვებოდა ქუჩური თვითცენზურა და გიოც ალალი სიცილით და სიხარულით დახვდა მასზე მიხუტებულ ტურტლიან ვაჟიკოს და თვითონაც გემრიელად ჩაბუზბა.

— ვაჟიკო, შე ძველო, სიგარეტი არ გინდა? — დაასწრო, ვიდრე თვითონ სთხოვდა.

— მინდა, მინდა! — გაუხარდა ვაჟიკოს, — დილიდან ბიჩოებს ვეძებ და ერთი მამალი ბიჩოკი ვერ ვიპოვე. რა ისწავლეს ეს სიგარეტის ფილტრამდე ჩანვა, ამათი დედა... — შეუკურთხა მთელ უბანს ვაჟიკომ.

გიორგის გულიანად გაეცინა და ცოტა გულზეც მოეშვა. ვაჟიკოს სიყვარულით გადახვია მხარზე ხელი.

— ვეტყვი! ავაფრთხილებ! გასაკიცხია! დასაგმობია!..

ვაჟიკომ ეჭვით ახედა...

— ეე, შენ ეკაიფე ჯო დასენს, გაიგე?.. — და მხრიდან ხელი მოაშორებინა. გაიბუტა.

— კარგი, ძმაო ალემაო!.. კაი, ტო, რას იბუტები?.. — უჯაკავა გიორგიმ ვაჟიკოს, — მართლა სად არიან ეს უპატრონოები? ხომ მშვიდობა აქეთ. რატომ არ ჩანან?

— არ ვიცი! არ ვიცი! — ისევ მოხასიათდა ვაჟიკო, — არ მითხრეს მე... მშვიდობაა, მშვიდობაა. მარტო ზუკაა სახლში. წელან თავი გამოყო. ვერ ჩამოდის.

— რატომ?

— დათვრა და ცუდად მოიქცა. არ იცი, რა ბანძი სიმთვრალე აქვს?.. ეზოში სვამდნენ და... ბიჭები არა, დიდები და... თამაზა როა, მეორე სართულზე, „Grand Cherokee“ რომ ჰყავს და... იმან მშვიდობის სადღეგრძელო დალია და... ზუკამ თურნალი იყო, აილო და გაბრაზდა, რა მშვიდობა, თქვენი მშვიდობა და თქვენი კომუნისტი დედაო... და ავინა ყველას. უფროებს ავინა, — თვალეზი დაქაჩა აღმოფთვებისგან ვაჟიკომ, — და ახლა რცხვენია და ვეღარ ჩამოდის... ხოო, კიდევ, თქვენი არასწორი დედაო!.. ეგრეც შეავინა, — გაიხსენა ისევ აღმოფთვებულმა ვაჟიკომ, — ჰოდა, ახლა ვეღარ ჩამოდის, მარტო თავს ყოფს. წელანაც გამოყო და რომ დამინახა — გთხოვ, რა, პური ამომიტანეო. მეზარება-მეთქი. მიდი რა, ძმურად. და მე ვუთხარი, იდი ნა ზუი-მეთქი, — მხიარულად ჩამოურაკრავა ვაჟიკომ.

— არა გრცხვენია, ვაჟიკო?

ვაჟიკოს შერცხვა.

— ავუტანო პური? ახლავე ავუტან! — თან სიგარეტს ზედზედ ისე ექაჩებოდა, ყოველი მხრიდან ბოლი გასდებოდა.

— არა, აღარ გინდა. მე თვითონ ავუტან. ჰა, კიდევ სიგარეტი. ნელა მოწიე, ბიჭო, არ გაიგულო.

— აუ, აღიხარ? მალე ჩამოდი, რა. მარტო არ მინდა. მოვიწყინე მარტო. კაი ხო, კაი... მალე ჩამოდი, არ მომატყუო. თორემ ქვევიდან გაგინებთ, — მტკიცე და ურყევი პირობა მისცა ვაჟიკომ.

— მე ნუ მაგინებ, დედა მყავს მკვდარი. თორემ მოგხვდება და გენყინოს მერე! — გაუბრაზდა გიორგი.

— შენ როდის გაგინებ? — მეორედ შერცხვა ვაჟიკოს, — თქვენ გაგინებთ ყველას! აბა, მატყუებთ და... —

— მე ნუ მაგინებ, მაგათ ავინე... — დართო ნება გიორგამ.

ვაჟიკო სამი წლით უფროსი იყო. ერთ ეზოში გაიზარდნენ და ვაჟიკოს მათზე, ამ ეზოს ბიჭებზე, კვირფასი არავინ ჰყავდა. განსაკუთრებით კი დოლიძელებთან ჩხუბში გაითქვა სახელი...

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ შორეულ და უხსოვარ დროს ბახტრიონელებს დოლიძელებთან ჩხუბი მოუფიქრებდა. ამ ჩხუბში დოლიძელებთან ავან ყოჩაღობით გამოჩნულმა ბიჭებმა მათ ძმაცაცს — კომოჩას — მისდამი უღრმესი პატივისცემის ნიშნად და დასტურად ფეხში დანა გაუყარეს. მსგავს პატივისცემას გადახდა და სამაგიეროს მიზღვა სჭირდებოდა იმ ბნელ და უხსოვარ დროს, თორემ იფიქრებდნენ, რომ გულგრილი და უზნეო ადამიანი იყავი და თავაზიანობის

მისხალიც არ გაგაჩნდა. ამიტომ ამოაქცოდი დოლიძელების ერთ-ერთი აღმარებული ლიდერი ტორიჩა დაჭრეს. მაშინ კი არაფერი და, რამდენიმე წლის შემდეგ ბულგარეთში, ვარნაში, ჩაცხრილეს, ღმერთმა სული გაუნათლოს. თუმცა თითო დაჭრილს ვერ დასჯდნენ და ეს დარბაისელი და მოწესრიგებული ყმაწვილები კიდევ ერთ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. სწორედ ამ შეხვედრაზე გაირკვეოდა საბოლოოდ შერიგდებოდნენ თუ საბოლოოდ და სრულიად უაზროდ ამოწყვეტდნენ ერთმანეთს, რომ მერე მათი უბედური მშობლები მათივე საფლავის ქვების წმენდით ამოღამებულიყვნენ, ხოლო ლოგინის ქვეშ დაბრუნებულ მძორებს კი მათ სიკვდილზე კიდევ უფრო უაზრო და ყალბი ფილმები გადაეღოთ და მთელი თავისი ბინძური ცხოვრების გოიმური კომპლექსები და ნავაგი მათ ბავშვურ საფლავებზე მიეყარათ.

თუმცა მთელი ამ კრიმინალური და ისტერიული გარჩევის ბედი სრულიად მოულოდნელად ვაჟიკომ გადაწყვიტა.

დოლიძიდან ბახტრიონისკენ შეფენილ ბარაკებს შორის ერთი ძველი, საიდუმლო, დაბრეცილი და ქვის საფეხურებამოყრელი კიბე მიიკლავებოდა. სწორედ ამ კიბით მოძრაობდნენ, როდესაც საჭირო იყო, პოლიციას ან საერთოდ უცხოს, ზედმეტად არ მოხვედროდნენ თვალში. ამ კიბით დაეშვნენ დოლიძისკენ საქმის გასარჩევად. უკან კი ვაჟიკო გაჰყავდა თურნალ ჩუმად. ერთმანეთს შეხვდნენ თუ არა, ბიჭებმა ქვემოთ, მზიურისკენ, მოფარებულში ჩასვლაც ვერ მოასწრეს, რომ ეგრევე დაეძაბათ და იქვე დასცხეს ერთმანეთს. და არავინ იცის, რითი დამთავრდებოდა ყველაფერი, იქნებ მართლაც, ამ პრიმიტივი ბებერი განდორების ფილმის სიუჟეტის გამრავლად დაჩრენილიყვნენ და მათ საფლავებსაც მათივე საბრალდებო დასკვნებით გადაიღებდნენ ეს ბოზები, საიდანლაც ატირებული და ნერვიულობისგან აკანკალებული ვაჟიკო რომ არ გამოვარდნილიყო გამაღიანი დანი თხლით.

— გაჩერდიოთ!.. — ტიროდა ვაჟიკო, თან ბრმად იქნევდა სადღაც ნაშოვნ დასაკეც დანას, — გაჩერდიოთ, თორემ დაგარტყამთ!.. გაჩერდიოთ თქვენი... — მაგრამ აქ, რატომღაც, შეგინება ვეღარ გაბედა, — მუცელში გაგიყრით, იცოროდე!.. დაგარტყამთ, გაჩერდიოთ!.. — თან გულამოსკვნილი ტიროდა.

უცნაური ის იყო, რომ მარტო დოლიძელებს კი არა, თავისიანებსაც დასდევდა და უქნევდა დანას. ცრემლებით დაბინდული თვალეზით ვეღარ არჩევდა, თუ ისეც არ არჩევდა და ეგ იყო მაგის პროტესტი, არავინ იცის.

მაგარი ბიჭებო და ერთმა ვაჟიკომ ეგრევე დამალა იმხელა ჩხუბი. დოლიძელები ბახტრიონელებს ეფარებოდნენ, ბახტრიონელები — დოლიძელებს. თან გადაარეულ და ატირებულ ვაჟიკოს დასდევდნენ ხვეწნა-მუდართი — აღარ ვიზამთ, შენი ჭირიმე, დაწყნარდიო!.. ვინ ლიმონათს ჰპირდებოდა, ვინ ფუნთუშებს, ვინ „სნიკერებს“. ცხვენებოდნენ, გულს ურყევდნენ — რას შერბები, ბიჭო, მართლა გვეკლავო?.. როგორც იქნა, გამოართვეს დანა. ძლივს დაანყარეს, მოეფრინა, ეს ორი მძინვარე უბანი სულ ერთ ხმაში უხდიდა ბოდიშს.

იმდენი რაღაცები უყიდეს, ვაჟიკო კიდევ ერთი კვირა ჭამდა იმ ნამცხვრებსა და ფუნთუშებს... ამის მერე ვაჟიკო ეზოში მარშალი მიურატოვით დადიოდა. ვაჟიკო, შენ გაბარებთ ამ არანორმალურებსო — სრულიად სერიოზულად ეუბნებოდნენ დეებში. ვაჟიკოც ძალიან იფერებდა და მაგრად პატრონობდა ეზოსაც და ბიჭებსაც.

დოლიძელები და ბახტრიონელები კი საბოლოოდ დოლიძელმა ვეფხომ შეარბა. იყო ასეთი უცნაური და მართლაც უხსოვარი საუკუნე, დოლიძეზე, შუა ქალაქში, ტიპს ვეფხო რომ ერქვა. ესენი 15-16 წლისები იყვნენ. ვეფხოც დიდი კი არ იყო, 22-24 წლისა იქნებოდა, მეტის — არა.

ზუკა სამზარეულოში ჩალიჩობდა რაღაცას.

— ვააა! — გაუხარდა გიორგის დანახვა, — მოდი, დაჯე. სადა ხარ, ტო, სად დაბორილობ? დაჯე, რას დაეყუდე. აგე, ლობიოს ვკაზმავ... პური არ ამომიტანა ვაჟიკო უსინდისომ...



ნანა გასვიანი

ეპიგრაფი

გამჭკნარა ჩალა. ოქროსფერი ჩამოლღვა ქედებს.
ჭალებს შეხსნია მოლალული სექტემბრის თასმა.

\*\*\*

შენთვის ჩავფინე სისხლში ლოფინი.
ლამე შელენეს ფიქრის ხარებმა და იმ განთიადს აფოფინებულ

ასკიზი

ეკლის ყვავილი დაუბნევია, მაინც მოსთრევდა დარდის გორგალი.
იმ წყალგამოღმა რომ უბნებია — ჩითებს უცვლიდნენ.

თსოვნის უსტარი

ბზუის კორდი, მოლი და ყვავილები გალობენ;
ხავერდების ჰოლიდან დილა დამიმწყალობე.

ჭორფლის მინით დატალულს რა სიმორით მახელებ,
მაგ ძონის ტალანებში ერთხელ შემომახედე;

\*\*\*

ჩუ... ჩუმ ღამეში ვარსკვლავი წვეთავს და
გალაქტიკის დაძონძილ ფარდის იქით დულს

ნარილი ნოემბრის დეხვირიდან

მოგვდგა ნოემბრის დღეების ურდო და შემცვივებულ ჰაერის კამკამს
შეუდგა ხშირი წვიმების დურდო და ღურდო-ღურდო,



თემურ

\*\*\*

სათის ისარს ვუყურებ და უსასრულობაზე უდროობაზე
ფიქრობ დროის მოსაზღვრულ წერტილში მდგარი,

\*\*\*

ჩემს ფიქრში ვზივარ, მრავალი განშტოებით მდიდარ ფიქრში.
გარშემო ნივთთა განლაგების ჰარმონიაში

\*\*\*

ჩამოლამდა. ვინც ფაქტების, ნახევრადფაქტების, სიზმრად ნანახის,
გაგონილის ერთად თავმოყრას და ვინაიდან საკუთარ თავს ხშირად ვახტები,

\*\*\*

ინტროვერტული ენერგიით პირთამდე სავსე მზერით ვეხები მატერიის მაცდურ ზედაპირს





ჯობავა

და გვირგვინის არ მიელავს ვარსკვლავი თავზე, მკედარი ნათების განვლილია ყველა ეტაპი. სიზმარეული სინამდვილის ხვეულებიდან გონების ყველა საიდუმლო გამომზეურდა და ის სიცოცხლე, ოდესღაც რომ ბენჯზე ეკიდა, თურმე სისხლსავსე მდუმარების საგრძნობად ხურდა.

დილიდან ისევ მოლოდინი რაღაც უცნობის. უსასწაულო სიბეჯითეს იკრავს უბეში ცრუ სიმარტოვე მომდიმარი, უგრძნობი სნობის და ფერმკრთალ სახეს ეფინება მტკნარი ნუგეში. გადაუშლელი წიგნის გვერდებს ეპაექრება პირველყოფილი ინსტიქტების ბასრი სიმცირე. დუმის დამფრთხალი იმედების მარცვლებით კვებავს დილა, ისე, რომ წინა დილის სხივებს იცილებს. ნისლოვან თალებს ეხეთქება შთაგონებიდან გაძევებული სიყმანვილის ბოლო ტალღები და სინამდვილე, უპატრონო მონამ რომ ზიდა, გახდა უჩვევი, უძრაობა ყურის ნამლები.

გამოვიხედე საკუთარი წარმოდგენიდან და სინამდვილის ზღურბლზე მდგარი ჩემივე სიყრმე დაველანდე მკრთალი. იდგა ლანდივით, უტყვი, თითქოს ყურს უხედნიდა არყოფნა, ერთ დროს დამხობილი ვითომდა პირქვე, ყრუ და უღრანი. ვინ იცის, რამდენ დროში გალღვა აზრი და ფიქრი ნაკლულ ნაწილზე, თითქმის მიმქრალ ვარსკვლავის შუქზე და მუდმივ წამზე. და მიბჯენილი საკუთარ თავს, როგორღაც, მიჯრი, იმ ხორცშესხმული წამის სავსე სიჩუმეს ვუსმენ, ცამდე რომ აღწევს.

ადრეც ვიცოდი, რაც ვიცი ახლა. და უფრო მეტიც, ვგრძნობდი ყოველთვის მინის სინესტეს, სიტყვებით დაღლას, უხილავს, ხილულს ცხადად რომ ერთვის. ვგრძნობდი სკოლისკენ მიმავალი გზის არარსებობას და სივრცის რხევას უცხო დუმილში და ვგრძნობდი სამგზის უარყოფილი მეგობრის გვემას.

შუქი არ გამორთოთ, ენთოს, ისევ ძველი დარდით ვწვები, როგორ დავიბრუნო, ღმერთო, უკან დაკარგული წლები... გადის დღეები და ვგონებ, ველარ მივაგენი საშველს, შუქი არ ჩააქროთ, თორემ არ მსურს სიბნელეში დარჩეს ჩემი უპატრონო ცრემლი, ჩემი უსასრულო გლოვა, ახლა აღარავის ველი, ვიცი, აღარავინ მოვა... როგორ იხედება მთვარე ყველგან, ჩემი ფანჯრის გარდა, მალე დავივიწყებ თვალებს, მე რომ მიყვარდა და მწამდა. დრო ხომ უდარდელად გარბის, აღარც მიყურებ და ურცხვობ, ასე ნაცნობი და კარგი, უცებ როგორ გახდი უცხო?..


სხვა ქვეყანა

იჯდა კუთხეში, თითქოს დასჯილი და უთვისტომო ბავშვის იერით, მე მქონდა ფული, დრო და მანძილი, მივლასლასებდი სახლში მშვიერი.

იჯდა, მღეროდა. ვაგონს ველოდი. ის ძირს დაგდებულ ხურდას ელოდა. საქართველოთი, საქართველოში, მე მივდიოდი საქართველოდან.

შენი მოფერება მინდა

ისევ დაორთქლილი მინა, თოვლი მზის სხივებში კრთის, შენი მოფერება მინდა, შენი ხორბლისფერი თმის... ახლა სულერთია ყველა, ქარი ეჭიდება ძელს, ნახვალ, უშენობა ღელავს, ნავალ, რანაირად ვძლებ... დღეს მზე იყურება უბრად, ჭირსაც ნაულია ყველა, ბაგე დაგიკოცნო უნდა, უნდა დაგიკოცნო ყელი. ვიცი, ეს სიცივეც ღირს და ნახვაც თოვლიანი მთის. შენი მოფერება მინდა, შენი ხორბლისფერი თმის.



ქეთი დულაშვილი

იყვავილა, საქართველო

გაზაფხულის მწვანე კოფთავ, კალთა იით ამივსე, მორთე მთა და ველი მორთე, მოდი, გამითავისე... იყვავილოს მთა და მდელიომ, თვალკიაფა იებმა, თორემ ჩემი საქართველო, სანთელივით ილევა... სადაც მზეა მინავლული, იქ ცეკვავენ ჭინკები, შენ მაგარი გინდა გული, ჩემო მინავ, მჭირდები. მუხა ხარ და ნუ გახმები, დიდებულთა შორის ხარ, მერეც მინდა, უკვდავების მინა მხრებზე მოვისხა... ვინ გაქცია, მთა და ველო, უცხო ტომთა სამიზნედ?... გაზაფხულო, საქართველო ყვავილებით ამივსე.

დედას დაბადება

ერთხელ, მთვარეზე ფეხი დამიცდა და ჩამოვვარდი დედამინაზე, იქ ღმერთის მწამდა, გარდა ამისა, ჯერ არ ნანახი დედა ვინამე.

იქ მარტოსული ვიყავი, ჰოდა, აქ შემეშინდა თითქმის ყველასი, დედას ბნელ ცაზეც მზის სუნი ჰქონდა, ღიმილი ჰქონდა ცისარტყელასი...

მეშინია

ღმერთო, მაჩვენე მე წმინდა ძალა, ცაზე გაფანტე შავი ღრუბელი, მე მეშინია, ერთხელაც ნავალ და აღარასდროს არ დავბრუნდები.

ო, რას ნავილებ ჩემი ქვეყნიდან, ტკივილს, მწუხარე დედა ღვთისმშობლის, ვიტყვი, დღე ყველა როგორ მდევნიდა, ცრემლიან თვალებს როგორ ვიშრობდი.

ვეძებ სიცოცხლეს ბოლო ხანძრიდან, მალე სიცოცხლით მოვიწამლებით, ღმერთო, აქ ყოფა ისე გაძვირდა, პურის მაგივრად მშია ნამლები.

მე მეშინია, არ იქცეს ჩალად ჩემი ხალხი და ჩემი უბნები, მე მეშინია, ერთხელაც ნავალ და აღარასდროს არ დავბრუნდები!..



ლა ქრონიკას კარიდან სანტიაგო უსიყვარულოდ გასცქერის ტაკნას გამზირს: ავტომობილები, უსწორმასწორო, გახუნებული შენობები, რუხი შუადღის ნისლში მოფარფატე ციმციმა აბრები. როდის ეტირა ყოფა პერუს? გაზეთების გამყიდველი ბიჭები ვილსონის შუქნიშანთან შეჩერებულ მანქანებს შორის დაძრწიან და, საღამოს გაზეთებიო, ხმამაღლა გაჰყვირიან, ის კი დინჯად მიაბიჯებს კოლმენასკენ. ჯიბეებში ხელეზრანობილი და თავჩაქინდრული მიჰყვება ხალხის ნაკადს სან მარტინის მოედნისკენ. ისიც პერუს ჰგავს, სავალიტა, მასაც ყოფა ეტირა ერთ დროს. ფიქრობს: მაგრამ, როდის? სასტუმრო კრილიონის წინ მანანალა ძალი გამორბის და ფეხებს ულოკავს: ცოფიანი არ იყოს, აქედან მომშორდი. პერუს ყოფა ეტირა, კარლიტოსაც, ყველას ყოფა ეტირა. ფიქრობს: გამოსავალი არ არის. მირაფლორესში მიმავალი ავტობუსების გაჩერებაზე გრძელ რიგს ხედავს, მოედანს კვეთს და, აი, აქ არის ნორვინი, გამარჯობა, ძმაო, სელას ბარში მაგიდასთან ზის და კოქტეილის ჭიქას ხელით ეალერსება, ფეხსაცმელს უპრიალბენ, დასალევად ეპატიჟება. ჯერ მთვრალი არ ჩანს, სანტიაგო მაგიდასთან ჯდება, ფეხსაცმლის მწმენდავს ანიშნებს, მეც გამომწმინდეო. ახლავე უფროსო, ამ წუთში სარკესავით გაგიპრიალბე, უფროსო.

— საუკუნეა, არ ჩანხარ, სენიორ ედიტორიალისტო, — ამბობს ნორვინი, — სარედაქციო სვეტის წერა გირჩევნია ადგილზე მუშაობას?

— ნაკლები სამუშაოა, — მხრები აინურა, ალბათ ის დღე იყო, რედაქტორმა რომ დაუძახა, ცივ კრისტალს ითხოვს, გინდა, ორგამბისეს ადგილი დაიკავო, სავალიტა? ის უნივერსიტეტში სწავლობდა და სარედაქციო წერილების დანერა შეეძლო, არა, სავალიტა? ფიქრობს: იქ მეტირა ყოფა, — დილაადრიან მივდივარ, ჩემს თემას მაძღვევენ, ცხვირზე ხელს წავიჭერ და ორსამ საათში მზად არის, თოქს ჩამოვქაჩავ და მორჩა.

— მთელი ქვეყნის ოქრო რომ მომცვენ, სარედაქციო წერილებს მაინც არ დავწერ, — ამბობს ნორვინი, — იქ მოვლენებისგან შორს ხარ, ჟურნალისტიკა კი ინფორმაციაა, სავალიტა, დაიჯერე. მე ალბათ კრიმინალურ ქრონიკებში ამომხდებდა სული. ჰო, ამ გახსენებაზე, კარლიტოსი მოკვდა?

— ისევ კლინიკაშია, მაგრამ მალე გამოწერენ, — ამბობს სანტიაგო, — იფიცება, ამჯერად სასმელს აღარ გავეკარებო.

— მართალია, ერთ ღამეს ლოგინში ტარაკნები და ობობები ნახაო? — ამბობს ნორვინი.

— საბანი გადასნია და ათასობით ტარანტული და ვირთხა დასეოდა, — ამბობს სანტიაგო, — ქუჩაში დედიშობილა გამოვარდა ყვირილით.

ნორვინი იცინის, სანტიაგო თვალებს ხუჭავს: ჩორლიოს სახლები ცხაურებიან კუბოებს ჰგავს, მიწისძვრით დაზარალებული გამოქვაბულები, მიყრილ-მოყრილი ძველმანები, მტვრიანი, ფლოსტებში გაყვრილი ვენებგაგანიერებული ფეხებით მოფრატუნე მიხრწილი დედაბრები. პატარა კაცუნა კუბოებს შორის გარბის, მისი განწირული ყვირილი შიშის ზარს სცემს ნებოვან განთიადს, აფუთფუთებს ფეხდაფეხად ევენებულ ჭიანჭველებს, ტარანტულებსა და მორიელებს. ალკოჰოლი ნუგეშს ჰგვრის ლურჯი დემონების ნელი სიკვდილის პირისპირ. კარგად არის კარლიტოსი, ყველა ისე იცავს თავს პერუსგან, როგორც შეუძლია.

— ერთ მშვენიერ დღეს მეც გადავეყვრები მწერებს, — ნორვინი თავის კოქტეილს ცნობისმოყვარედ ათვალეირებს, ცალკეად იღიმება, — არ არსებობს ფხიზელი ჟურნალისტი, სავალიტა. სასმელი შთაგონებას იწვევს, დამიჯერე.

ფეხსაცმლის მწმენდავი ნორვინის ფეხსაცმელს მოითავებს და სტვენა-სტვენით სანტიაგოსას პოხავს. როგორ მიდის საქმე ულტიმა ორამი, რას ამბობენ ყაჩაღები? შენს უმაღლესობას უჩივიან, სავალიტა, ერთხელ მაინც მოსულიყო და მოვენახულებინეთ, როგორც ადრეო. ესე იგი, ახლა თავისუფალი დრო თავზე საყრელადა გაქვს, სავალიტა, თუ სხვა ადგილზეც მუშაობ?

— ვკითხულობ, სიესტაზე ვიძინებ, — ამბობს სანტიაგო, — შეიძლება სამართ-



მარიო ვარგას ლოსა

# საუბარი კათედრალში

## ფრაგმენტი რომანიდან

ლის ფაკულტეტზე ჩავაბარო თავიდან. — ინფორმაციებს ჩამოშორდი და უკვე დიპლომი გინდა, — ნორვინი ნაღვლიანად შესცქერის, — სარედაქციო წერილები დასასრულია, სავალიტა. ადვოკატი გამოხვალ და ჟურნალისტიკას თავს დაანებებ. წინასწარ ვხედავ, როგორი ბურჟუა ხდები.

— ოცდაათი ახლახან შემისრულდა, — ამბობს სანტიაგო, — ჩემგან ბურჟუა აღარ დადგება, გვიანია.

— მხოლოდ ოცდაათი? — შეფიქრიანდა ნორვინი, — მე ოცდათექვსმეტისა ვარ და მამაშენს ვგავარ. კრიმინალური ქრონიკა წისკვილის დოლაბივით ფქვავს ადამიანს, დაიჯერე.

მამაკაცური სახეები, სელას ბარის მაგიდებს მიშტერებული მღვრიე თვალეები, საფერფლებებისა და ლუდის კათხებისკენ დაგრძელებული ხელები. რა შეუხედავი ხალხია აქ, მართალი იყო კარლიტოსი. ფიქრობს: დღეს რა მემართება? ფეხსაცმლის მწმენდავი ხელით აფრთხობს მაგიდებს შორის მონრიალე ძაღლებს.

— როდემდე გაგრძელდება ცოფის წინააღმდეგ ლა ქრონიკას კამპანია? — ამბობს ნორვინი, — ყელში ამოვიდა უკვე, ამ დილით მთელი გვერდი დაუთმეს.

— ცოფის წინააღმდეგ ყველა სარედაქციო წერილი ჩემი დანაწილია, — ამბობს სანტიაგო, — ეჰ, ეგ ნაკლებად მანუხებს, ვიდრე კუბაზე ან ვიეტნამზე წერა. კეთილი, რიგი აღარ არის, ნავედი, ავტობუსში ავალ.

— ნამოდი, ერთად ვისადილოთ, მე გეპატიჟები, — სთავაზობს ნორვინი, — დაივიწყე შენი ცოლი, სავალიტა. ნამო, ძველი, კარგი დრო გავიხსენოთ.

ახალშობილანი ზღვის გოჭები, ყინულივით ცივი ლუდი, ბახო ელ პუნტეს რინკოსილო კახამარკინო, მომწვანო-მოყვითლო კლდეების შორის ზანტად მორაკაკე რიმაკის წყალი, ჰაიტის მიწიანი ყავა, მილტონის სახლის აზარტული თამაშები, კოქტეილი და შხაპი ნორვინის სახლში, შუაღამის აპოთეოზი ბესერიტასთან, რომელიც ბორდელში ფასდაკლებით შეჰყავდა, შფოთიანი ძილი, გულზიდვები და განთიადის სინანულები. ალბათ, ის იყო კარგი დრო.

— დღეს ანამ ჩუპე დე კამარონეს მოამზადა, მაგაზე უარს ვერ ვიტყვი, — ამბობს სანტიაგო, — სხვა დროს იყო, ძმაო.

— ცოლის გეშინია, — ეუბნება ნორვინი, — ეჰ, ყოფა გეტირა, სავალიტა.

— შენ რომ გგონია, იმიტომ არა, ძმაო. ნორვინი ჯიუტად იხდის ლუდისა და ფეხსაცმლის გაპრიალების ფულს და დასამშვიდობებლად ხელს უწვდის. სანტიაგო გაჩერებაზე ბრუნდება და შევროლეს ავტობუსში ჯდება. რადიოა ჩართული.

ინკა კოლა უკეთესად აგრილებდა. ვალსი, მდინარეები, ხეობები, ხესუს ბასკის ვეტერანი ხმა — ეს არის ჩემი პერუ. ცენტრი ჯერ მანქანებითაა გადაჭედილი, მაგრამ რესპუბლიკისა და არეკიპას ქუჩებზე ხალვათობაა და ავტობუსი სწრაფად მიდის, კვლავ ვალსი, ლიმელებს მოლალატობრივი სული აქვთ. რატომ არის ყველა კრეოლური ვალსი ასეთი გულისამრევი? ფიქრობს: დღეს რა მემართება? ნიკაპი მხრებში ჩარგო, თვალეები მიღულა, თითქოს საკუთარ მუცელს ათვალეირებს: ჯანდაბა, სავალიტა, დაჯდები თუ არა, თვალში გასიებული ღიპი გეჩხირება. პირველად როდის დავლიე ლუდი? თხუთმეტი, ოცი წლის წინათ? ოთხი კვირაა, დედა არ გინახავს, არც — ტეტე. ვინ იფიქრებდა, რომ პოპიე არქიტექტორი გახდებოდა, შენ კი, სავალიტა, სარედაქციო წერილებს გამოაცხობდი ლიმის ცოფიან ძაღლებზე. ფიქრობს: ცოტა ხანში ღიპი დამედეგა. თურქულ აბანოში ნავილოდი, ჩოგბურთის ვითამაშებდი ტერასაზე, ექვს თვეში ცხიმებს დავწვევდი და მუცელს თხუთმეტი წლის ბიჭივით გავიბრტყელებდი. დაუჩქარე, შეაჩქარე თვითდინება, გამოფხიზლდი. ფიქრობს: სპორტი, აი, ესაა გამოსავალი. მირაფლორესის პარკი, კეპადა, მალეკონი, ბენავიდას გამზირის კუთხე. სანტიაგო ავტობუსიდან ჩამოდის, თავჩაქინდრული და ჯიბეებში ხელეზრანობილი პორტასკენ ფეხით მიემართება. დღეს რა მემართება? ცა ისევ მოღრუბლულია, ატმოსფერო — კიდევ უფრო რუხი. ცრის, წვიმის პანანა ნვეთები სახეზე ობობას ქსელივით იტოტება.

ესეც არაფერი, ნამიერი და უკვალოდ გამქრალი შეგრძნება. წვიმაც კი უნიათა ამ ქვეყანაში. ფიქრობს: თავსხმა მაინც დაუშვას. რას აჩვენებენ დღეს კოლინაში, მონტეკარლოში, მარსანოში? ისადილებს, კონტრაპუნქტის გულსგამაწვრილებელ თავს ნაიკითხავს და სიესტის ნებოვან თვლემას მიეცემა. რამე დეტექტივი, რიფიფი, ან რიო გრანდეს მსგავსი ვესტერნი მაინც გადიოდეს კინოში. მაგრამ ანა აუცილებლად რამე მელოდრამას მოინიშნავდა გაზეთში. დღეს რა მემართება? ფიქრობს: ცენზურა მექსიკურ ფილმებს რომ აკრძალავდეს, ანასთან ამდენს აღარ ვიკამათებდი. კინოს მერე ვერმუტს დავლევთ, მერე? მალეკონს წრეს დაარტყამენ, ნეკორეას პარკში ცემენტის ქოლგებქვეშ გააბოლებენ, სინებლემი ზღვის ხმაურს მიაყურადებენ და ხელობეზაჭიდელები შინისკენ, კინტას უბანში გაბრუნდებიან, ხშირად ვკამათობთ, საყვარელო, ხშირად ვჩხუბობთ, საყვარელო, ჰაქსლიზე კი ერთად ვამთქნარებთ. ორივე ოთახი კვამლით და ზეთის სუნით გაიჟინებდა. ძალიან მოგმივდა, საყვარელო? გარიჟრაჟის მღვიძარა, გრლი შხაპი, ავტობუსი, კოლმე-

ნას ქუჩის ოფისების წინ ჩამომდგარი ფურგონები, რედაქტორის ხმა. ზანტების გაფიცვა გირჩევნია, სავალიტა, მეთვეზეების კრიზისი თუ ისრაელის საკითხი? ეგებ სჯობს, ცოტაც მოვინდომო და დიპლომი ავიღო. ფიქრობს: უკან უნდა დავიხიო. ხედავს ხაოიან, ფორთოხლისფერ კედლებს, წითელ სახურავებს, კინტას უბნის შავცხაურებიან ფანჯრებს. ჭიშკრის კარი ღიაა, მაგრამ ხალისიანი, კუნტრუმა, ხმაურიანი და ალერსიანი ძაღლი, ბატუკე, არსად ჩანს. კარს ღიას რატომ ტოვებ, საყვარელო, ჩინურ მალაზიაში როცა მიდიხარ? მაგრამ, არა, ანა სახლშია, რა გჭირს, თმაგანეწილი, თვალმუშუპებული და ნამტირალევი ხარ: ბატუკე წაიყვანეს, საყვარელო.

— ხელიდან გამომგლიჯეს, — ქვითინებს ანა, — საზიზარმა ზანგებმა, საყვარელო. ფურგონში შეტენეს. მოიპარეს, მოიპარეს.

საფეთქელზე კოცნის. დამშვიდდი, საყვარელო, სახეზე ეფერება, როგორ მოხდა? ხელს მოხვევს და სახლისკენ მიჰყავს, — ნუ ტირი, სულელო.

— ლა ქრონიკაში დაგირეკე და არ იყავი, — სლუკუნებს ანა, — ვილაც ბანდიტები, მკვლელი ზანგები. თავისი საბელით მიმყავდა, როგორც წესია. ხელიდან გამომგლიჯეს, ფურგონში შეტენეს, მოიპარეს.

— ვისადილებ და ძაღლების თავშესაფარში ნავალ, გამოვიყვან, — სანტიაგო ხელახლა კოცნის, — არაფერი მოუვა, ნუ ტირი, სულელო.

— ფეხებს აფართხალბედა, თავის პატარა კუდს აქიცინებდა, — წინსაფრით თვალებს იმწმენდს, ოხრავს, — თითქოს ყველაფერი ესმოდა, საყვარელო. სანყალი, სანყალი.

— ხელიდან გამომგლიჯეს? — ამბობს სანტიაგო, — რა ჯიშის ხალხია, ერთ ამბავს ავტებს.

სანტიაგო სკამზე მიგდებულ პიჯაკს ხელს სტაცებს და კარისკენ მიდის, მაგრამ ანა აჩერებს: ჯერ სწრაფად ისადილე, საყვარელო. ტკბილი ხმა აქვს, ფოსტოვანი ლოყები, სევდიანი თვალეები, გაფთვრებულია.

— ჩუპე გაცივდება, — ილიმის, ტუჩები უცაცხახებს, — ამ ამბავმა ყველაფერი დამავინყა, ძვირფასო. საცოდავი ბატუკე-ტო.

უსიტყვოდ სადილობენ ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდაზე, რომელიც პატარა გადაწყურებს: მინა ტერასის ჩოგბურთის მოედანივით ჟანგისფერია, ხრეშის დაკლანკილი ბილიკი, კიდევ — ნემსინვერების ბურქები. ჩუპე გაცივდება, ცხიმმა თევშის კიდევში შემოკარგა, ქილის კიბორჩხალები იყო. სან მარტინის ჩინურ მალაზიაში მიდიოდა ძმრის საყიდლად, საყვარელი, მოულოდნელად ფურგონმა დაამუხრუჭა, იქედან ორი შავი ბანდიტი გადმოხტა, სამიწელი სანახავები, ერთმა ხელი ჰკრა, მეორემ კი საბელი გამოგლიჯა. სანამ ის აზრზე მოვიდოდა, ძაღლი ფურგონში შეაგდეს და ნავიდენ. საბრალო, საბრალო ცხოველი. სანტიაგო ფეხზე დგება: მაგ მოძალადეებს პასუხს ვაგებინებ. ანა ისევ სლუკუნებს. სანტიაგოსაც ეშინია, ძაღლი არ მოკლან.

— არაფერს დაუშვებენ, საყვარელო, — ანას ლოყაზე კოცნის, კანზე მარილის გემოს გრძნობს, — ახლავე მოვიყვან. აი, ნახავ.

სან მარტინის მოედანზე პორტას აფთიაქამდე მიძინებულს, ტელეფონს ითხოვს და ლა ქრონიკაში რეკავს. იურიდიული განყოფილებიდან სოლორსანო პასუხობს: რა ჯანდაბად უნდა ვიცოდე, სადაა ძაღლების თავშესაფარი, სავალიტა?

— თქვენი ძაღლი წაიყვანეს? — აფთიაქარი ცნობისმოყვარე თავს გამოყოფს, — ძაღლების თავშესაფარი პუენტიე დე ესერსიტოზეა. იჩქარეთ, ჩემს სიძეს უძვირესი პატარა ჩიჰუაჰუა მოუკლეს.

ლარკომდე მიძინებულს, ავტობუსში ჯდება. რა ეღირება გზა კოლუმბის გამზირიდან პუენტიე დე ესერსიტომდე? საფულეში დარჩენილ ასოთხმოც სოლს ითვლის. კვირას სენტავოს გარეშე დარჩებიან. ცუდია, ანა კლინიკიდან რომ წამოვიდა, სჯობს, საღამოს კინოში აღარ წავიდნენ. საცოდავი ბატუკე-ტო, დღეიდან აღარასოდეს დაწერს სარედაქციო წერილს ცოფზე. კოლუმბის გამზირზე ჩამოდის, სენიორ, ტაქსისტმა არ იცის, სადაა



ძალეების თავშესაფარი. დოს მაიოს მოედნის მენაყინე აკვლიანებს: მდინარის ახლოს პატარა აბრა, იქ არის ძალეების მუნიციპალური თავშესაფარი. დიდი ნაკვეთი ყავისფერი აგურის ჩამოშლილი ღობითაა შემორაგული — ლიმა ფერია, პერუს ფერი, გაიფიქრა — აქეთ-იქეთ ქობინები დგას, შორიდან იქაურობა კრამიტის, ქოლოფის, ლერწმისა და თუნუქის ლაბირინთს წააგავს. მოგუდული, შორეული ყმული და ნკავენკავი ისმის. შესასვლელში დაფუხვლი შენობა დგას, აბრაზე „ადმინისტრაცია“ აწერია. ქაჩალი, მკლავებაკაპინებული და სათვალისანი მამაკაცი ქალაქიდან სავსე მაგიდაზე თვლემს. სანტიაგო მაგიდას ხელს ურტყამს: მისი ძალი მოიპარეს, ქალბატონს ხელიდან გამოგლიჯეს, შემკრთალი მამაკაცი ფხიზლდება, ჯანდაბა, ეს ამბავი ასე არ დარჩება.

— ოფისში გინებით შემოვარდნა რა წესია? — ქაჩალი თვალს იფარავს და იმანჭება, — ცოტა მეტი პატივისცემა გმართებთ.

— ჩემს ძალს რამე თუ მოუვა, ეს ამბავი ასე არ ჩაივლის, — ჯიბიდან ჟურნალისტის მონომობას იღებს და მაგიდას კვლავ მუშტს ურტყამს, — სენიორას ვინც შეურაცხყოფა მიაყენა, მწარედ ინანებს, გარწმუნებთ.

— ცოტა დამშვიდდით, — მონომობას აკვირდება, ამოქნარებს, სახეზე ალბეჯდოილი წუხილი ნეტარი გულარხინობით ეცვლება, — თქვენი ძალი ამ რამდენიმე საათის წინ აიყვანეს? მაშინ იმ ფურგონში იქნებოდა, ახლახან რომ შემოვიდა.

ასე ნუ გაცხარდები, მეგობარო ჟურნალისტო, არავის ბრალი არაა. ხმაც ისეთივე უშფოთველი და ნამძინარევი აქვს, როგორიც თვალეები, ისეთივე მქისე, როგორიც ნაოჭები და დარღული პირი. დამჭერებს თითოეულ ცხოველში ფულს უხდიან, ამიტომ ხანდახან ძალადობენ კიდევ. რას იზამ, ყველა ისე იბრძვის ლუკმა-პურისთვის, როგორც შეუძლია. აბა, რა ქნას ადამიანმა? კედელზე ყოფი დარტყმის ხმა და მოგუდული ყმული ისმის, ხმის სიმძლავრეს კაუჩუკის კედელი ფილტრავს. ქაჩალი ცალკეა და უგემურად იცინის. ფეხზე მძიმედ დგება და ოფისიდან ბუზუნით გამოდის. ეზოს ჭრის და შარდით აყროლებულ ფარულში შედის. ცხოველებით გაჭედოილი გალიები ერთმანეთის პარალელურადაა ჩამწყვიტებული. ძალეები ზედახორაზე გადადიან, ადგილზე ხტუნავენ, ლითონის გისოსებს ყნოსავენ, იღრინებიან. სანტიაგო ყოველი გალიისკენ იხრება, აქ არ არის. ყურადღებით აკვირდება პატარა დროუნჩებს, დაჭიმულ, აპრეხილ კუდებს, არც აქაა. ქაჩალი გვერდით მიჰყვება, დაბნეული მზერა აქვს, ფეხებს მოათრევს.

— შეამონმეთ, საკუთარი თვალით ნახეთ, ტევა აღარ არის, — ცხარდება უცებ, — არადა, თქვენი გაზეთი უსამართლოდ გვიტყვის. მუნიციპალტეტი მათხოვრულ თანხას გვაძლევს, არც ვიცო, რა ჯადოქრობით გაგვაქვს თავი.

— ჯანდაბა, — ამბობს სანტიაგო, — არც აქ არის.

— მოთმინება იქონიეთ, — ოხრავს ქაჩალი, — კიდევ ოთხი ფარდული დარჩა.

კვლავ ეზოში გამოდიან. აყრილი მინა, სარეველა, ქაქი, აყროლებული გუბები. მეორე ფარულში ერთი გალია სხვებზე მეტად ბობოქრობს, გისოსები ზანზარებს, რაღაც თეთრი და ფუმფულა ადგილზე ხტუნავს და შემდეგ ბენების ტალღებში იკარგება: კიდევ კარგი, კიდევ კარგი. ნახევარი დინგი, პატარა კუდი, ორი ჩასისხლიანებული და ცრემლიანი თვალი: ბატუკიტო. ყელზე კვლავ ჯაჭვი აბია, არ მოუხსნიათ, ქაჩალი სანტიაგოს ამშვიდებს, ახლავს გამოაყვანიებს. ფარდულს დინჯად შორდება და ცოტა ხანში ტანდაბალი, ლურჯკომბინეზონიანი სამბო მოჰყავს: აბა, პანკრას, ის თეთრი ძალი გამოიყვანე. სამბო გალიას ადებს, ცხოველებს იშორებს, ბატუკიტოს ქეროში სწვდება და სანტიაგოს აწოდებს. საბრალო, ერთიანად ცახცახებს, სანტიაგოს ძალი ხელიდან უსხლტება, უკან იხევს, იფურთხება.

— ყოველთვის ასეა, — იცინის სამბო, — თავისებურად მადლობას გიხდიან, რომ ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

სანტიაგო იჩოქებს, ბატუკეს თავს ფხანს, ხელს ალოკინებს. ძალი ცახცახებს, შარდის ნვეთები სცვივა, მთვრალი

კაცივით დაბარბაცებს და გაშლილ ეზოში იწყებს კუნტრუსს, მინის ჩიჩქნასა და სირბილს.

— წამომყევით, ნახეთ რა პირობებში ვმუშაობთ, — ქაჩალი სანტიაგოს ხელკავს უყრის, მწარედ იღიმის, — დაწერეთ რამე თქვენს გაზეთში, მოითხოვეთ, მუნიციპალიტეტმა ჯამაგირი გაგვიზარდოს.

აქოთებული, ჩამონგრეული ფარდული, ფოლადისფერი ცა, ნესტი გაფლენილი ჰაერი. სანტიაგოსგან ხუთი მეტრის მოშორებით გაჩხინკული სხეული გამეტებით ცდილობს, ტომარაში ჩატენოს ტაქსა, რომელიც თავისი პატარა ტანისთვის შეუფერებელი სიანჩხლით ყეფს და სხმარტალებს: მიხმარე, პანკრას. ტანდაბალი სამბო მირბის, ტომარას ხსნის და ძალს შიგ ტენის. ტომარას თავს მავთულით უკრავენ და მინაზე დებენ. ბატუკე ყმუის, იღრინება, ჯაჭვს ექაჩება — რა გჭირს? — ძალი შემინებულია, ხრინინადად ყეფს. მამაკაცები კეტებს იმარჯვებენ, ერთი-ორი და ურტყამენ, ტომარა ხტუნავს, ცოფიანი ყმული ისმის, ერთი-ორი, ბღავიან კაცები და კვლავ ურტყამენ. თავზარდაცემული სანტიაგო თვალს ხუჭავს.

— პერუში ქვის ხანაში ვცხოვრობთ, ჩემო მეგობარო, — ქაჩალს სახეზე ტკბილმწარე ღიმილი ეფინება, — შეხედე, რა პირობებში მუშაობენ, მითხარით, განა ასე შეიძლება?

ტომარა არ იძვრის, მამაკაცები ცოტა ხანს კიდევ ურტყამენ, მინაზე კეტებს ყრიან, სახეს იმშრალევენ, ხელს იფარებენ.

— ადრე წესიერად კლავდნენ, ახლა მაყუთი აღარაა, — წუნუნებს ქაჩალი, — დაწერეთ წერილი, მეგობარო ჟურნალისტო.

— იცით, აქ რას გვიხდიან? — ხელს იქნევს პანკრასი და მეგობარს შეჰყურებს, — შენ უამბე, ეს სენიორი ჟურნალისტია, დაწეროს თავის გაზეთში.

პანკრასზე მალაღობა და ახალგაზრდა კაცი რამდენიმე ნაბიჯით უახლოვდება და სანტიაგო ბოლოს და ბოლოს მის სახეს ხედავს: რა? ჯაჭვს ხელს უშვებს, ბატუკე ეზოში ყეფით გარბის, სანტიაგო პირს ადებს და ხურავს: რა?

— ცხოველში ერთ სოლს გვიხდიან, დონ, — ამბობს სამბო, — გარდა ამისა, ლემი ჩვენ უნდა გადავართოთ დასაწავად. მხოლოდ ერთ სოლს, დონ.

ის არ არის, შავკანიანები ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს. ფიქრობს: რატომ არ შეიძლება, ის იყოს? სამბო იხრება, ტომარას იღებს. კი, ის არის, ეზოს კუთხეში მიაქვს, სხვა სისხლიან ტომრებზე ადებს, თავისი გრძელი ფეხებით მოყანაყვანებს, შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოსდის. ის იყო, ის იყო. კუმ-პა, იდაყვს კრავს პანკრასი, ნადი, ისადილე ბოლოს და ბოლოს.

— აქ წუნუნებენ, მაგრამ ძალეების დასაჭერად რომ გადიან, მშვენივრად ერთობიან, — ბუზუნებს ქაჩალი, — ამ დილით, სენიორას ძალი წაართვეს, ჯაჭვით მოჰყავდა სენიორას, გარეწრებო.

სამბო ხელს მალაღობს, ის არის: ჩვენ დილით მანქანით არ გავსულვართ, დონ, დილა კეტის ცემში გავატყავთ. ფიქრობს: ის არის! მისი ხმა, მისი სხეული, ოღონდ ოცდაათი წლით დაბერებული. ისეთივე სიფრიფანა პირი, გაბუშტული ცხვირი, ჯაგარით თმა. მხოლოდ ახლა იისფერი უბები აქვს, ყელზე ნაოჭები ასხმია, კბილებზე კი მოყვითალო-მომწვანო ნადები ადევს. ფიქრობს: ქათქათა კბილები ჰქონდა. როგორ შეიცვალა, როგორ განადგურდა. უფრო გამხდარია, მნიკვლიანი, დაბერებული, მაგრამ ეს მისი სიარულია, მიზანმიმართული და დინჯი, ეს მისი კაჭა ფეხებია. ხელები კოჭრებით დააბრუნა, პირზე დორბლი ადგას. ოფისში დაბრუნდნენ. ბატუკე სანტიაგოს ფეხებზე ეკვრის. ფიქრობს: არ იცის, ვინა ვარ. არაფერს ეტყვის, არ დაელაპარაკება. აბა, როგორ გიცნობდა, სავალიტა, რამდენი წლისა იყავი — თექვსმეტი, თვრამეტის? ახლა კი ოცდაათი წლის ბებერი ხარ. ქაჩალი ორ ქალაღს შორის ასლგადამყვან ქალაღს დებს, ნაქცეულ და აჩხაბაჩხა ასოებს ჩხანის. ეზოში მინოლილი სამბო ტურებს ილოკავს.

— ხელი მოაწერეთ აქ, ჩემო მეგობარო, ცოტა დაგვეხმარეთ, ლა ქრონიკაში მოითხოვეთ, ჯამაგირი გაგვიზარდონ, —

ქაჩალი სამბოს უყურებს, — შენ სადილად არ მიდიოდი?

— წინდანი ვერ გადამიხდი? — სამბო ნაბიჯს წინ დგამს, ბუნებრივად საუბრობს, — საშუალება არა გვაქვს, დონ.

— ნახევარი ლიბრა, — ამოქნარებს ქაჩალი, — მეტი არა მაქვს.

სამბო ფულს დაუთვლელად იღებს ჯიბეში და სანტიაგოსთან ერთად გამოდის. სატვირთო მანქანების, ავტობუსებისა და პატარა ავტომობილების მდინარე პუერტო დე ესერსიტოზე მიედინება. როგორი სახე ექნება, რომ ვუთხრა? ნისლში ფრაუ მარტინ დე პორასის ქუჩის მიწურები მოჩანს. გაიქცევა? თითქოს სიზმარშია. სანტიაგო სამბოს თვალს უსწორებს.

— ჩემი ძალი რომ მოგეკლათ, ალბათ ცოცხლები ვერ გადამიჩნებოდი, — გაღიმებას ცდილობს.

არა, სავალიტა, ვერ გცნობს. ყურადღებით უსმენს, მღვრიეა მისი გამოხედვა, შორეული და მოკრძალებული. არა მხოლოდ დაბერებულია, გავლურებულია კიდევ. სავალიტა ფიქრობს: ამასაც ყოფა ეტირა.

— ამ დილით აიყვანეს ფუმფულა? — მოულოდნელად მის თვალში სხივი აკიაფდება, — ზანგი სესპედესი იქნებოდა, მაგას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ეზოებში მიძვრება, ჯაჭვებს გლეჯს, ერთი სოლის გულისთვის ყველაფერზე მოაწერს ხელს.

აღფონსო უგარტეს ქუჩაზე ასასვლელ კიბესთან დგანან. ბატუკე მინაზე გორავს და ფერფლისფერ ცას შეჰყავს.

— ამბროსიო? — იღიმის, ყოყმანობს, იღიმის, — შენ ამბროსიო არა ხარ?

არ გარბის, ხმას არ იღებს. გაოგნებული შესცქერის, თვალში თითქოს მორევი უტრიალებს.

— მე აღარ გახსოვარ? — ყოყმანობს, იღიმება, ყოყმანობს, — მე სანტიაგო ვარ, დონ ფერმინის ვაჟი.

ხელს მალაღობს ალაპყრობს, პატარა ბიჭი სანტიაგო, დონ? მკლავები ჰაერში უშვდება, ვერ გადაუწყვეტია, მოახრჩოს თუ მოეხვიოს, დონ ფერმინის ვაჟი? მოულოდნელობისა და გრძობებისგან ხმა ეზარება, თვალს უსინათლოსავით ახამხამებს. რა თქმა უნდა, კაცო. ვერ მიცანი? სამაგიეროდ, სანტიაგომ როგორც კი დაინახა ეზოში, მაშინვე იცნო. ეგ არ ვთქვი, კაცო? ხელს კვლავ მალაღობს, ჯანდაბა, როგორ გაზრდილხარ, ღმერთო ჩემო, სანტიაგოს მხრებსა და ზურგზე ხელს უთათუნებს, თვალეები უციმციმებს და ბოლოს: რა სიხარულია, ბიჭო.

— საკუთარი თვალეები ვერ ვუჯერებ, ამხელა კაცს რომ გხედავ, — ხელით სინჯავს, უყურებს, უღიმის, — გიყურებ და არ მჯერა, ბიჭო. ახლა კი გიცანი, რა თქმა უნდა. მამაშენს გავხარ, ცოტა — სენიორა სოილასაც.

პატარა გოგო ტეტე? ხელს არ აჩერებს, გახარებული? გაოგნებული? სენიორ ჩისპასი? სანტიაგოს მკლავებზე ეფერება, შემდეგ მხრებსა და ზურგზე გადადის. თვალეებში სითბო და მოგონება თრთის, ცდილობს, ბუნებრივად ისაუბროს. ძალიან დიდი შემთხვევითობა არ არის, ბიჭო? სად შეეხვდით, ბიჭო! ამდენი ხნის შემდეგ, ეშმაკმა დასწყევლოს!

— ამ აურზაურში ყელი გამიშრა, — ამბობს სანტიაგო, — წამოდი, რამე დავლიოთ. აქ სადმე დასალევი ადგილი არ იცი?

— ერთი ვიცი, სადაც ვჭამ ხოლმე, — ამბობს ამბროსიო, — კათედრალი ჰქვია, ლატაკების დუქანია, არ ვიცი, მოგეწონება თუ არა.

— ცივი ლუდი თუ აქეთ, მომწონება, — ამბობს სანტიაგო, — წავედით, ამბროსიო.

დაუჯერებელია, რომ პატარა ბიჭი სანტიაგო უკვე ლუდას სვამს, ამბროსიო იცინის, თავისი ყვითელი, მომწვანო კბილებით იკრიჭება: დრო მიჰქრის, ამის დედა ვატირე. კიბეებზე ადიან, აღფონსო უგარტეს ქუჩის პირველი კვარტალში, სახლების გასწვრივ ფორდის თეთრი სახელოსნოა, ქუჩის ბოლოს კი, მარცხნივ, ცენტრალური რკინიგზის გაცრეცილი, ნაცრისფერი სანკობები. ყუთებით დაზურგული სატვირთო მანქანა კათედრალის კარს ეფარება. შიგნით, თუნუქის ქერქვეშ, ერთმანეთზე მიდგომულ გაურანდავ მაგიდაებსა და სკამებს შორის ხმაურია, აჩჩხლი ბრბო ბარბაცებს. ორი მკლავებაკაპინებუ-

ლი ჩინელი დახლიდან აკვირდება ეკატალინისფერ სახეებსა და ტლანქ-საკვებს, ვინც ღვინო და სვამს; ახალგაზრდა, ბინძურნისაფერიანი ბიჭი მაგიდაზე არიგებს აბოლებულ წვნიანს, ბოთლებს, ბრინჯს. ბევრი ალერსი, ბევრი კოცნა და ბევრი სიყვარული იღვრება ფერადი რადიოლადან; სიღრმეში — კვამლი, ხმაური, საჭმლისა და სასმლის მსუყვე სუნი, მოცეკვავე ბუზების გუნდი. ერთ-ერთ კედელში სარკმელია გამოტეხილი — ქვები, ქობინები, მდინარის ძაფი, ტყვიისფერი ცა — მხრებგანიერი, ოფლში გახვიებული ქალი ნაპერწკლებიან ლუმენზე ქვაბებსა და ტაფებს ატრიალებს. რადიოლას გვერდით ცარიელი ხის მაგიდა დგას, დანით დასერილ მაგიდაზე მკაფიოდ მოსჩანს ხეზე ამოჩოკნილი ისარგაყრილი გული და ქალის სახელი — სატურნინა.

— მე უკვე ვისადილე, შენ მოითხოვე საჭმელი, — ამბობს სანტიაგო, — ორი კარგად ჩაცივებული კრისტალი, — გაჰყვირის ამბროსიო, — თევზის წვნიანი, პური და ბოსტნეული ბრინჯით.

არ უნდა მოსულიყავი, არ უნდა დალაპარაკებოდი, სავალიტა, ბრიყვი კი არა, დამთხვეული ხარ. ფიქრობს: კომპარები დამიბრუნდება. შენი ბრალი იქნება, სავალიტა, საბრალო მამა, საბრალო მოხუცი.

— ფაბრიკის მუშები და მძღოლები არიან, — ამბროსიო იქაურობას ხელით აჩვენებს, თითქოს ბოდიშს იხდისო, — არ გენტინის გამზირიდან მოდიან, საჭმელს არა უშვას და, რაც მთავარია, იაფია.

ახალგაზრდა მიმტანს ლუდი მოაქვს, სანტიაგო ჭიქებში ასხამს და სვამენ. გაგიმარჯოს, ბიჭო. გაგიმარჯოს, ამბროსიო. მსუყვე, გაურკვეველი სუნი ძალ-ლონეს აცლის, თავბრუს ახვევს და გონებას მოგონებებით უბინდავს.

— რა საშინელი სამსახური გიშოვია, ამბროსიო. დიდი ხანია, საძალეთში ხარ?

— ერთი თვეა, ბიჭო, ისიც დიდი წვლებით, ადგილები შევსებული იყო. რა თქმა უნდა, საშინელებაა, კაცს ღდინს აცლის. მხოლოდ მაშინ ვითქვამს სულს, მანქანა ძალეების დასაჭერად რომ გადის.

ოფლის, შარდის, ხახვის, ნივრისა და დაგროვილი ნაგვის სუნი დგას, რადიოლას მუსიკა ყაყანს, ძრავების თუხთუხსა და საყვირის ხმებს ერწყმის და ყურს დეფორმირებულ სწვდება. მურიანი, ყვრი-მალგადმოყრილი, ერთფეროვნებით თვალედაბინდული, ილაჯგანყვეტილი ადამიანები მაგიდას შორის დაბორიანებენ, დახლთან გროვდებიან, შემოსასვლელს ხერგავენ. ამბროსიო სანტიაგოს შეთავაზებულ სიგარეტს იღებს, ენება, ნამწვავს იატაკზე ადებს და ფეხით სრესს. წვნიანს ხმაურით ხვრებს, თევზის ნაჭერს სანსლავს, გაპრიანებულ ძვლებს ლოკავს და თევზზე ტოვებს. უსმენს, პასუხობს, ეკითხება, პურს მადიანად კბერს, ლუდს მწყურვალედ ყლურნავს და ხელით ოფლს იწმენდს: დრო შემწმენველად გარბის, ბიჭო. ფიქრობს: სასასვლელი ვარ, კვლავ ლუდს ითხოვს. ჭიქებს ავსებს, თავისას იღებს და საუბრობს, იხსენებს, ოცნებობს თუ ფიქრობს, აკვირდება ჭიქაზე კრატერივით დაწინკულ ქაფს, ჩუმად გაღებულ პირებს, აბუყბუყბულ ოქროსფერ ბუმტუკებს, ყვითელი სითხე თვალის დახამამებაში უჩინარდება მსურველ ხელებით გამთბარი ჭიქებიდან. თვალდახუჭული სვამს, აბოყნებს, პირს იწმენდს, სიგარეტს უკიდებს და ბატუკეს მოსაფერებლად იხრება. საუბრობს, ამბროსიოც საუბრობს, იისფერი ქუთუთოები აქვს, ცხვირის ნესტოები ნარბილი კაცივით უთრთის, თითქოს სული ამოსდის, ყოველი ყლუპის შემდეგ აფურთხებს, მოწყენილი შესცქერის ბუზებს, უსმენს, იღიმის ან დარდობს, თვალეებში დროდადრო ბრაზი და შიში უდგება. შიგადაშიგ ხველა უტყდება. ჯაგარით თმამი ჭალარა გარევი, კომბინეზონზე ქურთუკი აცვია, რომელიც ოდესღაც ალბათ ლურჯი და ღილებიანი იყო, მალაღობსაყვლიანი პერანგი მარყუჟით შემოხვევია ჩაჟანგულ ყელზე. სანტიაგო მის უზარმაზარ ფეხსაცმელებს დაჰყურებს: გაცვეთილი, დაგრეხილი, სიძველით გამოტყვეული. ამბროსიოს ხმაში ეჭვი, შიში, სიფრთხილე, გვერება და გულგრილობა იგრძნობა; დროდადრო მოკრძალებული, მღელვარე და ნაღვლიანი, მაგრამ ყოველთვის დამარცხებული:





დასასრული

ოცდაათი კი არა, ორმოცი ან ასი წლით მასზე უფროსია. მხოლოდ კი არ დაჩაჩანაკდა, დაბერდა, გაველურდა და, ალბათ, დაჭლექდა კიდეც. ათასჯერ უარესად, ვიდრე კარლიტოსი ან შენ, სავალიტა. წასვლის დროა, წასასვლელია, მაგრამ ისევ ლუდს ითხოვს. მთვრალი ხარ, სავალიტა, ახლა ატირდები. ამ ქვეყანაში ცხოვრება უსამართლოდ ეპყრობა ადამიანებს, ბიჭო, რაც თქვენი სახლიდან წავედი, თავს ისეთი ამბები გადამხდა, კინოში რომ არ გინახავს. არც სანტიაგოს ჰქონია დალხენილი ცხოვრება, ამბროსიო, ფიქრობს და ლუდს ითხოვს. გულს აზიდებს, შემწვარ-მოხრაკულის, ფეხებისა და ილიების მწკლარტე სუნი ჰაერში ტრიალებს და ღრუბელივით ადგას გაბურძღვულ, გლუვ და ბრილიანთაგანად გლეხილ თავებს, გაბრტყელებულ, ქერტილიან და მზინვარე კეფებს. რადიო-ლას მუსიკა წყდება, შემდეგ კვლავ ირთება და ახლა დანაყრებულ სახეებზე, გამურულ, ოფლით აპრილებულ ლოყებზე ცხადი და ჯიუტი მისი შემზარავი მოგონებებია: კიდეც ლუდი! განა, ჯოჯოხეთი არ თუხთუხებს ამ ქვეყანაში, ბიჭო? განა, საოცარი თავსატეხი არ არის პერუ? დაუჯერებელი არ არის, ოდრისტები და აპრისტები, ერთმანეთი ჭირის დღესავით რომ სძულდათ, ახლა ერთსულ და ერთხორც რომ არიან, ბიჭო? ამაზე რას იტყობა მამაშენი? საუბრობენ, სანტიაგოს ესმის, მორცხვად და მოკრძალებით რომ ბედავს წინააღმდეგობის განცეას: წასასვლელი ვიყავი, ბიჭო. დაჩაჩაჩა და უსუსური უზის ცარიელი ბოთლებით დახუნძლულ მაგიდას, სადაც შორს იყურება მთვრალი, დამფრთხალი თვალებით. ბატუკე ერთხელ ყეფს, ასჯერ ყეფს. სანტიაგოს გულში მორევი ტრიალებს, ბუყბუყებს, დრო ჩერდება და მარტოოდენ წინას ტოვებს. საუბრობენ? რადიოლა წამით ჩუმდება და შემდეგ კვლავ გრგვინავს. სუნების მსუყე მინარეთამბაქოს, ლუდის, ადამიანის კანისა და საჭმლის წარჩენების სუნებზე იშლება და თბილად ტივტივებს კათედრალის მძაღვ ჰაერში და, მოულოდნელად, ყველაფერს მასზე უპირატესი სიმყრალე ისრუტავს: არც შენ იყავი მართალი და არც მე, მამა, ეს დამარცხების სურნელია, მამა. კათედრალში შესული ხალხი ჭამს, იცინის, ყაყანებს და მიდის, უცვლელი მხოლოდ დახლოებულ მდგომარეობაში ჩინელების სახეებია. საუბრობენ, ჩუმდებიან, სვამენ, ეწვეიან და როცა ახალგაზრდა მიმტანი მაგიდიდან ზღარბის ეკლებით გადავსებული ბოთლების ასაკრეფად იხრება, ყველა მაგიდა ცარიელია, აღარც რადიოლას ხმა ისმის და აღარც ლუმელის ტკაცატკუცი, მხოლოდ ბატუკე ყეფს, სატურნიინა. მიმტანი გაზინტლული თითებით ითვლის თანხას, სანტიაგო ამბროსიოს შემფოთებულ სახეს ხედავს: თავს ცუდად გრძობო, ბიჭო? ცოტა თავი ამტკიცდა, მალე გადამივლის. ფიქრობს: დიდებულად ასრულებ შენ როლს, ბევრი დავლიე, ჰაქსლი, აგერ გყავს სალსალამათი ბატუკე, შემავიანდა, მეგობარს გადავყარე, საყვარელო. ფიქრობს: გაჩუმდი, სავალიტა, კმარა. ამბროსიო ხელში მიძვრება, სანტიაგო მკლავზე ხელს ჰკიდებს: გაგიჟდი, კაცო? ის იხდის. სანტიაგო წაიბორძიკებს, ამბროსიო და მიმტანი ბიჭი ხელს აშველებენ; ხელი გამიშვით, დახმარება არ მჭირდება, კარგად ვარ. ვმპაკა დალაზვროს, აბა, რა იქნება, ამდენი დალია. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვევს კათედრალის ცარიელ მაგიდასა და მოყვანალებულ სკამებს შორის, დაჟინებით შესქერის მონუნულ იატაკს: მორჩა, გამიარა. გონება თანდათან უნათდება, ფეხებიდან ტვირთი ეხსნება, თვალებიდან ლიბრი ენმინდება, მაგრამ მოგონებები წამითაც არ ტოვებენ. ბატუკე ფეხებში ებლანდება და მოუთმენლად ყეფს.

— კიდეც კარგი, ფული გეყო. მართლა უკეთესად ხარ?  
— ცოტა თავბრუ მეხვევა, მაგრამ სიმთვრალის ბრალი არაა, სასმელი არ მწყენს. თავი ამდენი ფიქრისგან მიტრიალებს.  
— ოთხი საათი ვიყავით, ბიჭო, ახლა არ ვიცი, რა მოვიგონო. შეიძლება, სამსახური დავკარგო, შენ ვერც კი მიხვდი. მოკლედ, მადლობა მომიხსენებია. ლუდი, სადილი, საუბარი. იქნებ, ოდესმე, სამაგიეროს გადახდაც შეეძლოს.  
ტროტუარზე დგანან, მიმტანმა ბიჭმა




### მარიო ვარგას ლოსა საუბარი კათედრალში

ხის ჭიშკარი ჩარაზა. კართან მდგარი სატვირთო მანქანა წასულა, ნისლი შენობის ფასადს ჩამოსწოლია, ქუჩაში დამთრგუნველი, თანაბარი, ფოლადისფერი შუქი იღვრება, მანქანების, ფურგონებისა და ომნიბუსების ნაკადი პუერტო ლე ეხერსიტოზე მიედინება. ახლომანლო არავინაა, შორეული გამვლებლები ბინდ-ბუნდში მოფარფარებენ უსახური სილუეტები არიან. ერთმანეთს დავემშვიდობებით და მორჩა, მეტს აღარ ნახავ. ფიქრობს: არასოდეს მიწახავს, არასოდეს მისაუბრია, კარგი შხაპი, სიესტა და მორჩა.  
— ნამდვილად კარგად გრძობო თავს, ბიჭო? არ გინდა, გაგაცილო?  
— ცუდად შენ ხარ, — ამბობს ტუჩების გაუნძრევლად, — მთელი საღამო, მთელი ოთხი საათი, ცუდად შენ იყავი.  
— არ დაიჯერო, სასმელი კარგად ვიტან, — ამბობს ამბროსიო და იცინის.  
უცებ პირდაღებული რჩება, ხელი ნიკაპთან უშემდება. საყვლაწეული გაქვავებული დგას სანტიაგოსგან ერთი ნაბიჯის მოშორებით, ყურდაცქვეტილ ბატუკეს კი ეშვები გადმოუყრია, ხან სანტიაგოს შესცქერის, ხან ამბროსიოს, ხან კი მინას ჩიჩქნის გაკვირვებული, აღელვებული თუ შეშინებული. კათედრალის შიგნით, როგორც ჩანს, სკამებს დაათრევენ და იატაკს რეცხავენ.  
— ძალიან კარგად იცი, რასაც ვამბობ, — ამბობს სანტიაგო, — ძალიან გთხოვ, თავს ნუ ისულელებ.  
არ უნდა, ან არ შეუძლია გაგება, სავალიტა: ადგილიდან არ იძვრის, თვალებში კვლავ ჯიუტი სიბრმავე და შეუვალი, შემზარავი სიბნელი უდგას.  
— რატომ არ გინდა, გაგაცილო, ბიჭო, — ენას უკიდებს, ხმას დაბლა უწევს, თვალებს ხრის, — უფრო სწორად, თუ გნებავს, ტაქსის გავაჩერებ.  
— ლა ქრონიკაში დარაჯი სჭირდებათ, — სანტიაგოც ხმადაბლა ამბობს, — ის საძაღლეთზე უკეთესი ადგილია. მე მოვავარებ, საბუთების გარეშე რომ მივიღონ. ვაცილებით უკეთესად იქნები. მაგრამ, ძალიან გთხოვ, თავს ნუ ისულელებ.  
— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — თვალებში ნაღველი იზრდება, ხმა თითქოს ყვირილით ჩახრინწვია, — რა ხდება, ბიჭო, რა გემართება?  
— ამ თვის ხელფასს მთლიანად შენ მოგცემ, — ხმა ეზარება, მაგრამ არ ტირის, თვალებდაჭყეტილი, გამართული დგას, — სამი ათას ხუთასი სოლი. ამ ფულისთვის მუშაობას შეძლებ, არა?  
ამბროსიო ჩუმდება, თავს ხრის და ელდანაკრავივით უკან იხევს. ხელებს მუცლის გასწვრივ იშვერს, თითქოს თავდასაცავად ან ვინმეზე თავდასასხმელად. ბატუკე ილირინება.  
— სასმელი თავში აგივარდა? — ხრილებს ამბროსიო, — რა დაგემართა? ჩემგან რა გინდა?  
— თავს ნუ ისულელებ, — სანტიაგო

თვალებს ხუჭავს და ჰაერს ღრმად ისუნთქავს, — პირდაპირ ვილაპარაკოთ, მუსაზე, მამაჩემზე. მან დაგავალა? ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს, მხოლოდ სიძარითლე მინდა ვიცოდე. მამაჩემი იყო?  
ხმა უწყდება, ამბროსიო კიდევ ერთი ნაბიჯით იხევს უკან, სანტიაგო ხედავს მის გაფაციცებულ, დაზაფრულ სახეს, შიშით თუ რისხვით გაფართოებულ თვალებს: არ ნახვიდე, მოდი! არ გაველურებულა, ფიქრობს, მშობარა არ არის, მოდი, მოდი. ამბროსიო მუშტს იღვრებს — ემუქრება ან ემშვიდობება.  
— მე წავალ, რომ არ ინანო ის, რასაც ამბობ, — ნაღველიანად ამბობს ხმაჩანყვეტილი, — არ მჭირდება სამსახური, იცოდე, არანაირ წყალობას არ მივიღებ, მით უფრო, შენს ფულს. იცოდე, რომ არ იმსახურებდი ისეთ მამას, როგორც გყავდა. ჯანდაბამდის გზა გქონია, ბიჭო.  
— საკმარისია, საკმარისია, ფეხებზე მკიდა, — ამბობს სანტიაგო, — მოდი, არ ნახვიდე, მოდი.  
ფეხებთან მოსხლეთილი ხმაური ესმის, ბატუკე შეჭყურებს, ბნელი სილუეტი საწყობის კედელს ეკვრის და ნელ-ნელა შორდება, ფორდის ფარების განათებულ სარკმელში წამით ილანდება და ხიდის კიბესთან უჩინარდება.  
— მორჩა, — სლუკუნებს სანტიაგო და ბატუკეს მოუსვენარ ცხვირსა და პატარა, დაჭიმულ კუდს ეფერება, — წავედით, ბატუკიტიო.  
ნელში იმართება, ისევ სლუკუნებს, ჯიბიდან ცხვირსახორცს იღებს და თვალებს იწმენდს. წამით გაუნძრევლად დგას, ზურგით კათედრალის ჭიშკარს ეყრდნობა, სახეზე ცრემლები დაპაღუპით ჩამოსდის. ბატუკე მის კოჭებზე ზურგს იფხანს, ფეხსაცმელებს ულოკავს, თვალებში შესცქერის და ხმადაბლა ყეფს. სანტიაგო დინჯად მიაბიჯებს, ჯიბეში ხელმწიფობილი დოს და მაიოს მოედნისკენ მიიწვევს, ძაღლზე ფეხდაფეხ მიძუნღვლებს. მოსუმიენტის ფერხითი ადამიანები წვანან, იქვე ნამწვავების, ნანუნისა და ქალაღების გროვია დახვავებული; ქუჩის კუთხეში ხალხი დანჯღრეულ, გაქანებულ ომნიბუსებს ასტება, ომნიბუსები სწრაფად იკარგებიან მტვრის ქარში; პოლიციელი ქუჩის მოვაჭრეს ედავება, დაბლვერულ სახეებზე ორთავეს ზიზი აღბეჭდვია, ხმა სიძულვილის სიცარიელით ჩახრინწვიათ. სანტიაგო მოედანს ზურგს აქცევს და კოლმენასთან ტაქსის აჩერებს: თქვენი ძაღლი სავარძელს ხომ არ დასვრის? არა, მავსტრო, სავარძელს არ დასვრის. მირაფლორესი, პორტას ქუჩა. ჯდება და მუხლებზე ისევამს გაბერილ ბურთს — ბატუკეს. ჩოგბურთი ითამაშე, იცურე, იარე, გამოთავყვანი, კარლიტოსავით გალოთდი. თვალებს ხუჭავს, თავს სავარძელს აყრდნობს, ხელით ბატუკეს ზურგს, ყურებს, ცივ ღრუნჩსა და მოცახცახე მუცელს ეფერება. შენ კი დააღწიე თავი

საძაღლეთს, ბატუკიტიო, მაგრამ, სავალიტა, შენ ველარავინ დაგიხსნის? ახალღლეთიდან. ხვალ კარლიტოს მოინახულებს კლინიკაში, წიგნს წაულებს, ოღონდ ჰაქსლის არა. ტაქსი ჩაბნელებულ ქუჩებში მიჰქრის. უკუნი ღამე, ძრავების თუხთუხი, სტვენა, მყისიერად გამქრალი ხმები. დასანანია, ნორვინს სადილად რომ არ გავყევი. ფიქრობს: ის კეტიო კლავს, შენ — სარედაქციო წერილებით. ის შენზე უკეთესია, სავალიტა. უფრო ძვირი დაუჯდა, უფრო დაიტანჯა. ფიქრობს: საბრალო მამა. ტაქსი სიჩქარეს ანელებს და სანტიაგო თვალებს ახელს: მანქანის დამრეც მუშებზე არეკლილი დიაგონალის ქუჩა, მანქანების ზღვა, მოციმიციმე აბრები. ხეები თეთრ ბურუსში გახვეულა, ნისლი ეკლესიის გუმბათს აბუნდოვანებს, ქარი ლღვის რტოებს არხევს: აქ გააჩერეთ. ფულს იხდის და ჭიშკარს ალებს, ბატუკე ყეფს. სანტიაგო ხელს უშვებს, ხედავს, მეტეორივით რომ შერბის სახლში. ქურთუკსა და ჰალსტუხს ისწორებს, სახლიდან ჯერ ყეფა ესმის, შემდეგ ანას კივილი, მის სახეს წარმოიდგენს. პატიოში შედის, სახლი განათებულია, ხედავს, ანა ძაღლს რომ იხუტებს და მისკენ მორბის. ასე რატომ დაიგვიანე, საყვარელო, როგორ ვნერვიულობდი, როგორ შემეშინდა, საყვარელო.  
— შინ შევიდით, ეს ძაღლი მეზობლებს გადარევეს, — ფრთხილად კოცნის, — გაჩუმდი, ბატუკე.  
აბაზანისა შედის, სანამ შარდავს და პირს იბანს, ანას ხმა ესმის, რამოხდა, ძვირფასო, ასე რატომ დაიგვიანე, კიდეც კარგი, რომ იპოვე, ბატუკეს ეთამაშება, ძაღლი ყეფს. აბაზანიდან გამოდის, ანა სასტუმრო ოთახში ზის, ბატუკე ხელში ჰყავს ატაბეტი. მის გვერდით ჯდება, საფეთქელზე კოცნის.  
— სვამდი, — ქურთუკზე ხელს სჭიდებს და იზიდავს, ვითომ განანყენებული, მაგრამ აღერსიანი თვალებით შესცერის, — ლუდის სუნი აგდის, საყვარელო. ახლა არ მითხრა, არაო, სვამდი?  
— საუკუნე რომ არ მინახავს, ისეთ კაცს შევხვდი. დასაყვად წავედით. თავი ვერ დავიხსენი, საყვარელო.  
— მე კი აქ ნერვიულობისგან გავგიჟდი, — ესმის მისი საყვედურიანი, ტკბილი ხმა, — შენ კი ლუდს სვამდი მეგობრებთან. რატომ არ დამირეკე მაინც, საყვარელო?  
— ტელეფონი არ იყო, საშინელ დუქანში ვიყავით, — ზანტად ამთქნარებს, ანას უღიმის, — გარდა ამისა, არ მომწონს ყოველ წამს შემული გერმანელის შეწუხება. რალაც დამძიმებული ვარ, თავი მისკდება.  
— ძალიან კარგი, დამისახურე, მთელი საღამო ნერვები რომ მომიშალე, — შუბლზე ხელს უსვამს, უყურებს და უღიმის, ხმადაბლა ესაუბრება, ყურზე ოდნავ კბენს, — ძალიან კარგი, თავი თუ გტკივა, საყვარელო, — ამბობს. სანტიაგო კოცნის. უნდა, ცოტა ხანს დაიძინო? ფარდებს დახვრავს, საყვარელო. კი, პასუხობს სანტიაგო, ფეხზე დგება, ლოკინისკენ მიდის და წევა. ანას და ბატუკეს ჩრდილები კიდეც ცოტა ხანს მის ირგვლივ ტრიალებენ.  
— ყველაზე ცუდი ისაა, რომ მთელი ფული დავხარჯე, საყვარელო. არ ვიცი, ორშაბათამდე როგორ მივატანო.  
— აჰ, არა უშავს. კიდეც კარგი, სანტიანის ჩინური მაღაზიის მეპატრონე ყოველთვის მენდობა, ყველაზე კარგი ჩინელია დედამინის ზურგზე.  
— ცუდია, რომ კინოში ვეღარ წავალთ. დღეს რამე კარგი გადიოდა?  
— მარტომ ბრანდო მოწანილებს, კოლინაში აჩვენებენ, — ანას ხმა შორიდან ჩაესმის, — დეტექტივია, შენ რომ მოგწონს, ისეთი. თუ გინდა, ფულს მე გასესხებ, გერმანულად.  
ანა კმაყოფილია, სავალიტა, ყველაფერს გააპატიებს, რადგან ბატუკე მოუყვანე. ფიქრობს: ამ წუთში ბედნიერია.  
— გასესხებ და კინოში წავიდეთ, მაგრამ დამპირდი, რომ გაუფრთხილებლად აღარასოდეს ნახვალ ლუდის დასაღვეად შენს ძმაკაცებთან, — იცინის ანა კიდეც უფრო შორიდან.  
ფიქრობს: გპირდები. ფარდის კალთა აკეცილია, სანტიაგო ჩამოხველებულ ცის ნაგლეჯს შესცქერის და ხედავს, რომ გარეთ, კინტას უბანში, მირაფლორესსა და ლიმაში, როგორც ყოველთვის, გულისგამანვრილებლად ცრის.



**თეთრ როიალთან**

ალარ მინდება გახედვა უკან,  
მეც რომ არ ვიქცე მარილის სვეტად.  
კვლავ ის სონატა მინდა დაუკრან,  
ჩვენ რომ გვიყვარდა ყველაზე მეტად.

ის მელოდია ძველია, როგორც  
ღვინო ბახუსის და მენადების.  
სადღაც გამიქრა სანმისი ოქროს,  
ისევ გიგონებ და მენატრები!

ჩვენ შორის ახლა არაფერია,  
დროის უხილავ უფსკრულის გარდა.  
აქ, ამ ქალაქში ალარ ელიან  
მას, რაც წარსულის ბურუსში გაქრა.

თუმცა კვლავ ახსოვს ტუჩებს და ხელებს  
მონატრებული სხეულის სიტბო.  
წარსული გრძნობებს ისე ახელებს,  
არ გამქრალიყოს საერთოდ თითქოს.

თითქოს ცოცხალი არის ხეოფსი,  
ანტონიოსი და კლეოპატრა.  
ყურში ჩამესმის ხმები ღრეობის,  
კივილი ქალის, ძალზე რომ დათვრა...

კვლავ მენატრება ნითელი ღვინო,  
რომელსაც ნაზი სურნელი ახლავს.  
თეთრ როიალთან ვზივარ და ვცდილობ,  
ისევ ვიფრინო ღრუბლებზე მაღლა.

**მზინანი ლამა**

ეს გაორება რას ნიშნავს ნეტა,  
როგორ მოგიყვით ცხოვრების საგა?  
დიდხანს ვცხოვრობდი მე თქვენთან ერთად,  
მაგრამ გონებით ვიყავი სხვაგან.

მე დავიბადე დეკემბრის ღამეს,  
არავის ახსოვს, თოვდა თუ არა.  
მამა ექიმებს დაუსხლტა წამსვე  
და პალატები შემოიარა.

როცა მიპოვა, გაოცდა ძლიერ,  
რადგან სახეზე ნიშანი მედო.  
რალაც იდუმალს მაძლევდა იერს  
მზისფერი კანი თვალების ზემოთ.

თურმე მომწონდა ნათურის შუქი,  
მას შევცქეროდი ღამის ფარვანა,  
ვინ იფიქრებდა, ოდესმე თუკი  
მეც მაჩუქებდნენ რწმენას გალავნად.

ვინ იფიქრებდა, დაცემის შემდეგ  
მოვახერხებდი თუკი აღმასვლას;  
ან თუ შევძლებდი სიარულს მზისკენ,  
საფეხურებზე ასვლას თამამად;

ან მათ გაყოლას, ვინც ებრძვის ნისლებს,  
სანთელს ჭეშმარიტ ღვთის სახლში ანთებს,  
სილამაზეს კი აღიქვამს ისე,  
როგორც ქვესკნელში ჩასული დანტი...

მე ეს შევძელი და ახლა, როცა  
კვლავ მარტო ვრჩები მზიან ღამესთან,  
ერთი რამა მსურს, განვაგრძო ლოცვა,  
შევძლო გარჩევა კარგის ავისგან.

**აოქათად კურთხევა**

აქ უმღეროდა მამაც რადამესს  
ნაზად მხეველი ქალი აიდა,  
ამ აკლდამაში ბევრი აწამეს,  
თუმცა წამებას კაცი აიტანს...

მათ ნაკვალევზე აქ ჩამოვედი,  
ლანგარზე იდო ოქროს ფიალა.  
უცებ თორმეტი მკვდარი პოეტის  
მახვილი აღმა ააბრიალა.

მათ ცეცხლოვანი ხმლები მომადეს,  
თვალები ნაჭრით ამიკრეს თალხით,  
რომ ის მენახა, რასაც მუდამდღე  
ზემოთ ამაოდ დაეძებს ხალხი.

მერე აკლდამის ამღერდა ქოროც,  
ძველ საიდუმლოს აეხსნა ფარდა.  
წარსულს, აწმყოს და მომავალს შორის  
ყველა კედელი უეცრად გაქრა.

მივხვდი, მეც მყავდა ჩემი მოირა,  
პერსეფონე და ნიმფა კალიფსო.  
სიკვდილმა ცელით ჩამოიარა,  
სასმისი მწარე ღვინით ამივსო.



**თემურ გაბუნია**

არ ვნანობ, ალბათ ღმერთმა ინება,  
რომ მეც შემესვა ჩემი ფიალა,  
რომელმაც ცივი მკვდარი გონება  
ახალი ალით ააბრიალა...

ამ აკლდამაში მამაც რადამესს  
ნაზად უმღერდა ერთ დროს აიდა.  
აქ, ამ ჯურღმულში ბევრი აწამეს,  
თუმცა წამებას კაცი აიტანს!

**თილისის ომი**

ცივი ქარი კვიპაროსებს არხევს,  
ვილაც ტირის გაბმულად და დიდხანს.  
მათხოვარი ფულს აგროვებს არყის,  
რომ დათვრეს და სამღურავი გვითხრას.

ღამეები აღარაა მშვიდი,  
ამას უკვე ქალაქიც არ ჰქვია.  
საიდუმლოდ ჩაუდია მჭიდში  
თვითმკვლელს შუბლში დასახლელი ტყვია.

აქ არავინ აღარაა სანდო,  
დიდ მსხვერპლს ითხოვს წარმართული კერპი,  
შიშს თვალები დაუღია ფართოდ,  
თითქოს სიტყვაც აღარავის ეთქმის.

ვის ტირიან ამ სუსხიან ღამით?  
ქარი წივის გაბმულად და დიდხანს.  
მათხოვარი ფულს აგროვებს არყის,  
რომ დათვრეს და სამღურავი გვითხრას

**ღელას**

ხმლით და თასით გორაკზე მდგომ ქართლის დედას  
დილის ნისლი ცივ სამოსში ახვევს,  
მომენატრა ბავშვობის ის თბილი მზე და  
შენი ნაზად მომღიმარი სახე.

დიდხანს მდევდა იმ ზღაპრების ლურჯი ნისლი,  
ძილის წინ რომ მიყვებოდი, დედა,  
ახლა ბავშვურ ოცნებისთვის ვეღარ ვიცილი,  
მზერაშია ჩამისახლდა სევდა.

ნეტა ჩვენი უფლისწული სადღა გაქრა  
უმცროსი დის დაკარგული ქოშით?

სახლის კარი ჩავგირაზეს ყველას მაგრად,  
გამოგვკეტეს მარტოობის კოშკში.

დაგვამსგავსეს უძლურ მოხუცს ნელში მოხრილს,  
ხედავ, დედა, რამდენ ტანჯვას ვუძლებთ?!  
დაგვავეინყეს გამორჩევა მტრის და მოყვრის,  
სიკეთესაც შეურყიეს ფუძე.

ჩვენს ეზოსაც შეუცვლია დღეს იერი,  
ვარდის ნაცვლად ამოზრდილა დაფნა,  
სადაც დიდხანს მიკითხავდი ტარიელის  
ქაჯებთან და ვეფხვთან ბრძოლის ამბავს.

**ცხოვრება გავიდა**

ცხოვრება გავიდა, ჩემო იარალი!  
ქარქაშში ჩაჟანგდა ძველი იარალი.

ისევ შემყურე ვართ სხვათა დახმარების,  
დროა ჩამოვრეკოთ სიონის ზარები.

ვინც შეძლო ეცხოვრა ცხოვრებით გმირულით,  
ენახეთ წინამურში ტყვეით განგმირული.

ილიას სისხლს მოჰყვა სისხლი კირიონის,  
ბარაბას გზა იყო ფართე და იოლი.

დროა ჯალათების გაიხსნას არქივი,  
უძალლო მხარეში მამალიც არ ყივის.

რამდენი აწამეს, რამდენი ჩაცხრილეს,  
კატებს აყეფებენ საციკოდ განვრთნილებს.

ვაი, რომ ცხოვრება გადის, იარალი!  
ქარქაშში ჩაჟანგდა ძველი იარალი.

იმქვეყნად მიგვყვება ამქვეყნის ვალები,  
დროა ჩამოვრეკოთ სიონის ზარები!

**წინასწარმეტყველება**

არ ახალია, ძალზე ძველია,  
სენსაციები ქვეყანას მოსდონ,  
ტელევიზორთან მსხდომნი ელიან  
ზოგი მოდის ცვლას და ზოგიც — გოდოს...

თუმცა მპარავი სხვაგვარად მოვა,  
ლამაზი სიტყვით, ნიღბით რჩეულის,  
რომ კიდევ ერთხელ აცდუნოს ევა  
და ეს სამყაროც ტვინარეული.

თითქოს ახალიც არაფერია,  
ქვეყანა კვლავაც სიცრუეს მიაქვს.  
სიმართლის დაცვა კვლავაც ძნელია,  
ბიჭები ისევ ქაჩავენ თრიაქს.

მრუშები ისევ მრუშობენ, რადგან  
ზოგს უჭირს, ზოგიც სულთ მრუშია.  
თაღლითი ისევ თავის გზას ადგას,  
ლოთებს ჭიქები კვლავ შეუვსიათ.

მაგრამ ცვლილება მომხდარა უკვე,  
ადამიანმა დაკარგა რალაც...  
ბზარები რწმენას საფუძველს ურყევს,  
შეუპოვრებსაც დაეტყვით დაღლა.

მაღე ზღვის წყალი გახდება ბლანტი,  
მორწმუნეები იწვნივენ დევნას.  
ის, ვისაც ქვეყნის იღბალი ანდეს,  
ალარ ისურვებს უფლის შენევენას.

მხეცის ნიშანი ედება მაშინ  
(შუბლსა და ხელზე უხილავ დაღად)  
ყველას, მათ გარდა მიუვალ მთაში  
ვინც გაექცევა მონობას ახალს.

ქუჩებში უხვად ეყრება ოქრო,  
თუმც საჭმელს ალარ ექნება გემო,  
გადაბერდება ღამაზი უქმროდ  
მამაკაცების სიცვედნის გამო.

კვლავ მშვენიერი იქნება ზეცა,  
მაგრამ ვერავინ შეამჩნევს ამას.  
გაუწყლოებულ ბავშვების კვნესა  
ეთერს შეარხევს და ღმერთთან ავა.

უმანკოთა ხმას შეისმენს ღმერთი,  
მოუვლენს მინას ცეცხლოვან ჰოროლოს.  
მაშინ კი ყველა, ვით კაცი ერთი  
ინატრებს ტანჯვას მოელოს ბოლო...

რას ვიფიქრებდი, მარტის ქარები  
ჩვენს მშვიდ ცხოვრებას თუ კვლავ არედა,  
უკანასკნელი ჟამის ჰანგებით  
თუ მოგვინედა დასამარება.



გიორგი ბარამიძე

# თვალი, წარმოსახვა და სარეველა

ხელახლა ვკითხულობ ამ სტრიქონებს და იმასაც ხელახლა ვკითხულობ, რომ მეორედ წაკითხვა თამაშიაო. რატომ? იმიტომ, რომ რეალურ ტექსტთან კი აღარ გვაქვს საქმე, არამედ მის მიერ ჩვენში გამოწვეულ შთაბეჭდილებებთან; ახლა ჩემსავთვს ვკითხულობ. ერთმა მწერალმა უდაბნოს მზე მოთამაშე ბავშვს შეადარა: მზეც ისევე ზის უდაბნოს შუაგულში სხვადასხვა ცხოველის ნაშთების შემოგარენში, როგორც ბავშვი მიმოფანტულ და დამტვრეულ სათამაშოებს შორისო. ძველმა მოაზროვნემ, მოთამაშე ბავშვი მსოფლიოდროს ჰგავსო. ბავშვური თამაში არის რეალური თამაში ფიზიკური ნივთებით, სადაც ნივთი და ნივთის შესახებ წარმოდგენა ერთი და იგივეა. ჩვენ არა საგნების, არამედ ჩვენსავე წარმოდგენების შესახებ ჩვენი წარმოდგენებით ვთამაშობთ. ვიღაც იმასაც ამბობს, რომ დღეს ბავშვიც კი ვეღარ თამაშობს ბავშვურად. რაღაც მოუვიდათ ნივთებს, ჩვენს წარმოდგენებსაც რაღაც დაემართათო: თამაში რიოში ნივთებით ძველი სიმღერის გადამღერებაა. თვალმა იცის სუროსავით ჩახუტება და კენერომდე აცოცება, სულში ჩადრომა... სულში ჩამძვრალი თვალი თავის თავში უკუშექცეული თვალია: ჩაბრუნებული მზერა, როგორც შინაგანი სარკე; ჩაბრუნება ნიშნავს იმას, რომ დასაწყისი დასასრულს დაემთხვა, წრე, წრედი შეიკრა, გზა ბოლომდე იქნა გავლილი; ეს აუცილებელია იმისთვის, რომ საზრისი ანდა უსაზრისობა წარმოიშვას. მაგრამ ეს არ არის უბრალოდ გზის ბოლომდე გავლა, არამედ ამან ყველაფერმა ჩემს თვალწინ უნდა ჩაიაროს. ერთი პერსონაჟი ამბობს: არ მოვმკვდარვარ, ვინაიდან ჩემ ცხოვრებას ჩემ თვალწინ არ ჩაუვლიაო. თვალწინ ჩავლა როგორც სარკეში ყურება. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა სარკეში იყურება ის, ვინც თვითონაც სარკედ ქცეულა, რათა იქ შეამჩნიოს თავის თავს ისეთი რამ, რასაც ჩვეულებრივ ვერ ამჩნევს ხოლმე? ესააო სარკის დანიშნულება: მე — სარკეში, სარკე — ჩემში, მე — სარკე. სარკეში ჩახედვა ნიშნავს რეფლექსურ აზროვნებას — უკუქცევითი, უკუფენილი, რეფლექსური. მაგრამ ამისთვის აუცილებელია სარკე და ის, რაც მისგან განსხვავდება — არასარკე: მაგრამ როცა სარკეა, სადაც/რაშიც უნდა ჩაიხედო და ისიც სარკეა, ვინც/რამაც უნდა ჩაიხედოს: სარკე, რომელიც სარკეში იყურება. უამრავი ათვლის წერტილია; საქმე შერჩევანაზეა: რომელს შეარჩევ? საამისო მოტივაცია? ვინ არჩევს? ვის აქვს მოტივაცია? მესამე სარკე, რომელიც ამ ორს ხედავს? ამ სამს რომელი ხედავს? ამ სამს რომ ხედავს, იმას ვინ ხედავს? ვინც ხედავს და რასაც ხედავს, ერთიდაიგივეა. მაგრამ წრემ როგორ დაინახა თავისი თავი? ანდა თუ დაინახა, დანახულის შესახებ ამბავი თავისი თავიდან როგორ გამოიტანა? დახუჭე თვალი: თვალის დახუჭვა, როგორც თავისებური მოკლე ჩართვა,

წრედის შეკვრა ანდა კონტექსტის წარმოება, რისი საშუალებითაც წარმოიშობა საზრისები, გამოსახულებები, ხატები. ხელისგულები თვალზე აფარებას, თვალბრყინის დახუჭვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გივი ალხაზიშვილის ლექსებში. იგივე დატვირთვა აქვს ჩარჩოსაც. მე რე რასაც ვაკვირდებით, ანდა გვგონია, რომ ვაკვირდებით, ესაა: ხატი წყდება მოძრავ განფენილობას და ჩნდება უხილავის ხილული ნიშანი, რომელიც ერთგვარ წარმოსახულ ფართო წრედში ანდა კონტექსტში; მე რე გამოდის ამ კონტექსტიდან განმედილი თავის საკუთარი ხილულობით და უხილავობით ანდა ხილული უხილავობით ან პირიქით — უხილავი ხილულობით. ყველაფერი ხედავა; აქ პოეტი იმასაც ხედავს, თუ როგორ ხედავს; თავის თავს როგორც მხედველს ხედავს. ზოგი ამბობს, რასაც ვერ ხედავთ, ვერ ვხედავთ, მაგრამ უპირაინი იქნებოდა, გვეთქვა: რასაც ვერ ვხედავთ, ვხედავთ, რომ ვერ ვხედავთ. დაუნახავის დანახვა: მთები, რომლებიც თითქოსდა თითის წვერებზე დგებიან დაუნახავის დასანახად, დგანან და ელიან. მაგრამ ამ ჩვენი ხედვით ნივთებს, მოვლენებს ზედმეტად ხომ არ ვანუხებთ? მათ მიმართ ძალადობას ხომ არ ვიჩენთ? იქნებ არ სურთ, რომ გვეჩვენონ! პოეტმა ააგო ლექსების სახლი და დაარქვა „შინი“. რეალური საგანი თავის მხრივ აირეკლება სარკისებრ ხატში როგორც ვირტუალურ გამოსახულებაში და, იმავდროულად, გარემოიცავს, აირეკლავს მას: ორსახა ხატი — ვირტუალურ-რეალური: ხილული და უხილავი. თითქოსდა გაცოცხლდა სარკის გამოსახულება, ფოტო ანდა საფოსტო ღია ბარათზე გამოსახული ფოტოურათიო; მეორე მხრივ, თითქოსდა რეალური გამოსახულება შევიდა ფოტოში, ვირტუალურში, უხილავში. ორმაგი მოძრაობა: განთავისუფლება და დატყვევება. ეს არის აღწერის სპეციფიკური ჟანრი: წარმოსახული რაობები, ფორმები, ფორმის ფორმები, ფორმის ფორმის ფორმები და ასე შემდეგ. ერთმანეთში შედი-გამოდიან და იქმნება დიდი ბუნდოვანება. ნივთი ქრება, ხელთ გვრჩება მხოლოდ მისი აღწერა, აღწერა როგორც ნივთი. ხორცში მყოფი ბინადრები მიდიან და ბრუნდებიან უხორცო ყოფნით. მოძრაობაზე შეგნიშნე, რომ სხეული არ გაქვს და მონასტრის სიმშვიდესავით გამჭვირვალე ხარ (გელათის მონასტრის დარაჯის გახსენება). და უჩარჩოო წარსულიდან ფრაგმენტების ამოხეცება... და თვალის იქით გაპარება: თვალი და მოლოდინი. თვალი ელის რას? იმის გამოჩენას, რაც გაუჩინარდა. თვალი არის ჩასაფრებული. ნახეთ სიტყვა თვალსაწიერი. თვალი როგორც მტაცებელი. თვალი იტაცებს იმას, რაც მის საწიერში ჩნდება — თვითონ აჩენს. წარმტაცი საგანი ან მოვლენა კი არ არის, არამედ — თვალი. თვალწარმტაცი ან/და წარმტაცი თვალი;

თვალი ჯერ კიდევ მომხმარებელი. ამოცანა არის თვალის განთავისუფლება: მომხმარებელი თვალიდან მჭვრეტელი თვალისკენ. ჩაბრუნებული მზერა: ირთვება ეგრეთ ნოდებული შინაგანი კამერა; იგი იწყებს იმით, რომ რეალურ მოძრაობას ანანეურებს უძრავ ფრაგმენტებად, სტატიკურ კადრებად, შემდეგ პროექტორის — ჩვენი ცნობიერების საშუალებით — მათ უბრუნდება მოძრაობა, მაგრამ ეს უკვე არის არა რეალური მოძრაობა, არამედ მოძრაობის ილუზია/illudere — თამაში. ჩვენი სული, ცნობიერება მოკლებულია მოვლენების შინაგან ქნადობასთან უშუალო კავშირის შესაძლებლობას თუ არა ისე, რომ ჩვენ ამ პროცესის გარეთ დავდგეთ და შემდეგ, მოგვიანებით, მოვახდინოთ ამ მოვლენათა ქნადობის ხელოვნური რეკონსტიტუირება. არსებობა, ყოფნა აქ სხვა არაფერია, თუ არა წასვლისა და მოსვლის ერთმანეთში უწყვეტი გადასვლა; უწყვეტი ურთიერთშეღწევა კი გამოჩენა და სხვა არაფერი; ვჩანვარ, ესე იგი, ვარ და არც ვარ; ციმციმი, ათინათი, ლანდი როგორც გამოსახულება, იშლება და დედება განუწყვეტლივ, როგორც კინოშია: დაიღვარა კინოგამოსახულება და ჩვენ ვუყურებთ, როგორ ხდება მისი თვითადგენა, თვითაგროვება, მატერიალიზება/შეხება; საკუთარი თავი შევავაროვეო. თომას სიმპტომი: „თუ შევეხე, მჯერა, თუ ვერა — არა.“ მეორე მხრივ, შეხება როგორც ანიმაცია, გაცოცხლება. ხილული რამეები არ რჩება, არამედ რჩება უხილავი: თვითონ წასვლა; იგი არსად წასულა/წასვლა არ მიდის/იგი ყოველთვის წასასვლელად ემზადება/ ანმყო არ არის; წარსულის გამოსახულებები და მომავლის ხატები/მათი ურთიერთგადასვლა, ურთიერთარეკვლა: წასვლა მოვიდა და მოსვლა წავიდა; თითქოსდა ადგილები გაცვალეს; ფუნქციები იგივე დარჩა. როგორც ერთი მოაზროვნე ამბობს, ჩვენი ჩვეულებრივი ცოდნის მექანიზმი კინემატოგრაფიულიაო. მიზანია არა მკითხველის დგომა სახლის წინაშე, არამედ მისი შეყვანა სახლში; ასეთი შესვლა, რა თქმა უნდა, არის ილუზორული, მაგრამ ეს მაშინ, როცა ილუზია ერთადერთი რეალობაა. ხდება ორმაგი შესვლა: შესვლა ლექსში და მე რე ლექსის სახლში. სახლი როგორც ვირტუალური, უხილავი რეალობა, სინამდვილის მიკრომოდელი. მაგრამ მას ჩრდილოვით თავს ადგას დაბრუნების შესაძლებლობა როგორც გადაცემული, უცხო რეალობა. ამ სახლში არის ავეჯი, სუნი, ჩრდილები, რომლებიც ირწვიან, ბავრდის ვარდები, ლარნაკები, სავარძლები, სურათები, კიბე, ტანსაცმელი, ოხვრა, ნამალი, რეალური კედლები, ჰაერი, სარკე და სარკის ბინადრები, სარკის ბინადრები, ვინაიდან ეს სახლი გამჭვირვალეა როგორც სარკე, სარკე — სახლია. მაგრამ სად არის საათი? სახლში საათი არ არის! არავინ კითხულობს, რომელი საათია? რა დროა, დრო არ არის. თუ დრო არ არის,

სიკვდილიც არ არის. აქ დროში არაფერი ხდება, პირიქით — ყველაფერი მდრ ხდება, წარსული, აწმყო, მომავალი ერთ ნაშში ხდება, ხდება-არც ხდება; და აქ შემოდის ეს პანანა წა და იწყებს მოქმედებას: მე მხოლოდ ხმა ვარ წა-ცდენილი; მე ახლა შენზე წა-ვიდარდე... ყველაფერი არის ეს წა, როცა საქმე გულში გაკრთობაზე, გულში გავლენასა და გონებაში გაეღვებაზეა, როცა დღეებს გაქცევაზე უჭირავთ თვალი. სწორედ ეს გაკრთობა, გავლენა და გაეღვება ქმნიან გივი ალხაზიშვილის სიტყვისა და ლექსის თავისებურ, განუმეორებელ კლიმატს: მხოლოდ კონტურის, შეგრძნების კვალი. ეს რომ აღბეჭდო, გადაილო, ფოტოხელოვანი უნდა იყო. ამიტომაც ტოვებენ ეს ლექსები ფოტოგრაფიულის შთაბეჭდილებას. მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა. მსგავსება ამის იქით აღარ მიდის. ერთი დიდი ფოტოხელოვანი ამბობს, ყველაფერს გადავიღებ, მაგრამ სულს ვერ გადავიღებო. აქ კი ყველაფერი სულია: სული ქარია; სახლი, რომელიც სუნთქვით აშენეს. სახლი, რომელიც სუნთქვით აშენეს, ქცეულია სარკესა და სიკვდილს შორის ბრძოლის არენად. სიკვდილი თუ სიკვდილის სიკვდილი ცდილობს, ნაიყვანოს, სარკე არ უშვებს. სარკე სიკვდილსაც იტაცებს, იჭერს, თავის ბინადრად აქცევს. სარკე აფართოებს თვალსაწიერს, რომელშიც იგი იჭერს დროს, იჭერს სიკვდილს, როგორც ამ სახლის ბინადარს, რომელიც მასში სახლის ბინადრებთან ერთად შევიდა, მათ შეჰყვდა და იქ ბინა დაიდო. ამ თვალსაწიერში, სარკის, სარკისებრ თვალსაწიერში, სიკვდილი არ არის, არის მხოლოდ გაუჩინარება. სიკვდილს არავინ არ მიჰყავს ან ვერ მიჰყავს, მაშინ ვის მიჰყავს? წასვლას მიჰყავს, მაგრამ წასვლა ჯერ უნდა მოვიდეს, რომ წავიყვანოს, მაგრამ იგი თავისი ვერ მოვა, თუ მოსვლამ არ მოიყვანა; მაგრამ მოსვლა ვერ მოვა, თუ წასვლამ არ წავიყვანა, ვინაიდან მხოლოდ იმას შეუძლია დაბრუნება, მოსვლა, რაც წავიდა და იმას შეუძლია წასვლა, რაც მოვიდა. წასვლა ერთხელ მაინც თუ წავიდა, ის წასვლა აღარ არის, წასვლა ყოველთვის წასასვლელად ემზადება. ერთი აღმოსავლელი ბრძენი ამბობს, გზა, რომელზეც ვინმე გაიარა, გზა არ არისო. მოსული წასვლა წასვლა აღარ არის. წასვლა დროში თუ დროის წასვლა. დრო საათი არ არის. მაგრამ არის ნაოჭები და თეთრი თმა სარკეში შემჩნეული როგორც დროის ნიშნები. მოვლენ დღეები წასასვლელად, წავლენ დღეები მოსასვლელად. სიზმრის ტიხარი. ასე რომ, ყველგან მხოლოდ ფორმის ფორმები, ფორმის ფორმის ფორმები და ასე შემდეგ. წარმოსახვის წარმოსახვები, წარმოსახვის წარმოსახვის წარმოსახვები და ასე შემდეგ. ასეა, როცა დედანი არ არის, როცა დედნის გარეშე უდენდო წარმოქმნაში მონაწილეობ. შეიძლება თუ არა დაიბადოს გამოსახულება იმის გარეშე, რისი გამოსახულებაც ის არის? შეიძლება — შეიძლება გამოსახულებასთან შეხებით. მახსენდება: ...მოხუცის ლანდს სძინავს... მაგრამ ლანდი მოსწყდა მოხუცს; მასთან აღარაფერი აკავშირებს; არა მოხუცის ლანდი, არამედ მოხუცი ლანდი? ლანდებიც მოხუცდება ხოლმე?! ლანდებიც კითხეთ, მე ნუ მეკითხებითო. ლანდები, როგორც ამ ლექსების პერსონაჟები. მაგრამ რა ვუყოთ დაბრუნებას? ამ სახლის ბინადრები: საკუთარი სხეულებიდან ამოპარნენ, მაგრამ ვიდრე სახლის რეალურ კედლებს დატოვებდნენ, გაიარეს სარკის სივრცეში და სარკის ბინადრებად, გამოსახულებებად იქცნენ; სხეული, როგორც ტანსაცმელი, გამოიცვალეს, საქორწინოდ ემზადებიან. სახლის ბინადრები სახლის რეალურ კედლებში და სარკის ბინადრები ერთმანეთს შეერივნენ, რომელი რომელია, აღარ იციან. ვიღაცამ სარკეს ჩამოაფარა, მაგრამ სარკე მაინც სარკედვე რჩება, ჩამოფარება არ არის სარკის გაქრობა, პირიქით — იგი ფარია, რომელიც სარკეს იცავს, სარკედ ამყოფებს. სარკე ერთადერთ რამეს უფრთხის: არ დაიმსხვრეს. სარკის ბინადრებიც დაიმსხვრევიან, ნამსხვრევეებად გამრავლდებიან. სარკე არავის უშვებს, ყველას იჭერს, ყველას იტაცებს და ამიტომაც ყველა წასვლა, იმავდროულად, დარჩენაცაა. სხეულიდან ამოპარული სარკეს ვერსად გაეპარები. სიტყვებში როგორ შემოხვედი? მე სულით გხედავ და არა თვალთ; გათავისუ-

ფლებული თვალი სულია, სული კი — ქარი; ხედავს ქროლვას, სუნთქავს და ფშვინავს; თვალს ვერ მოწყვეტო, მაგრამ აქ თვალი მოწყდა; მოწყვეტა, წყვეტა; ჩვენ შევესწარით ამ ლექსში თვალის მოწყვეტის მოვლენას ისე, როგორ ცაზე ვარსკვლავის მოწყვეტას. ეს რომ გამოთქვა, გვინდა ახალი ენა, სხვანაირი ენა; ეს ენა „წრდილებების ენა“, კონტურების ენა, გაკროთობის ენა. და ნაბიჯების ექობის მონაცვლეობა/ჰაერის ჩქამით და ჰორიზონტით. რა ენაზეა ლაპარაკი? რატომ გაჩნდა ახალი ენის აუცილებლობა? რას ნიშნავს „ახალი“? ვილაცამ თქვა: ენაში შევიდა დემონი. ამაში არის ერთგვარი ალუზია იუდას ეპიზოდზე, რომელიც შევიდა დემონი და იყო ღამე; ენაში კი შევიდა რუბინენტიაცია როგორც დემონი; ენის რაობა კი არის არა პრეზენტაცია, არამედ სახელდება, დარქმევა; თუმცა პრეზენტაცია შეუძლებელი გახდა, ვინაიდან რაღაც რომ წარადგინო, წარსადგინი უნდა არსებობდესო. ამიტომაც ენას არსად გავყავართ; „ნამდვილ სინამდვილეს“ ვერ გვაზიარებსო. და მართლაც, ჩამოწვა ღამე, რომელიც თავის (ახლა უკვე კარგა ხანია) შუალამეს უახლოვდება. ეს ლექსები არ არიან ჰეროიკული და მათი მიზანი არ არის ენის დახსნა. ეს პოეზია ძალზე პრაგმატულია: ახალ ენას იგონებს; ამის საჭიროებას მისი „მიზანი“ განაპირობებს; ენა საშუალებაა; უფრო მეტი, ამ ლექსებმა არათუ ენა, არამედ თვითონ გამოგონება გამოიგონეს. ამ ლექსებში ერთმანეთის ნინაშე დგას კონცეპტი/ცნება და გამოსახულება. მათ შორის დაპირისპირებაა, ბრძოლაა; ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც დღეს ჩვენს ზურგს უკან, ანდა ჩვენს თვალწინ ხდება, ხდება-არც ხდება. ეფექტი მიიღწევა არა სიტყვის მოქმედებით, არამედ მათი ურთიერთგანლაგებით; მთავარია არა ახალი სიტყვის შექმნა და ამით ახალი არეალის გაჩენა, არამედ მენტალური გამოსახულებების შექმნა, მათი გამოჩენა თუ გაჩენა, რომლებიც სიტყვებს კი არ აჩენენ, არამედ სიტყვის სიტყვებს, სიტყვის სიტყვის სიტყვებს... ლაპარაკი არის არა მოძრავი საგნების დაძვლებზე, არამედ თვით მოძრავობის გამოსახვაზე. მაგრამ თვალის მოწყვეტა ნიშნავს იმას, რომ იგი მოძრავობას მოწყვეტა და აზრს შეერევა. აზრი და თვალი, თვალი, რომელიც აზრში შევიდა და აზრი, რომელიც თვალში ჩავიდა — ეს ახალი რეალობაა, რომელსაც თვალი ვეღარ წვდება. აბა, სცადეთ და თვალი გააყოლოთ სახლის ბინადრებს მას შემდეგ, რაც ისინი საკუთარი სხეულებიდან ამოიპარნენ და სადღაც წავიდნენ. სადღაც — ამას თვალს ვერ მოკრავ, ისე, როგორც ხმას, რომელიც ამ სადღაც-ს ადევს, ყურს ვერ მოკრავ. ხმა ხმა არ არის, ის მხოლოდ ექოა — უდენო წარმონაქმნი. ამიტომაც გვეძახის: მე მხოლოდ ხმა ვარ. „შინ“ არის განუწყვეტელი მოძრავი გამოსახულება. უწყვეტ მოძრავობაში მყოფი გამოსახულება; სხეულებიდან ამოსვლამდე — ერთი გაბმული მოძრავობა; მერე დროის გამოსახულება; კადრებს შორის ვიზუალური მუსიკა და ექო: მე მხოლოდ ხმა ვარ. გამოვანაგონი დაკავშირებული იმასთან, რასაც გამოთქვამს სიტყვა „თითქოს(და)“. ამ ლექსებში კი გვაქვს, სულ ცოტა, ორი „თითქოს(და)“ — რაც სრულიად თავისებური მდგომარეობის ნინაშე გვაყენებს: მეორე „თითქოს(და)“ როგორც „თითქოს(და)“-ს „თითქოს(და)“. ეს კი გამიზნულია ორ „შენ“-ზე, რომელთაგან ერთი, ასე ვთქვათ, პატარა შენ-აა, მეორე — დიდი შენ. „მიზანი“ მათთან მიახლოება, მიახლება, შეყრა, შეხებაა; მაგრამ როგორ უნდა შეეხო? ისინი სხვა რამეთი უნდა ჩაანაცვლო? თუ შეგეხები, მხოლოდ მზერით წარმოსახვაში; ამგვარი შეხება არის გაცოცხლება; გაცოცხლება ხორცის გარეშე; გაცოცხლება როგორც მოხაზულობა და ხმის დადება; კინოტექნიკაა; მაგრამ ეს არის შინაგანი კინემატოგრაფი, რომელიც ახსიათებს შინაგან ადამიანს. სახეები ფრაგმენტებად ქცეულან; ხედავს ფრაგმენტია; სხვანაირად ვერ დაინახავ. ფრაგმენტი ის ჭურჭრუტანაა, საიდანაც ჩანს სახე, ხატი; ამას უწოდებენ „ჭურჭრუტანის ხელოვნებას“, ვინაიდან ის იძლევა ისეთი რამის დანახვის შესაძლებლობას, რის დანახვაზეც ვერც კი იოცნებებდი. ლექსი ჭურჭრუტანებს აკეთებს კონვენციური მნიშვნელობის ქსოვილში; იგი ქრილობასავე იხსნება და გამოჩენს იწყებულ ენის სი-

ფრიფანა პირბადის მიღმა მიმალული სატყუარები, როგორც ენითუქმელი უსაზმნო ემოცია, სადაც ხდება ალქამში მოცემული გამოსახულების უზარმაზარი ძალის გამოთავისუფლება, როგორც პოეტნიციურად უსაზღვრო ხდომილებისა, რომელსაც ადევს ვიზუალური მუსიკა, როგორც ღმერთის ტრანსცედენტალური ხმა. ძველი ალბომი: და ყველაფერი, რაც მე გიამბოვ ამ ძველ ალბომში, თვლემს ფოტოებად/მაგრამ დროს უყვარს ძველი იამბის და სახეების გამოტოვება. ამ ლექსებს ზოგჯერ მოსწონთ გამოტოვებულის შევსება, ფრაგმენტის აღდგენა. მაგრამ გამოტოვებული გამოტოვებულადვე, ფრაგმენტი ფრაგმენტადვე რჩება. რატომ? იმიტომ, რომ თამაშობს სხივი, ჩეკავს წრდილებს. აქ სხივი თვალისა. და სხივმა ისე გაიარა ჭურჭრუტანაში, ნემსის ყუნწში რომ ძაფი გაივლის. ესეც ალუზია თეოლოგიურ მოვლენაზე, ყუნწში გაძრომა ნიშნავს იმას, რომ მასში რჩება ცოდვილი ხორცი. თვალის ყუნწში ტოვებს ხორცს, ხორცი ქრება. უხორციო პატარა „შენ“ როგორც საყვარელი ქალი: ხორცის დეკორატიული ხმაო. და თვალის მიწყება ხორცმეხმულ გამოსახულებას, რომელსაც ხელმკლავით მიწყავს პატარა „შენ“. თითქოს(და) აქ იყო ორი „თითქოსდა“, მაგრამ საიდან გაჩნდა თუ გამოჩნდა ეს მესამე „თითქოსდა“. მეორე თითქოს(და), რომელმაც უნდა „წარმოიდგინოს“, „თითქოსდა“, როგორც ასეთი, პროექტორის, კინოპარატის ფუნქციას ასრულებს, რომელიც არის, ჩადებულია, უსასრულო დრო; მის გარეშე გამოსახულებები, რომლებიც ამოძრავა პირველმა „თითქოსდა“-მ, იქნებოდა მექანიკური, არამენტალური, არასულიერი. ამ ლექსების კითხვისას თუ დათვლიერებისას შეიძლება, დაგვეფიქვოს შთაბეჭდილება, რომ მათში, ან მათი საშუალებით, რაღაც ვლინდება; მაგრამ აქ საქმე არ გვაქვს მოვლენებთან. ეს ლექსები სწორედ იმის დასტურია, რომ მოვლენა შეუძლებელი გახდა. ნინაპირობა ასეთია „მე, როგორც მე, უნდა ვარსებობდე, რომ გამოვლინდე“. ერთ ლექსში ასეთი სურათია: მე-სა და მე-ს შორის ბოლოს ვცემო. აქ სულ ცოტა ოთხი მე-ა: ორი აქეთ-იქით, მესამე მათ შორის, მეოთხე კი, რომელიც ამ სამს ხედავს, ალბეჭდავს, სადღაც არის, არის-არც არის. „შინ“ როგორც ეპოქალური (ეპოქე-დან ხომ არა?) ლექსი; მისი ღერძი არის განსხვავება; განსხვავება სახლსა და შინ-ს შორის. შინ, როგორც სახლის შიდაპირი, რომელიც ნავიდა, რომელიც სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. მაგრამ რა ვუყვით დაბრუნებას? ლექსი „შინ“, როგორც ლექსების ლექსი, ასიმეტრიული ლექსია: ნასვლას ეძღვნება 61 სტრიქონი, დაბრუნებას — ათი. მაგრამ ეს არ არის დაბრუნება; ეს დაბრუნების დაბრუნებაა. ნასული არ ბრუნდება, დაბრუნება ბრუნდება, მაგრამ დაბრუნება არ არის დასაბრუნებელი, იგი ყოველთვის დაბრუნებულია. შინ ნავიდა, მაგრამ ის არ ბრუნდება იმიტომ, რომ არსად ნასულია. სახლი ბრუნდება, მაგრამ არა როგორც შინ, არამედ როგორც აკლდამა, როგორც სახლის უხილავი მხარე. პოეტი ახლა მამისეულ სახლში აგებს აკლდამას. მაგრამ რა არის აკლდამა? ვინ იცის(?). აკლდამასთან ერთად სახლში ბრუნდება ხორცი და ხორცთან ერთად ბრუნდება ვნება როგორც ხორცის ხმა. აკლდამასთან ვერ მივალთ ვერც ნივთების ჩვეულებრივი საზრისით და ვერც მათ შესახებ ჩვეულებრივი წარმოდგენებით. აკლდამა არის ხელოვნურად აგებული ტიხრების სისტემა, როგორც ბზარი ჩვენი ცნობიერების სივრცეში, სადაც ცოცხლად არის შენახული წარსულის ყველა გამოსახ(ე)ხულება. შეუძლებელია მათი დალაგება თუ იერარქიზება. აკლდამა არაფერს წარადგენს, არც თავისთავს; იგი მალავს რაღაცას: მალავს სხეულს; დამალვასაც, შენიღბვასაც მალავს, ნიღბავს. ეს კრებული აკლდამაა, როგორც ალბომი. ყველა სტრიქონს აქ რეფრენად მოსდევს: წარმოსახვა სარეფრენაა; მაგრამ რომელი წარმოსახვაა სარეფრენა, წარმოსახული წარმოსახვა თუ ჩვეულებრივი? ვილაცამ მისაყვედურა, ეს რა დაგინერიაო, ხომ შეიძლებოდა, უკეთესად დაწერილიყო; მე ვუპასუხე — რაც დაინერა, დაინერა-მეთქი. ადექი ახლა და ის ნაიკითხე, რაც მე დაინერა...

# ბექა ქურხული თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერები

დასასრული

— მე ვარ პათოლოგი თუ შენ ხარ ლოთი?...  
— ორივენიცა...  
— შე ლოთო... ლოთი პროფესორი ხარ, სიმონ! — ზუკა მოხასიათდა.  
— სუუუ... დაასხი და არ ამალაპარაკო, გირჩევნია.  
ყველაზე საშინელი ამბავი ამ ისტორიაში ის იყო, რომ გიორგი ბავშვობიდან უგონოდ და, რაც მთავარია, უიმედოდ იყო შეყვარებული სალომეზე — ზუკას დაზე. იმ შორეულ, უხსოვარ და ბნელ საუკუნეში კი უახლოესი ძმაცაცის დის შეყვარება, რომელიც თანაც გათხოვდა, კიდევ უფრო უარესი ტაბუ იყო, ვიდრე ვაჟიკოს წყენინება. ვაჟიკოს გაბრაზების გამო მოგიკვეთდნენ, მაგ ტაბუს კი თვით სიკვდილი დარაჯობდა.

\*\*\*

შუალამისას ცხენზე შევჯექი და მამიდაჩემ ხადიჯათის ყიშლალისკენ გავწვი. ჯერ კიდევ სუსტად ვგრძობდი თავს, მაგრამ მივხვდი, რომ თუ ჩემს ბანზე საწოლში გავაგრძელებდი წოლას, ველარანარი ჰაქიმი ჰაფიზუდინ ნურამაჰმადი და ვერც არაბი მულაჰ იბრაჰიმის ლოცვა ვეღარ მიშველიდა. ჩემით უნდა წამოვმდგარიყავი ფეხზე, ვიდრე ფიქრებს, სიზმრებს და საშინელ აზრებს უდაბნოს ბილნი ავსულებივით შინაგანად გამოვუჭამივარ და მთელი სისხლი გამოვწოვი. ჩემი ბანანი დარიბული სახლი სოფლის განაპირას დგას. მალე გამოვედი ტრამალზე და ცხენს მივწვი. ქუსლი ვკარი და მგლურ იორდაზე გადავიყვანე. მამიდაჩემი ხადიჯათის ყიშლალამდე ოთხი ფარსახის მანძილი იყო, მე კი გათენებამდე უნდა დავბრუნებულიყავი, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ხალხს დავენახე ღამის სიბნელეში. ღამე ჩემს მზარეს იყო, მზის ამოსვლამდე უნდა გამოვბრუნებულიყავი. ტრამალზე ტრამალის ხმები ისმოდა...

## ლიტერატურული კონკურსი



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვენტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვენტით — ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვენტზე დაუშვებელია მიუეთოს ავტორის გვარი).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

- დანესებულია პრემიები:
- ორი პირველი პრემია — 1500-1500 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ნიალისაგან“;
  - მეორე პრემია — 700 ლარი — შპს „ნიალისაგან“;
  - სამი მესამე პრემია — 500-500 ლარი — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და შპს „ნიალისაგან“.
- იმის გამო, რომ რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობაში გაიზარდოს პოეზიისადმი ინტერესი, წელს, პირველად, მათთვის, დანესებულია სამი წამახალისებელი პრემია:
- პირველი პრემია — 500 ლარი;
  - მეორე პრემია — 400 ლარი;
  - მესამე პრემია — 300 ლარი.
- სამივე პრემია დანესებულია შპს „ნიალისაგან“.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მოსწავლეს, გარდა დამამთავრებელი (მე-12) კლასისა. გამარჯვებულითა საზეიმო წარდგინება მოხდება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე“ — შოთაობაზე, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის ოქტომბერში. საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით, არაუმეტეს 5 ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება. კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთის“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე: 0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3. გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია. ტელ. 5 99 97 95 24



# ნიგნი — ფაზლი



ზაზა ბიბილაშვილის ლექსების ახალი წიგნის საერთო სათაურად გატანილია ამ წიგნის ბოლო მონაკვეთის სათაური — „ფაზლი“. ამ მონაკვეთში თავმოყრილია მოკლე, მინიმალისტური ნაწარმოებები. თუმცა, მთლიანად წიგნის ასე დასათაურება, ალბათ, იმას მიანიშნებს, რომ არა მხოლოდ ეს მონაკვეთი, არამედ მთლიანად წიგნიც ფაზლია.

რა არის ფაზლი? ფაზლი სათამაშოა, რაც სხვადასხვა ფორმის, ზომის, ფერის და, ასე შემდეგ, დეტალებისაგან შედგება და ამ დეტალების ერთმანეთთან მორგების გზით იქმნება საერთო სურათი: პოეტი თითქოს ინვესს მკითხველს სათამაშოდ — ცალკეული ლექსების, ფაზლის ცალკეული დეტალების, ერთმანეთთან შეჯერება-შეხამების მეშვეობით წიგნის ერთიანი სურათის „გასაშიფრად“. ამასვე უნდა მიანიშნებდეს სარჩევის ანბანური წყობაც, რაც გვერდების თანმიმდევრობის არევის ინვესს და თითქოს ეუბნება მკითხველს: შენ თვითონ დაალაგე, როგორც მოგებერხებაო.

ამდენად, რაც ქვემოთ წერია — ეს ჩემი მეული, სუბიექტური მცდელობაა ამ ფაზლის აწყობისა, სხვამ შეიძლება სხვანაირად ააწყოს ის.

ჩემი ნაკითხვით, ერთგვარ მეტაფორად ქცეული „ფაზლის“ მეორე შრე ამ წიგნისა და, ზოგადად, ზაზა ბიბილაშვილის პოეტიკაზე მიანიშნებს, რომელიც ფაზლივით მრავალფეროვანია — მოიცავს ფორმების, გამომსახველობითი საშუალებების თუ დისკურსების ფართო სპექტრს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პოეტი უკვე ჩამოყალიბებული ოსტატია და, უმეტესად, ოსტატურად ფლობს ამ ფორმებსა და საშუალებებს, რაც იშვიათი მოვლენაა ჩვენი (და არა მხოლოდ ჩვენი) ახალგაზრდა და საშუალო თაობების პოეტურ წრეში: ზაზა ბიბილაშვილი, ასე ვთქვათ, საშუალო ასაკის პირველ საფეხურზეა — 45-46 წლის კაცს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთქმის; და ეს — ვგულისხმობ ადრე დაოსტატებას — ცალკე ნიჭი, მხოლოდ გარჯით არ მიიღწევა და არც შემთხვევით ხდება.

ფართო სპექტრი-მეტი და, მოდი, ჩამოვთვალოთ: სხვადასხვა ზომის, მეტრის, რიტმის, რითმული წყობის მქონე კონვენციური ლექსები (ასე განსაჯეთ, რუსთველური შაირის ჩათვლით), ვერლიბრის ყაიდის ლექსები, ზემოთ ნახსენები მინიმალისტური ნაწარმოებები; განწყობილებების სპექტრი: დრამატულიდან ირონიულამდე და შავ იუმორამდეც კი; ინტონაციები: მელანქოლიურიდან „პუბლიცისტურამდე“; და მათი კომბინაციები — ზოგან დრამატულია და ირონიულის მოულოდნელ შერწყმას ნააწყობებით, ზოგან — პუბლიცისტურისა და დრამატულია და სხვა.

აი, ერთი ასეთი მაგალითი, ნაწყვეტი პოეტის ერთ-ერთი „საპროგრამო“ ლექსიდან „OK“, დახვეწილი ირონიული განზომილებით:

რომ სამყაროს აქანავებს  
ბოროტების ქართა ქარი —  
ვინ იკადრა — ვინ იცრუა,  
ვინ იხუმრა მწარედ ასე? —  
მამინ, როცა ზუსტად ვიცი —  
ყველაფერი კარგად არი  
რომელიღაც ცალკეტიკის  
რომელიმე პლანეტაზე.

აი, კიდევ ერთი სტროფი სხვა ლექსიდან — ხალხური კილოს ელემენტებით:

ვიძალო — ვერ დავიძველო  
სული, სხეული, ფრთები.  
  
— როგორ ხარ დედამინელო?  
— როგორ ვიქნები, ვკვდები.

კიდევ ერთი ნიჭი — მახვილსიტყვაობა, რაც განსაკუთრებით მინიმალისტურ ლექსებშიც მჟღავნდება — დაუკვირდეთ ამ ორ სტრიქონს, ქართული ზღაპრის ცნობილი მოკლე შესავლის პერიფრაზს:

ვიყავ და არა ვყოფილვარ —  
ღვთის უკეთესი რა ვიქნებოდი.

და ისევე ჩემი ნაკითხვით, ამ ორი სტრიქონით ბევრი რამაა ნათქვამი პოეტის შინაგანი სამყაროს შესახებ: ზაზა ბიბილაშვილი იმ პოეტთა მცირე რიცხვს მიეკუთვნება, საკუთარი თავისა და დედამინისეული სიცოცხლის შორიდან, ციდან, ვარსკვლავებიდან დანახვის უნარი რომ გააჩნია... და აქედან — ამოებისა და დიდი მარტობის გამახვილებული შეგრძნება, ფიქრი არჩევანზე და ღვთის ძიება: აი, ჩემი აზრით, ის უმთავრესი შინაარსობრივი ვექტორი, რომელიც მსჭვალავს ამ წიგნს და სიღრმისეული განწყობილებით თუ სულისკვეთებით ზოგან რელიგიური ეგზისტენციალიზმის სამყაროსაც მომაგონებს; ანუ შესაძლოა, ესაა იმ დიდი სურათის კონტური, რაც ფაზლის დეტალების აწყობის შემდგომ გამოისახება. შესაბამისად — მთელ წიგნში გაბნეულია რელიგიური ლექსიკა, ბიბლიიდან მომდინარე რემისცენციები თუ ალუზიები.

მკითხველი არ არი.  
წერ.  
ბარემ ილოცე.

უამიანობაა ნამდვილი პოეზია, ნამდვილი ლიტერატურა. ღრმა რეფლექსია



მონოლოგია. ამ ლექსში, სადაც უშუალოდ ვაწყდებით განწყობილებებისა და ინტონაციების ზემოთ ნახსენებ შეხამებებს, ავტორი ადგილ-ადგილ სრულიად გახსნილი ტექსტით საუბრობს რწმენის, სამშობლოსთან დამოკიდებულების და სხვა სასაფუძვლო თემების შესახებ. ნავიკითხით მეორე მონაკვეთის პირველი სტროფი:

რასაც გვარიგებს დიდი გონი და  
განმრიგე,  
შენგან აქამდე ათასჯერ განაგონი —  
მესმის, მამაო — ოლონდ მაშინლა  
გავიგე,  
როცა გაგიღე გული და არა — გონი.

ამავე ლექსში:

ზოგს შეუძლია — ბითუმად ანდა  
საცალოდ —  
ძმაკაცი რაა — სამშობლო,  
როგორც ჩუსტი,  
გაყიდოს ანდა სხვა სამშობლოზე  
გაცვალოს,  
თუ გამოადგა სხვა  
სამშობლოზე სუსტი.

და აუცილებლად უნდა მოვიყვანო ამ ლექსის ბოლო სტროფიც, რომელიც უშუალოდ ეხმიანება ზემოთ ციტირებულ მინიმალისტურ ნაწარმოებს: ღრმა დაეჭვების, ეგზისტენციური დრამატიზმის მთელი სისავსით შეგრძნებისა და გაცნობიერების მიუხედავად ლექსის ლირიკული გმირი თითქოსდა მაინც მზადაა ამ გაუსაძლისი გზის გასაგრძელებლად:

იქნებ ამიტომ —  
ნამოვშობილვარ დამჯერად,  
იქნებ უხმოდაც — ამოვიძახი მალ-მალ:  
ვისი ჯერია —  
ვინ მომატყუებს ამჯერად —  
მამა... მამაო... მამა... მამაო... მამა...

და ბოლოს ამას ვიტყვი: კრებულში შეტანილი ლექსები ტოლძალოვანი არ არის; გარდა ამისა, ალბათ, ფორმებისა და საშუალებების ფართო სპექტრის ფლობის ზემოთ ნახსენებ სურვილსა თუ პოეტურ პოზიციას შეიძლება დაბრალდეს ის, რომ წიგნის კითხვისას ზოგან სტილისტური ეკლექტიურობის შთაბეჭდილება იქმნება; მაგრამ მთლიანობაში წიგნი ძალიან კარგია, ორიგინალურია, ღრმაა და ეს არც არის გასაკვირი: ზაზა ბიბილაშვილი სერიოზული პოეტი — ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მისი სერიოზული, პროფესიონალური დამოკიდებულება პოეზიის მიმართ მის ჩანაწერებშიც აისახება, რასაც პოეტი დროდადრო აქვეყნებს ხოლმე. ჩემი შეგრძნებით: ზაზა ბიბილაშვილი მუდმივი ფიქრის, რეფლექსიის და თავისი პოეზიის დახვეწის პროცესშია — მკითხველი კიდევ ბევრ მნიშვნელოვან ნაწარმოებს უნდა ელოდოს მისგან.